

178

1989



ISSN 0132-5981

# საქართველო საპარტიალო



1989

697  
178

7



პასუხისმგებელი მდივანი  
გელა ბერძენიშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ლევან ალექსიძე  
ანზი არსენაშვილი  
(მეცნიერ-რედაქტორი)  
ანუორ გაბიანი  
შოთა ვორობია  
აკაკი კარანაძე  
დურმიუსან ლორია  
ვახტანგ რაჭმაძე  
გრიგოლ როინიშვილი  
თამაზ შავჭულიძე  
ვიქტორ შარაშენიძე  
ირაკლი ჩიქოვანი  
სერგო ჯორჯაძეძე

Ответственный секретарь  
Бердзенишвили Г. Д.

Редакционная коллегия:

Алексидзе Л. А.  
Арсенашвили А. Г.  
(научный редактор)  
Габiani А. А.  
Горгодзе Ш. В.  
Джорбенадзе С. М.  
Каранадзе А. Г.  
Лория Д. А.  
Размадзе В. А.  
Роинишвили Г. В.  
Чиковани И. П.  
Шавгулидзе Т. Г.  
Шарашенидзе В. А.





# საჭმომთა სამართალი

## № 7

სექტემბერი

1989 წელი

ქურნალი გამოდის 1926 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იურიტთა კავშირის ყოველთვიური  
მეცნიერულ-პრაქტიკული ქურნალი

### ზ ი ნ ა რ ს ი

#### განვიხილავთ პარტიის ეროვნულ პლატფორმას

ი. ფუტყარაძე — საქართველო რადიკალურად გარდაქმნილ საბჭოთა ფედერაციაში . . . . . 3

#### სსრ კავშირის ქანონი

სსრ კავშირში მოსამართლეა სტატუსის შესახებ . . . . . 12

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება . . . . . 21

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის დადგენილება . . . . . 22

#### გთავაზობთ განსახილველად

მოსამართლის (სახალხო მსაჯულის) ფიცი (პროექტი) . . . . . 26

#### ინტერვიუ

მწვანე გზა კოოპერაციას! . . . . . 27

#### თეორიის საკითხები

მ. ქურდაძე — ქეშმარიტების პრობლემა წინასწარი გამოძიების თეორიასა და პრაქტიკაში . . . . . 38

#### პართული სამართლის ფილოსოფიის ისტორიიდან

ვ. აბაშაძე — იროდიონ სურგულაძე და მისი ნაშრომი „ხელისუფლება და სამართალი“ 43

ბ. ზოიძე — ანდერძი გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში . . . . . 51

#### დოკუმენტები მიტყველებზე

ახალციხის რაიონის გამაჰმადიანებულ ქართველთა ქართული გვარები . . . . . 55

#### საპაპვირო პრესის ფურცლებზე

ხელისუფლების დასაყრდენი . . . . . 66

#### პრიტიკა და ბიგლიოგრაფია

გ. ერემოვი — ნაშრომი ადმინისტრაციული სამართლის საკითხებზე . . . . . 69

#### ინფორმაცია


გეგმება კანონი საქართველოს სსრ მოქალაქეობის შესახებ . . . . . 71

#### პრიმიინალისტიკის ისტორიიდან

ცნობილი სისხლის სამართლის საქმეები . . . . . 74



# СОДЕРЖАНИЕ



## Обсуждаем национальную платформу партии

Я. Путкарадзе — Грузия в радикально преобразованной советской федерации . . . . . 3

## Закон Союза ССР

О статусе судей в СССР . . . . . 12  
Постановление Верховного Совета СССР . . . . . 21  
Постановление коллегии Министерства юстиции Грузинской ССР . . . . . 22

## Предлагаем для рассмотрения

Клятва судьи (народного заседателя) (проект) . . . . . 26

## Интервью

Зеленую дорогу кооперации! . . . . . 27

## Вопросы теории

М. Курдадзе — Проблема истины в теории и практике предварительного расследования . . . . . 38

## Из истории философии права

В. Абашмадзе — Иродион Сургуладзе и его труд «Власть и право» . . . . . 43  
Б. Зондзе — Завещание в объединенной федеральной Грузии . . . . . 51

## Документы говорят

Грузинские фамилии омусульманенных грузин Ахалцихского района . . . . . 55

## На страницах союзной прессы

Опора власти . . . . . 66

## Критика и библиография

Г. Еремов — Работа о вопросах административного права . . . . . 69

## Информация

Будет Закон о Гражданстве Грузинской ССР . . . . . 71

## Из истории криминалистики

Известные уголовные дела . . . . . 74



© „საბჭოთა სამართალი“, 1989 წ.

გედეკიის მისამართი. 380110, თბილისი, დავით აღმაშენებლის პრ. 103,  
ტ. 95-88-49, 95-58-87

გადაეცა წარმოებას 6.09.89 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.09.89 წ.  
ფორმატი 70×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი  
ფურცელი 7. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5.  
შეკვ. № 2049 ტირაჟი 4000 უგ 04710

საქ. კვ ცვ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა.  
თბილისი, ლენინის ქ. № 14.





# საქართველო რადიკალურად გარდაქმნილ საბჭოთა ფედერაციაში

იაკობ ფუტყარაძე,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფო და სამართლის კვლევის  
ცენტრის სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლის განყოფილების გამგე,  
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

19103

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად მიმდინარე  
წლის აგვისტოს შუა რიცხვებში გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის კომუნის-  
ტური პარტიის პლატფორმის პროექტი — „პარტიის ეროვნული პოლიტიკა  
თანამედროვე პირობებში“. მისი განხილვა გათვალისწინებულია ცენტრალ-  
ური კომიტეტის მომავალ პლენუმზე, რომელიც ეროვნებათშორის ურთიერ-  
ობებს ეძღვნება.

გაზვიადება არ იქნება იმის თქმა, რომ კომუნისტური პარტიის ეროვ-  
ნული პლატფორმის პროექტი ნამდვილად დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტია.  
მან ხანგრძლივად უნდა განსაზღვროს მსოფლიოს უმძლავრესი მმართველი  
პარტიის ეროვნული პოლიტიკა უზარმაზარ სახელმწიფოში, რომელიც დედა-  
მიწის ერთ მეექვსედს მოიცავს. სსრ კავშირი კი უნიკალური ქვეყანაა ეროვ-  
ნული სიმრავლისა და ფედერალური შემადგენლობის თვალსაზრისით.

საყურნალო სტატიაში, რაღა თქმა უნდა, შეუძლებელია ამომწურავად  
და სრულყოფილად შეაფასო განსახილველი დოკუმენტის ავტორი. ამიტომ  
აქ მხოლოდ რამდენიმე საკითხს თუ შევეხებით. საკითხები, ცხადია, უმეტეს-  
წილად, ჩვენი ეროვნული საჭიროების თვალთახედვით განიხილება.

ორიოდე სიტყვა პარტიის ეროვნული პლატფორმის პროექტის საერთო  
შეფასების შესახებ. პროექტში ყურადღებას იქცევს რამდენიმე დებულება,  
რომელთაც ზოგადპრინციპული მნიშვნელობა ენიჭება. მათ არ შეიძლება არ  
მიესაღმოს ყოველი საღად მოაზროვნე და გამწვავებულ ეროვნულ ურთი-  
ერთობათა მოწესრიგების მოწადინე ადამიანი.

მარქსისტულ-ლენინური თეორიისა და პრაქტიკის მიხედვით აქამდე  
ეროვნული საკითხი, ეგრეთ წოდებულ, „მუშათა საკითხთან“ შედარებით დაქ-  
ვემდებარებულ მდგომარეობაში იყო. ახლა კი სკკპ ცენტრალურმა კომი-  
ტეტმა საჭიროდ მიიჩნია პარტიის თანამედროვე პოლიტიკა ეროვნულ საკით-  
ხში გარდაქმნის ზოგადი კონცეფციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შემადგე-  
ნელ ნაწილად განსაზღვროს.

უადრესად მნიშვნელოვანია პლატფორმის პროექტში ჩამოყალიბებული  
დასკვნა, რომ „საჭიროა რადიკალური გარდაქმნები საბჭოთა ფედერაციაში“. ამ  
მოსაზრებამდე საბჭოთა ხელმძღვანელობა ბოლო ხანს ქვეყნის განვითარ-  
ების მთელმა მიმდინარეობამ მიიყვანა.

იგივე ითქმის ეროვნული თვითგამორკვევის ლენინური პრინციპების

საქ. სსრ კ. მარქსის



აღდგენაზე მისი ნამდვილი მნიშვნელობით, რაც, პლატფორმის პროექტის შესაბამისად, „უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო დემოკრატიული სამართლებრივი გარანტიებით“.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია პროექტის ის დებულება, რომ „ჩვენ გვკვირდება, უწინარეს ყოვლისა, დაუმახინჯებელი, სრული სიმართლე სსრკავშირში ეროვნებათშორის ურთიერთობათა განვითარების რეალური პროცესების შესახებ, იმის შესახებ, თუ რამ გამოიწვია მწვავე კოლიზიები ეროვნებათშორის საქმეებში. აქ არ უნდა დავგრჩეს „თეთრი ლაქები“. ყოველივე ეს აუცილებელია ნდობისა და ურთიერთგაგების განმტკიცებისათვის“. ასეთი დებულებები უთუოდ მოსაწონი და მისასალმებელია. ისინი საშუალებას იძლევა, რომ ერმა თვითონ, დამოუკიდებლად გაიაზროს თავისი ისტორია და თანამედროვეობა. სწორედ ეს პრინციპი ქმნის იმის რეალურ შესაძლებლობას, რომ ობიექტური, პირუთენელი სამართლებრივი შეფასება მიეცეს, კერძოდ, რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის საზავო ხელშეკრულების დარღვევასა და საქართველოს გასაბჭოებას 1921 წლის თებერვალ-მარტში (იხ. 1989 წლის 23 და 25 აგვისტოს ვაზეთი „კომუნისტი“). აქ მოვიყვანთ ამ შეფასების დასკვნითი დებულების ისეთ ფორმულირებას, რომელიც, ვფიქრობთ, უფრო მისაღები იქნება რუსეთ-საქართველოს ხსენებული ხელშეკრულების დარღვევის პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების საკითხთა რესპუბლიკური კომისიისათვის. სახლდობრ, ჩვენ იურიდიული თვალსაზრისით გამოვრიცხავთ ანექსირებას და მიგვაჩნია, რომ რუსეთის ფედერაციამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ 1921 წლის თებერვალ-მარტში განახორციელა შეიარაღებული ინტერვენცია (აგრესია), საბჭოთა წესწყობილების ექსპორტირება სამხედრო ოკუპაციის საფუძველზე.

ამასთანავე, საჭიროა მოურიდებლად და გარკვევით ითქვას კომუნისტური პარტიის ეროვნული პლატფორმის პროექტის ნეგატიური მხარეების შესახებ.

**ქვეყანა** კრიზისულ სიტუაციამდე მიიყვანა უსაზომო, ზღვარგადასულმა ცენტრალიზაციამ. დღეს გადაუდებელ ამოცანას შეადგენს ასეთი ტენდენციების დაძლევა და განსახილველი დოკუმენტის დანიშნულებაც თითქოს ესაა. მაგრამ იგი მაინც „ძლიერი ცენტრის“ პოზიციებიდან შედგენილი ჩანს და ეს აღინიშნება კიდევ ჩვენს პრესაში. ნიშანდობლივია, რომ საკავშირო პრესა არსებითად აქებს, თითქმის ერთპირ იწონებს პლატფორმის „უკიდურესად ნათლად ჩამოყალიბებულ დებულებებს“. რაც შეეხება რესპუბლიკურ პრესას, იგი არსებითად აკრიტიკებს პროექტს და სკეპტიკურად უყურებს მას.

პარტიის ეროვნული პლატფორმის პროექტის ზემოაღნიშნული მთავარი ნაკლი იმით არის გაპირობებული, რომ მის შედგენაში მოკავშირე რესპუბლიკებს არ მიუღიათ სათანადო მონაწილეობა. რესპუბლიკის სასიცოცხლო საკითხები მის გარეშე არ უნდა გადაწყდეს. მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლები მარტო სათათბიროდ და საკონსულტაციოდ როდი უნდა მიიწვიონ. თუკი საბჭოეთი თანასწორუფლებიანი მოკავშირე რესპუბლიკების კავშირია, მაშინ პოლიტიკაც პარიტეტულ საწყისებზე უნდა შემუშავდეს. განსახილველი დოკუმენტის შედგენაშიც თანასწორობის საფუძველზე უნდა მიეღოთ მონაწილეობა მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლებს. ეს, სამწუხაროდ, არ მოხდა. კვლავ გამოვლინდა „ზემოდან“ დაშვებული სტანდარტებისა და კრიტერიუმების თავზე მოხვევის ტენდენცია.



საკავშირო პრესაში პლატფორმის პროექტზე დიდმპყრობელური სულისკვეთების გამოხმაურებაც კი აისახა. კერძოდ, ერთ-ერთ ავტორს უმართებულოდ მიაჩნია პროექტის ის დებულება, რომ მოკავშირე რესპუბლიკების ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს შეუძლიათ ვააპროტესტონ და შეაჩერონ საკავშირო მთავრობის განკარგულებათა მოქმედება თავიანთ ტერიტორიაზე. აღშფოთებული ავტორი აცხადებს, რომ „შეაჩერონ — ეს დაუშვებელია სამართლებრივ სახელმწიფოში, ეს უკვე ანარქიაა“. იგივე ავტორი შიშობს, რომ მოკავშირე რესპუბლიკების საგარეო-პოლიტიკური საქმიანობა ყოველთვის ვერ იქნება მართებული, გამოიწვევს კუთხურობას, ნედლეულის საერთო-საკავშირო მარაგის უსაზომო ხარჯვას („პრავდა“, 1989 წლის 3 სექტემბერი). ამის მთქმელს, ცხადია, სრულიად არ ანადგვებს მოკავშირე რესპუბლიკის სუვერენიტეტის დაცვისა და განხორციელების საკითხი. იგი მტკიცედ ცენტრალიზებული, შეუვალი და განუყოფელი საკავშირო ძალაუფლების მომხრეა.

ახლა ერთ-ერთი მტკივნეული პრობლემაა კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების უფლებების გამიჯვნა. როგორაა ეს პრობლემა დასმული და გადაწყვეტილი კომუნისტური პარტიის ეროვნული პლატფორმის პროექტში?

სადავოა თვით პრინციპი, რომელსაც ემყარება ხსენებულ უფლებამოსილებათა გამიჯვნა. პროექტის მიხედვით, „მთავარი იდეა, რომელიც საფუძვლად უძევს საბჭოთა ფედერაციას, გამოიხატება საყოველთაოდ აღიარებული ფორმულით: ძლიერი კავშირის გარეშე არ არის ძლიერი რესპუბლიკები, ძლიერი რესპუბლიკების გარეშე არ არის ძლიერი კავშირი“.

ჯერ ერთი, ეს ფორმულა არც მთლად „საყოველთაოდ აღიარებულია“. რატომ უნდა გამოირიცხოს ასე კატეგორიულად ძლიერი რესპუბლიკის არსებობა ძლიერი ცენტრის გარეშე? საყოველთაოდ აღიარება ვერ პოვა თეზისმა: „ძლიერი ცენტრი — ძლიერი რესპუბლიკა“. კერძოდ, იგი გააკრიტიკა დეპუტატმა ვ. ადვანემ თავის გამოსვლაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე (იხ. „კომუნისტი“, 1989 წლის 5 აგვისტო). ამასთანავე, გვეუბნებიან — „ძლიერი რესპუბლიკების გარეშე არ არის ძლიერი კავშირი“. მაგრამ განა ამჟამად სწორედ ასე არ არის? ახლა ყველამ იცის, რომ მოკავშირე რესპუბლიკები უკიდურესად სუსტი სახელმწიფოებრივი ფორმირებანია, საკავშირო სახელმწიფო კი მათი უფლებების ხარჯზეა უსაზომოდ გაძლიერებული. ასე რომ, განსახილველი ფორმულა არ არის გამართული და, მაშასადამე, არც საყოველთაოდ ასაღიარებელია.

აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, შენიშვნას იწვევს საკითხის გადაწყვეტაც, რომელიც ასეთ არამდგრად პრინციპს ემყარება.

**პლატფორმის** პროექტში ძალზე ფართოდაა მოხაზული სსრ კავშირის უფლებამოსილებანი. სახელდობრ, გათვალისწინებულია პოლიტიკური წყობილების საფუძვლების დადგენა და განვითარება, ქვეყნის თავდაცვისა და უშიშროების უზრუნველყოფა, საგარეო პოლიტიკის გატარება, ეკონომიკა, მეცნიერება და კულტურა, პიროვნების მდგომარეობა, ინტეგრაციული პროცესები და ქვეყნის სახალხო-სამეურნეო კომპლექსი. ისიც კია განსაზღვრული, რომ მოკავშირე რესპუბლიკის მოქალაქეობა „ვრცელდება ყველა მის შიშობებზე“.

მოკავშირე რესპუბლიკები სუვერენული სახელმწიფოებია და, აქედან გამომდინარე, მათ უნდა ჰქონდეთ სათანადო უფლებამოსილებანი. საკავშირო



ორგანოებს უნდა აეკრძალოთ მოკავშირე რესპუბლიკებისათვის განკუთვნილ სფეროებში, მათ საქმეებში ჩარევა.

პროექტში ლაპარაკია მოკავშირე რესპუბლიკებისათვის უფლებების გადაცემაზე („გადაცეთ რესპუბლიკებს... უფლება...“) და ამით გაუკუღმართებულადაა წარმოდგენილი სსრ კავშირის არსი. საქმე ისაა, რომ სწორედ მოკავშირე რესპუბლიკები გადასცემენ თავიანთ უფლებათა ნაწილს საკავშირო ორგანოებს და არა პირიქით.

თანაც, პროექტის მიხედვით, მოკავშირე რესპუბლიკებს „უფლება აქვთ გადაწყვიტონ ყველა საკითხი იმათ გარდა, რომლებსაც ისინი ნებაყოფლობით გადასცემენ კავშირის გამგებლობაში“. კი მაგრამ, რა გზით, რა ფორმით მოხდება ეს გადაცემა? სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე? უკვე ვნახეთ, როგორ ხორციელდება აქ მოკავშირე რესპუბლიკების მიმართ ნებაყოფლობითობის პრინციპი. ასეთი ვითარების გათვალისწინებით თანდათანობით გამოიკვეთება იმის საჭიროება, რომ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის პარიტეტულ საწყისებზე დაიდოს ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება.

**ჯერ გავიზიარებთ** პლატფორმის პროექტში მოყვანილ არგუმენტს, რომლითაც უარყოფილია დებულება — „შევიმუშავოთ და ხელი მოვაწეროთ ახალ საკავშირო ხელშეკრულებას ნაცვლად სსრ კავშირის შექმნის შესახებ 1922 წლის ხელშეკრულებისა“. პროექტის მიხედვით, „თვით საბჭოთა ფედერაციული სახელმწიფოს კონსტიტუცია წარმოადგენს სახელშეკრულებო დოკუმენტს, რადგან იქ ფიქსირებულია კავშირისა და მისი შეიმადგენელი რესპუბლიკების ძირითადი უფლებები და ურთიერთვალდებულებანი“. ეს დებულება უმართებულოა. კონსტიტუცია და ხელშეკრულება სხვადასხვა ბუნების იურიდიული დოკუმენტებია. კონსტიტუცია არაა სახელშეკრულებო დოკუმენტი. მისი მიღების პროცედურა ისეთია, რომ იქ შეიძლება აისახოს ერთი ან რამდენიმე მოკავშირე რესპუბლიკისათვის არასასურველი სამართლებრივი დანაწესი. თანასწორუფლებიან მხარეთა შორის ხელშეკრულების დადების პროცედურა კი, ჩვეულებრივ, ამას გამორიცხავს.

ახლა ვნახოთ, თუ რამდენად უზრუნველყოფს ეროვნულ ინტერესებს საერთოდ და, კერძოდ, საქართველოს ეროვნული ინტერესების დაცვას პლატფორმის პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებანი.

**დაეჭვებას** იწვევს პროექტის პრეამბულაში წარმოდგენილი განცხადება: „სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა I ყრილობის მოწყობასთან და შემდგომ ხელისუფლების ახალი საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების ფორმირებასთან ერთად იქმნება პოლიტიკური მექანიზმი, რომლის ფარგლებში შეიძლება გადაწყდეს საბჭოთა ერებისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის განვითარების მომწიფებული საკითხები“.

ახალი რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოები ჯერ არ შექმნილა და ამიტომ მათზე ლაპარაკი მხოლოდ სავარაუდოდ დაიშვება. რაც შეეხება სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობასა და სხვა ახალ საკავშირო ორგანოებს, ისინი უკვე ჩამოყალიბებულია და მათი შეფასებაც თავისუფლად შეიძლება. არსებობს იმის თქმის საფუძველი, რომ რამდენადმე გადაჭარბებულად მივიჩნიოთ პლატფორმის ზემოაღნიშნული დებულება.

შევადაროთ სახელმწიფო ხელისუფლების ახალი და ძველი უმაღლესი ორგანოები ეროვნული სტრუქტურის თვალსაზრისით.

აღრე უმაღლესი ორგანო იყო ორპალატიანი უზენაესი საბჭო. მისი ერთი



პალატა — ეროვნებათა საბჭო — სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დონეზე გამოხატავდა და იცავდა ეროვნებათა სპეციფიკურ ინტერესებს. ახლანდელ უმაღლეს ორგანოში — სახალხო დეპუტატთა ყრილობის სტრუქტურაში კი მოკავშირე რესპუბლიკის ეროვნული ინტერესების ასახვის სპეციალური მექანიზმი არ არის. ადრინდელი ეროვნებათა საბჭოს (ისევე როგორც მთლიანად უმაღლესი საბჭოს) არჩევნები პირდაპირი იყო — დეპუტატებს უშუალოდ ხალხი ირჩევდა. ახლა კი ეროვნებათა საბჭოს შემადგენლობას სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა ირჩევს და, მაშასადამე, იგი არაპირდაპირი არჩევნების გზით ყალიბდება. ახლანდელი ეროვნებათა საბჭო ძველთან შედარებით რიცხობრივად მცირეა და აღარც მარტო ეროვნულ-ტერიტორიულ საარჩევნო ოლქებში არჩეული დეპუტატებისაგან შედგება (მათ ემატება აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან წარგზავნილი დეპუტატები). მაშასადამე, ახლად შექმნილი ორგანოები ეროვნული სტრუქტურის თვალსაზრისით ერთგვარი უკან გადადგმული ნაბიჯია ძველთან შედარებით.

**უზრუნველყოფს** თუ არა ეროვნული ინტერესების დაცვას გადაწყვეტილებათა მიღების წესი, რომელიც დამკვიდრებულია სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე და უმაღლეს საბჭოში?

ავიღოთ სპეციალური ორგანო, რომელიც საგანგებოდ მოწოდებულია ასახოს და დაიცვას ეროვნული ინტერესები. ესაა უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭო. აქაც კი არაა გამორიცხული ერთი ან რამდენიმე მოკავშირე ერი-სათვის არასასურველი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა. მოკავშირე რესპუბლიკა აქ წარმოდგენილია დეპუტატთა მცირე რაოდენობით, გადაწყვეტილება კი მიიღება საერთო კენჭისყრის საფუძველზე. მაშ, როგორღა გავამტყუნოთ ბალტიისპირელები, როცა თავიანთ რესპუბლიკებში მოითხოვენ საკავშირო კანონის სარეგისტრაციო წესის შემოღებას? საჭიროა მოიძებნოს შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი: 1) ან უნდა დავეთანხმოთ ბალტიისპირელებს და მაშინ შეიცვლება საკავშირო კონსტიტუციის შესაბამისი ნორმა; 2) ან ეროვნებათა საბჭოში, საერთოდ უმაღლეს საბჭოში და სახალხო დეპუტატთა ყრილობაზეც ეროვნულ ინტერესებთან დაკავშირებულ და სხვა უმნიშვნელოვანეს კონსტიტუციურ საკითხებზე კენჭისყრა მოეწყოს ჯგუფობრივად — მოკავშირე რესპუბლიკებში არჩეულ დეპუტატთა ჯგუფების მიხედვით; 3) ანდა მკვეთრად უნდა გაძლიერდეს მოკავშირე რესპუბლიკის ინტერესების დაცვის გარანტიები პროექტების მომზადების სტადიაზე. კერძოდ, დაკანონდეს მოკავშირე რესპუბლიკის ქმედითი მონაწილეობა კანონპროექტების შემუშავებაში, მისი წინასწარი თანხმობა საკანონმდებლო აქტის მიღებაზე. ეს პროცედურა ჩვენ ასე წარმოგვიდგება: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი დაამტკიცებს მოკავშირე რესპუბლიკების აქტიური მონაწილეობით შემუშავებულ აქტს კანონპროექტის სახით და დაუგზავნის მას რესპუბლიკურ უმაღლეს საბჭოებს. ეს უკანასკნელნი ან მოიწონებენ კანონპროექტს (მაშინ მას მიეცემა შემდგომი მსვლელობა), ანდა უარყოფენ მას (მოსაფიქრებელია ამისი იურიდიული შედეგები, წინააღმდეგობათა შეთანხმების გზები და საშუალებები).

პლატფორმის პროექტში არის ერთი დებულება ავტონომიების შესახებ, რომელიც ჩვენთვის პრინციპულად მიუღებელია. ჩვენ იგი ხელაღებით უნდა უარყყოთ. აი ისიც: „გავითვალისწინოთ, რომ მოკავშირე რესპუბლიკებს... და



მათს შემადგენლობაში შემავალ ავტონომიებს შორის სადავო საკითხები, თუ მათ გამო არ იქნება მიღწეული მორიგებანი ადგილებზე, განსახილველად გადაეცემათ სსრ კავშირის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს და საბოლოოდ გადაწყვეტს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა“. საქართველო სუვერენული სახელმწიფოა, მისი ავტონომიური ერთეულები შექმნილია მისსავე ისტორიულ ტერიტორიაზე და ყოველგვარი უთანხმოება ამ სფეროში რესპუბლიკამ თვითონ, დამოუკიდებლად უნდა გადაწყვიტოს.

ასევე მიუღებელია ჩვენთვის პლატფორმის პროექტის ის დებულებაც, რომ „შექმნათ ეროვნული რაიონები, სასოფლო და სადაბო საბჭოები იმ ეროვნებათა კომპაქტური ბინადრობის ადგილებში, რომლებსაც არა აქვთ თავიანთი ეროვნულ-ტერიტორიული ფორმირებანი; კანონმდებლობით დავამკვიდროთ ეროვნული ჯგუფებისა და თემების თვითმმართველობის უფლება“. ამ საქმეს დიფერენცირებულად მიდგომა ესაჭიროება. ჩრდილოეთის რაიონებში, ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთში და იქნებ სხვაგანაც იგი, ალბათ, მისაღებია. საქართველოს სინამდვილეში კი განსახილველი დებულება მიუღებელია. იგი გამოიწვევს ეროვნულ ურთიერთობათა გამწვავებას რესპუბლიკაში, ხელყოფს საქართველოს ისტორიულად ჩამოყალიბებული ტერიტორიის მთლიანობას. საქართველო ისედაც მეტისმეტად დანაწევრებულია. ტერიტორიით იგი მე-10 ადგილზეა მოკავშირე რესპუბლიკებს შორის, ავტონომიების მიხედვით კი მეორეზე უზარმაზარი რუსეთის ფედერაციის შემდეგ. ცხადია, ნებისმიერი ახალი ავტონომიური წარმონაქმნის ჩამოყალიბება და ქართული მიწა-წყლის შემდგომი დაქუცმაცება ყოველად დაუშვებელია.

აქ გვერდს ვერ ავუვლით იმას, რომ ამ ბოლო დროს გამოითქვა რამდენიმე უმართებულო მოსაზრება ავტონომიების შესახებ. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობენ ცალკეული ავტონომიური რესპუბლიკები და ისინი, რომელთაც თავიანთ რესპუბლიკაში არა აქვთ ავტონომიური ერთეული, მაგრამ, სამაგიეროდ, მათი ეროვნების ავტონომია არსებობს სხვა რესპუბლიკაში და ცდილობენ რაიმეს გამორჩენას, სხვის ინტერესებს კი აღარ დაგიდევნენ. ერთი ასეთი რესპუბლიკის წარმომადგენელთა აზრით, სსრ კავშირი უნდა განვითარდეს არა როგორც მოკავშირე რესპუბლიკების, არამედ თანასწორუფლებიანი ხალხების ფედერაცია; ყველა ხალხი, მათი რაოდენობის მიუხედავად, თანაბრად უნდა იყვნენ წარმოდგენილი საკავშირო პარლამენტში. ასეთ ვითარებაში, თურმე, ავტონომიურ წარმონაქმნს უნდა მიეცეს უფლება თვითონ გადაწყვიტოს — შეინარჩუნოს ავტონომია უკვე არსებული სტრუქტურის ფარგლებში, თუ უშუალოდ შევიდეს სსრ კავშირის შემადგენლობაში, ანდა, თუკი მოისურვებს, შექმნას დამოუკიდებელი სუვერენული ერთეული მოკავშირე რესპუბლიკის სახით (იხ. 1989 წლის 16 ივლისის „იზვესტია“ და 4 სექტემბრის „პრავდა“). ზოგიერთი მოწადინებულია შეიქმნას საკავშირო დაქვემდებარების თვითმმართველი (ავტონომიური) ტერიტორიები. ისეთი აზრიც გამოითქვა, რომ სსრ კავშირში ყველა ეროვნულ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს ჰქონდეს თანაბარი უფლებები და მათ ერთნაირად მიეცეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სტატუსი („იზვესტია“, 1989 წლის 5 სექტემბერი).

**გადაჭრით ვაცხადებთ:** ასეთი „თეორიები“, ამგვარი აბსურდული ფედერაცია ჩვენთვის აბსოლუტურად მიუღებელია. საქართველოს ტერიტორიის მთლიანობის ხელყოფა არც ერთ ძეხორციელს არ ხელეწიფება. საერთაშო-



რისო-სამართლებრივი ნორმებითაც, ყველა ხალხს აქვს „თავისი ეროვნული ტერიტორიის ტერიტორიული მთლიანობის განუყოფელი უფლება“, „ეროვნული ტერიტორიების ტერიტორიული მთლიანობა... პატივისცემით უნდა სარგებლობდეს“ და „ყოველგვარი ცდა, მიმართული იქითკენ, რომ ნაწილობრივ ან მთლიანად გამოეთხაროს ძირი ეროვნულ ერთიანობასა და ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, შეუთავსებელია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებთან და პრინციპებთან“.

მოსაზრება, რომ ავტონომიურ ერთეულებს მიენიჭოთ სსრ კავშირში შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის მეშვეობით ან ამა თუ იმ ფორმით უშუალოდ შესვლის საკითხის გადაწყვეტის უფლება, გამწვავებულ ეროვნულ ურთიერთობათა კვანძის განსნას როდი ემსახურება. პირიქით, იგი ამ ისედაც აწეწილ სფეროში დაძაბულობის ახალი საშიში კერების გაჩენის მომასწავებელია.

**პლატფორმის პროექტში** ასახულია, ასე ვთქვათ, იმპერიული აზროვნების რეციდივი — ნათქვამია, რომ რუსეთი „მთელი ჩვენი კავშირის მაკონსოლიდირებელი საწყისი იყო და არის“. „მაკონსოლიდირებელი“ გამაერთიანებელს, შემამკიდროებელს ნიშნავს და, ამდენად, ვფიქრობთ, რომ ასეთი მიდგომა არსებითად გამორიცხავს სუვერენული რესპუბლიკების ნებაყოფლობით შეკავშირებას. იგი გამოხატავს, ხაზს უსვამს რუსეთის უპირატეს, პრივილეგიურ მდგომარეობას კავშირში და ძველი „უფროსი ძმისა“ თუ „თანასწორთა შორის პირველის“ სახეცვლილებად წარმოგვიდგება.

აქ კვლავ ყურადღება უნდა გავამახვილოთ მოკავშირე რესპუბლიკების თანასწორუფლებიანობისა და სუვერენულობის, მათი ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფის ზოგიერთ გარანტიასზე.

მოკავშირე რესპუბლიკების თანასწორუფლებიანობის პრობლემა პირველ რიგში გულისხმობს რუსეთის ფედერაციის სტატუსის განსაზღვრას და მის გათანაბრებას სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამართლებრივ მდგომარეობასთან.

ახლა ყველა რესპუბლიკას თავისებურად უჭირს. რუსეთსაც თავისი გასაჭირი ადგას. ბიუროკრატიულმა მმართველობამ რუსეთიც ცუდ დღეში ჩააგდო. მაგრამ მცირერიცხოვანი ერებისაგან განსხვავებით მისი გასაჭირი უფრო სხვანაირია — დღესდღეობით რუსეთის ეროვნულ არსებობას საფრთხე არ ემუქრება. პირიქით, ბევრი ერისა თუ ეროვნების ყოფნა-არყოფნის საქმე დღეს არსებითად სწორედ მასზეა დამოკიდებული. სწორედ ამიტომ აქვს დიდი მნიშვნელობა რუსეთის ფედერაციის იურიდიული მდგომარეობის გარკვევას სსრ კავშირის შემადგენლობაში. პლატფორმის პროექტის მიხედვითაც აღიარებულია, რომ „საბჭოთა ფედერაციის გარდაქმნის ფარგლებში უნდა გადაიჭრას რუსეთის სფსრ სამართლებრივი სტატუსისა და მისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წყობილების პრობლემები“.

**დღეს** საბჭოთა კავშირს რუსეთის ფედერაციასთან აიგივებენ. ეს გამოწვეულია იმით, რომ რუსეთის ფედერაციას არ გააჩნია მთელი რიგი რესპუბლიკური სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი სტრუქტურები, როგორცაა, მაგალითად, კომპარტია, მეცნიერებათა აკადემია, შინაგან საქმეთა სამინისტრო და ა. შ. მათ ფუნქციებს შესაბამისი საკავშირო ორგანოები და ორგანიზაცია-დაწესებულებები ასრულებენ. პლატფორმის პროექტში დასმულია საკითხი, რომ შეიქმნას რუსეთის „მმართველობის დამატებითი ორგანოები,



მათ შორის ადმინისტრაციული, ეკონომიკური, იდეოლოგიური, კულტურული, სამეცნიერო და სხვანი“. გათვალისწინებულია, კერძოდ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის რსფსრ-ის ბიუროს (სამდივნოს) ჩამოყალიბება. მაგრამ, ჩანს, სწორი გამოსავალი იქნება რესპუბლიკური ორგანოს, საკუთრივ რუსეთის კომპარტიის შექმნა. სათანადო საკავშირო სტრუქტურები (ვთქვათ, სკკპ ცენტრალური კომიტეტი და პოლიტიბიუროც) უნდა დაკომპლექტდნენ მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლებით თანასწორუფლებიანობის საფუძველზე.

საბჭოთა კავშირი მოკავშირე რესპუბლიკების ფედერაციაა და ასევე უნდა განვითარდეს იგი მომავალში. სწორედ ამ მიზნით დაიდო 1922 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულება სსრ კავშირის შექმნის შესახებ, რომელიც კვლავაც მოქმედი სამართლებრივი აქტია. ამის გათვალისწინებით საჭიროა მოკავშირე რესპუბლიკებისადმი ყურადღების გაძლიერება. მაგალითად, პარტიის ეროვნული პლატფორმის პროექტში, საკავშირო და რესპუბლიკურ კონსტიტუციებში გარკვევით უნდა ჩანდეს, რომ მოკავშირე რესპუბლიკა უბრალოდ სახელმწიფო როდია — იგი ეროვნული სახელმწიფოა. აქ ნიმუშად შეიძლება გამოდგეს კონსტიტუციური კანონი ჩეხოსლოვაკიის ფედერაციის შესახებ. ამ აქტის მიხედვით, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საფუძველს შეადგენს „ჩეხი და სლოვაკი ერების ეროვნული სახელმწიფოების“ კავშირი.

**პლატფორმის** პროექტში ასევე გამოკვეთილად უნდა აისახოს სსრ კავშირის შემადგენლობიდან მოკავშირე რესპუბლიკის თავისუფალი გასვლის უფლება. თავის უკანასკნელ ნაშრომში „ეროვნებათა საკითხისათვის ანუ „ავტონომიზაციის“ შესახებ“ ლენინი სერიოზულად შიშობდა, რომ „კავშირიდან გასვლის თავისუფლება, რითაც ჩვენ თავს ვიმართლებთ, ფარატინა ქალღმერთი აღმოჩნდება, რომელიც ვერ შეძლებს დაიცვას რუსეთის სხვატომელები იმ ჭეშმარიტად რუსი კაცის, ველიკორუსი შოვინისტის, არსებითად, ნაძირალისა და მოძალადის თავდასხმისაგან, როგორც არის ტიპიური რუსი ბიუროკრატ“ (თხზ., ტ. 36, გვ. 689). უთუოდ მრავლისმეტყველი და დღევანდელ ვითარებაში აუცილებლად გასათვალისწინებელი სიტყვებია. საჭიროა განისაზღვროს სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკის თავისუფალი გასვლის პროცედურა, თანაც დაკანონდეს, რომ არ შეიძლება ამ უფლების შეცვლა, შეზღუდვა ან გაუქმება.

რადიკალურად გარდაქმნილი ფედერაცია გულისხმობს მოკავშირე რესპუბლიკების თანაბარ წარმომადგენლობას სათანადო საკავშირო ორგანოებში. პლატფორმის პროექტში ლაპარაკია ეროვნული პოლიტიკის „ლენინური პრინციპების აღდგენაზე მისი ნამდვილი მნიშვნელობით“. რატომ არ უნდა გავითვალისწინოთ დღეს, მაგალითად, ლენინის დაყენებითი მოთხოვნა, რომ კავშირის ცაქ-ში რიგრიგობით თავმჯდომარეობდნენ რუსი, უკრაინელი, ქართველი და სხვ. (ტ. 33, გვ. 438). დამოწმებული დებულების მიხედვით ხომ ისე გამოდის, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეებად რიგ-რიგად იყვნენ სხვადასხვა ეროვნებების წარმომადგენლები. აი, ეს იქნება ლენინური ეროვნული პოლიტიკის პრინციპების ნამდვილი აღდგენა.

**გასარკვევია** პარტიული და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის ურთიერთიმართება. ეს საკითხი პლატფორმის პროექტშიც უნდა აისახოს. ახალ მიდგომას პარტიული მშენებლობისადმი, რესპუბლიკების კომპარტიების დამოუკიდებლობის განმტკიცებას განსახილველი პროექტიც ეხება, მაგ-



რამ დემოკრატიზაციის პროცესი ამ სფეროში მეტ გაღრმავებას მოითხოვს. ეტყობა, დადგა დრო, როცა პარტიის ორგანიზაციული წყობა მეტ-ნაკლებად შეესაბამებოდეს ჩვენს სახელმწიფო-სამართლებრივ სისტემას, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის თეორიასა და პრაქტიკას.

**ამჟამად** ამ უზარმაზარ ფედერაციაში მმართველი პარტია მტკიცედ ცენტრალიზებულია და მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიებიც ამ ერთიანი სისტემის ვიწრო ყალიბშია ჩაჭედილი. თუკი ასეთი ვითარება არსებითად არ შეიცვალა, მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტი ფაქტობრივად არ გამოვა, კვლავაც ფიქცია იქნება. ერთი სიტყვით, პარტიას ფედერაციაზე ნაკლები გარდაქმნა როდი სჭირდება. ამ გზაზე, ვფიქრობთ, ჩვენთვის ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელი როლის ასახვა რესპუბლიკურ კონსტიტუციაში. ეს განამტკიცებს რესპუბლიკის კომპარტიის ავტორიტეტს, გაზრდის მის პასუხისმგებლობას ქვეყნისა და ხალხის წინაშე. საქართველოს კომპარტიამ თავისი ხელმძღვანელი როლი საზოგადოებაში საკუთარი პრაქტიკული საქმიანობით უნდა დაიმკვიდროს. ასეთი კურსი სრულიადაც არ მოასწავებს საქართველოს კომპარტიის გამიჯვნას ეროვნული ნიშნის მიხედვით. იგი კვლავაც იქნება არა მარტო ქართველების, არამედ რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ერის წარმომადგენელთა გამაერთიანებელი ორგანიზაცია და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის განუყრელი, მაგრამ თავისთავადი ნაწილი.

დღეს ჩვენ იძულებული ვართ არსებითად სხვანაირად, სალი თვალთ შევხედოთ ინტერნაციონალურისა და ნაციონალურის ურთიერთმიმართების, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიზნების შეფარდების, ფედერაციაში გაერთიანებული ხალხების საერთო მოთხოვნილებებისა და კავშირის შემკვრელი ერების ინტერესების თანაფარდობის პრობლემას. ჩვენში უპირატესობა ყოველთვის ინტერნაციონალურს ეძლევა. მაგრამ სსრ კავშირში ხალხები, უპირველეს ყოვლისა, ხომ თავიანთი ეროვნული ინტერესების დაცვის მიზნით გაერთიანდნენ! მასასადამე, მომეტებული ყურადღება უნდა მიექცეს რესპუბლიკის ინტერესებს და ამ ეროვნულ პრიზმაში გატარებით დაკმაყოფილდეს საერთო-საკავშირო მოთხოვნილებანი. მხოლოდ ასეთ ვითარებაში შეისხამს ხორცს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეროვნული პლატფორმის პროექტის დებულება, რომ „მთავარია, ინტერნაციონალიზმს აღვიქვამდეთ როგორც გაცნობიერებულ საკუთარ მოთხოვნილებას, და არა რაღაც თავს მოხვეულს სხვის მიერ, გარედან“.

ბოლო ხანს ეროვნებათშორისი ურთიერთობის ხაზით სსრ კავშირში განვითარებული მოვლენებისა და მათ მიმართ საკავშირო ორგანოების პოზიციის, აგრეთვე საზღვარგარეთის განსაზღვრული წრეების სათანადო რეაგირების გათვალისწინებით მართებული იქნება, თუკი საქართველოს დღეს და ახლო მომავალში წარმოვიდგენთ, როგორც ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების ნამდვილად უზრუნველყოფი რეალური სუვერენული უფლებებით აღჭურვილ თანასწორუფლებიან მოკავშირე რესპუბლიკას რადიკალურად გარდაქმნილი საბჭოთა ფედერაციის შემადგენლობაში.



# სსრ კავშირში მოსამართლეთა სტატუსის შესახებ

## პარი I

### ზოგადი დებულებანი

#### მუხლი 1. მოსამართლენი და სახალხო მსაჯულნი

1. მოსამართლეებსა და სახალხო მსაჯულებს წარმოადგენენ სსრ კავშირის მოქალაქენი, რომლებიც დადგენილი წესით არიან არჩეულნი სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოში, მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში, სამხარეო, საოლქო, საქალაქო სასამართლოებში, ავტონომიური ოლქების სასამართლოებში, ავტონომიური ოკრუგების სასამართლოებში, რაიონულ (ქალაქის) სახალხო სასამართლოებში, აგრეთვე სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამხედრო ტრიბუნალებში.

2. მოსამართლენი და სახალხო მსაჯულნი პასუხისმგებელნი არიან მათი ამრჩევი ორგანოების ან ამომრჩეველების წინაშე და ანგარიშს აბარებენ მათ.

3. სახალხო მსაჯულნი მართლმსაჯულების განხორციელებისას სარგებლობენ მოსამართლის ყველა უფლებით.

#### მუხლი 2. მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულებისათვის წაყენებული მოთხოვნები

მოსამართლენი და სახალხო მსაჯულნი განუხრელად უნდა იცავდნენ საბჭოთა კანონებს, იყენებდნენ თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას სასამართლოზე დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად, იყვნენ თავიანთი საპატიო წოდების ღირსნი.

## პარი II

### მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა დამოუკიდებლობის ძირითადი გარანტიები

#### მუხლი 3. მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა დამოუკიდებლობა

1. მოსამართლენი და სახალხო მსაჯულნი დამოუკიდებელნი არიან და ემორჩილებიან მხოლოდ კანონს.

2. მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს მათი არჩევისა და განთავისუფლების კანონით დადგენილი წესი, მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა ხელშეუხებლობა, მართლმსაჯულების განხორციელების მკაცრი იურიდიული პროცედურა, გადაწყვეტილების გამოტანისას მოსამართლეთა თათბირის საიდუმლო და მისი გამხელის მოთ-



ზოგნის აკრძალვა, პასუხისმგებლობა სასამართლოს მიმართ უპატივცემლობისათვის ან ჩარევა კონკრეტულ საქმეთა გადაწყვეტაში, საჭირო ორგანიზაციულ-ტექნიკური პირობების შექმნა სასამართლოების საქმიანობისათვის, აგრეთვე მოსამართლეთა მაღალი სტატუსის შესაფერისი მატერიალური და სოციალური უზრუნველყოფა.

#### **მუხლი 4. პასუხისმგებლობა სასამართლოს უპატივცემლობისათვის**

საქმის მონაწილე პირთა ან სასამართლო სხდომის დამსწრე მოქალაქეთა მხრივ სასამართლოს მიმართ უპატივცემლობის გამოვლენა, აგრეთვე ვისიმე მიერ ისეთი მოქმედების ჩადენა, რომელიც სასამართლოსადმი აშკარა უფულელებულობას მოწმობს, იწვევს პასუხისმგებლობას სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

#### **მუხლი 5. სასამართლო საქმეების გადაწყვეტაში ჩარევის დაუშვებლობა**

1. მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა მართლმსაჯულების განხორციელების საქმიანობაში ჩარევა აკრძალულია.

2. კონკრეტული საქმის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის დაბრკოლების ან უკანონო სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის მიღწევის მიზნით მოსამართლეებზე ან სახალხო მსაჯულებზე ზემოქმედება, რა ფორმითაც უნდა მოხდეს იგი, იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს არა აქვთ უფლება იწინასწარმეტყველონ თავიანთ ცნობებში კონკრეტული საქმის სასამართლო გარჩევის შედეგები ან სხვაგვარად მოახდინონ ზემოქმედება სასამართლოზე, სანამ გადაწყვეტილება ან განაჩენი კანონის ძალას შეიძენდეს.

#### **მუხლი 6. მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა ხელშეუხებლობა**

1. მოსამართლე, აგრეთვე სახალხო მსაჯული სასამართლოში მის მიერ მოვალეობის შესრულებისას არ შეიძლება მიცემულ იქნეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ან დაპატიმრებულ იქნეს თუ თანხმობას არ განაცხადებს:

მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი — სახალხო მოსამართლეების, სამხარეო, საოლქო, საქალაქო სასამართლოების, ავტონომიური ოლქების სასამართლოების, ავტონომიური ოკრუგების სასამართლოების, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების, მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეთა, აგრეთვე ამ სასამართლოების სახალხო მსაჯულთა მიმართ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი — სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს და სამხედრო ტრიბუნალების მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა მიმართ.

2. რაიონული (ქალაქის) სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლის ან სახალხო მსაჯულის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა შეუძლია მხოლოდ მოკავშირე რესპუბლიკის პროკურორს ან სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკების სხვა სასამართლოებისა და სსრ კავშირის სასამართლოების მოსამართლეთა ან სახალხო მსაჯულთა მიმართ — მხოლოდ სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს. სამხედრო ტრი-



ზუნალების მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა დაიშვება მხოლოდ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თანხმობით, რაიონული (ქალაქის) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა მიმართ — სახალხო დეპუტატთა ზემდგომი საბჭოს პრეზიდიუმის თანხმობით, ყველა სხვა მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის მიმართ — მათი ამრჩევი სახალხო დეპუტატთა საბჭოს თანხმობით, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — შესაბამისი საბჭოს პრეზიდიუმის თანხმობით. ამავდროულად წყდება მოსამართლის უფლებამოსილების შეჩერების საკითხი. გამოძიებისადმი ზედამხედველობას ახორციელებს საქმის აღმძვრელი პროკურორი.

3. სისხლის სამართლის საქმეები რაიონული (ქალაქის) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა მიმართ განსჯადია მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების მიერ, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკების სხვა სასამართლოებისა და სსრ კავშირის სასამართლოების მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა მიმართ — სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მიერ.

4. არ დაიშვება დაკავება, მიყვანა ან ადმინისტრაციული სახდელის დონისძიებათა გამოყენება მოსამართლის მიმართ, აგრეთვე სახალხო მსაჯულის მიმართ, როდესაც იგი ასრულებს მოვალეობას სასამართლოში.

#### **მუხლი 7. სახალხო მსაჯულთა შრომითი უფლებების გარანტიები**

სახალხო მსაჯულთა დათხოვნა მათი უფლებამოსილების პერიოდში ადმინისტრაციის ინიციატივით ან დისციპლინური სახდელის წესით მათი გადაყვანა ნაკლებხელფასიან სამუშაოზე დაიშვება, ზოგადი წესის დაცვის გარდა, მხოლოდ სახალხო მსაჯულის ამრჩევი შრომითი კოლექტივის თანხმობით.

### **პარტი III**

#### **მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევნები**

**მუხლი 8. მოსამართლეობისა და სახალხო მსაჯულობის კანდიდატებისათვის წაყენებული მოთხოვნები**

1. სახალხო მოსამართლედ შეიძლება არჩეულ იქნეს სსრ კავშირის მოქალაქე, რომელსაც არჩევნების დღისათვის შეუსრულდება 25 წელი, აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, სულ ცოტა ორი წლის იურიდიული სპეციალობით მუშაობის სტაჟი და ჩაბარებული აქვს საკვალიფიკაციო გამოცდა.

2. ზემდგომი სასამართლოების მოსამართლეებად შეიძლება არჩეულ იქნენ სსრ კავშირის მოქალაქენი, რომლებსაც აქვთ უმაღლესი იურიდიული განათლება და სულ ცოტა ხუთი წლის იურიდიული სპეციალობით მუშაობის სტაჟი, მათ შორის, როგორც წესი, მოსამართლედ მუშაობის სულ ცოტა ორი წლის სტაჟი.

3. სამხედრო ტრიბუნალის მოსამართლედ შეიძლება არჩეულ იქნეს სსრ კავშირის მოქალაქე, რომელსაც არჩევნების დღისათვის შეუსრულდა 25 წელი, არის ნამდვილ სამხედრო სამსახურში, აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და ოფიცერთა შემადგენლობის სამხედრო წოდება. პირმა, რომელსაც პირველად ირჩევენ სამხედრო ტრიბუნალის მოსამართლედ, უნდა ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.



4. სახალხო მსაჯულად შეიძლება არჩეულ იქნეს სსრ კავშირის მოქალაქე, რომელსაც არჩევნების დღისათვის შეუსრულდა 25 წელი, ხოლო სამხედრო ტრიბუნალის სახალხო მსაჯულად — ნამდვილ სამხედრო სამსახურში მყოფი სსრ კავშირის მოქალაქე.

**მუხლი 9. მოსამართლეობის კანდიდატა შერჩევა**

1. მოსამართლეობის კანდიდატა შერჩევას ახორციელებენ იუსტიციის ორგანოები ამ კანონის მოთხოვნების შესაბამისად იმ შრომითი კოლექტივების რეკომენდაციებისა და აზრის გათვალისწინების საფუძველზე, რომლებშიც მუშაობენ წამოყენებული კანდიდატები, და მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიის დასკვნის საფუძველზე.

2. მოსამართლეობის კანდიდატებად პირველად რეკომენდებული პირნი პროფესიულ მომზადებას ვადიან იმ შემთხვევებში და წესით, რომლებსაც განსაზღვრავს სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრო.

3. რაიონული (ქალაქის) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეობის, სამხარეო, საოლქო, საქალაქო სასამართლოების, ავტონომიური ოლქების სასამართლოების, ავტონომიური ოკრუგების სასამართლოების, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატათა წარდგენას ერთად აწარმოებენ მოკავშირე რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო და უმაღლესი სასამართლო. მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატა წარდგენა ხდება მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესით, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოსა და სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს აზრის გათვალისწინებით.

**მუხლი 10. მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევნების წესი და უფლებამოსილების ვადები**

1. რაიონული (ქალაქის) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეებს, სამხარეო, საოლქო და საქალაქო სასამართლოების მოსამართლეებს ირჩევენ სახალხო დეპუტატთა შესაბამისი ზემდგომი საბჭოები.

2. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების, ავტონომიური ოლქებისა და ავტონომიური ოკრუგების სასამართლოების მოსამართლეებს ირჩევენ შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოები, ავტონომიური ოლქებისა და ავტონომიური ოკრუგების სახალხო დეპუტატთა საბჭოები.

3. რაიონული (ქალაქის) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულებს ირჩევენ მოქალაქეთა კრებებზე მათი საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის მიხედვით ღია კენჭისყრით, ხოლო ზემდგომი სასამართლოების სახალხო მსაჯულებს — სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოები.

4. სამხედრო ტრიბუნალების მოსამართლეებს ირჩევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ხოლო სახალხო მსაჯულებს — სამხედრო მოსამსახურეთა კრებები ღია კენჭისყრით.

5. ყველა სასამართლოს მოსამართლეებს ირჩევენ ათი წლის ვადით. ყველა სასამართლოს სახალხო მსაჯულებს ირჩევენ ხუთი წლის ვადით.

6. თუ მოსამართლეებსა და სახალხო მსაჯულებს უფლებამოსილების ვადა გაუდით მათ მიერ სასამართლო საქმის განხილვის პერიოდში, მაშინ უფლებამოსილება შეუნარჩუნდებათ ამ საქმის გარჩევის დამთავრებამდე.



7. სახალხო მსაჯულთა გაწვევა სასამართლოებში თავიანთი მოვალეობის წესასრულებლად ხდება რიგითობის წესით არა უმეტეს ორი კვირისა წელიწადში, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ამ ვადის გაგრძელება აუცილებელია მათი მონაწილეობით დაწყებული სასამართლო საქმის განხილვის დამთავრების საჭიროებით.

#### **მუხლი 11. მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის ფიცი**

1. პირველად არჩეული მოსამართლენი და სახალხო მსაჯულნი დებენ ფიცს.

2. მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის ფიცის ტექსტს აგრეთვე მისი დადების წესს სსრ კავშირის სასამართლოების მოსამართლეთათვის განსაზღვრავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოთა მოსამართლეებისათვის — მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოები.

### **პარტი IV**

## **მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა უფლება-მოვალეობანი**

#### **მუხლი 12. მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა უფლებები**

1. მოსამართლეებსა და სახალხო მსაჯულებს აქვთ მართლმსაჯულების განსახორციელებლად საჭირო ძალაუფლებრივი უფლებამოსილება. ამ უფლებამოსილებებს განსაზღვრავს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

2. მოსამართლეს აგრეთვე უფლება აქვს:

მოსთხოვოს თანამდებობის პირებსა და მოქალაქეებს შეასრულონ მისი განკარგულებანი, რომლებიც დაკავშირებულია მასზე კანონით დაკისრებულ მოვალეობათა განხორციელებასთან;

შეიტანოს სახელმწიფო ორგანოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში და თანამდებობის პირებთან წარდგინებანი კანონის დარღვევების ან სამართალდარღვევათა ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების აღმოფხვრის შესახებ;

გამოითხოვოს ინფორმაცია სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, სამეცნიერო დაწესებულებებისა და საინფორმაციო ცენტრებისაგან.


3. სახელმწიფო ორგანოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და თანამდებობის პირნი მოვალენი არიან შეასრულონ მოსამართლეთა მოთხოვნები და განკარგულებანი, რომლებიც დაკავშირებულია სასამართლო საქმიანობის განხორციელებასთან, დროულად უპასუხონ მათს წარდგინებებსა და მოთხოვნებს.

4. მოსამართლეს შეუძლია მოსამართლეთა კონფერენციის განსახილველად, აგრეთვე უშუალოდ სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოსა ან მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში შეიტანოს წინადადებანი კანონმდებლობის გამოყენების საკითხებზე სახელმძღვანელო ახსნა-განმარტების მიცემის შესახებ.

5. უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე სახალხო მსაჯულს შეუძლია შეცვალოს რაიონული (ქალაქის) სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლე მისი ხანგრძლივი არყოფნის შემთხვევებში.

#### **მუხლი 13. მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა მოვალეობანი**





1. მოსამართლენი და სახალხო მსაჯულნი სამოქალაქო, სისხლის სამართლის საქმეებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას მოვალენი არიან ზუსტად შეასრულონ კანონების მოთხოვნები; უზრუნველყონ მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, სახელისა და ღირსების, საზოგადოების ინტერესების დაცვა, სასამართლო საქმიანობის მაღალი კულტურა და აღმზრდელობითი ზემოქმედება, იყვნენ სამართლიანი და ჰუმანური.

2. მოსამართლენი მოვალენი არიან აიმაღლონ პროფესიული ცოდნის დონე, შეისწავლონ და განაზოგადონ სასამართლო პრაქტიკა, მონაწილეობდნენ მუშაობაში მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდისათვის.

3. მოსამართლენი და სახალხო მსაჯულნი სასამართლოში თავიანთ მოვალეობათა შესრულებისას, აგრეთვე არასამსახურებრივ ურთიერთობაში უნდა ერიდონ ყოველივეს, რამაც შეიძლება შეზღალოს სოციალისტური მართლმსაჯულების ავტორიტეტი, საბჭოთა მოსამართლის ღირსება ან დააეჭვოს ვინმე მის ობიექტურობასა და პირუთვნელობაში.

4. სახალხო მსაჯულნი მოვალენი არიან ეუფლებოდნენ სამართლებრივ ცოდნას, ემზადონ ყოველი საქმის სასამართლო გარჩევისათვის, მონაწილეობდნენ სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისათვის მუშაობაში.

5. მოსამართლენი მოვალენი არიან წინასწარ გააცნონ სახალხო მსაჯულებს განსახილველი საქმეები, მოქმედი კანონმდებლობა და მისი გამოყენების პრაქტიკა, გაუწიონ სხვაგვარი დახმარება მათი უფლებამოსილების განხორციელებაში.

6. მოსამართლეებსა და სახალხო მსაჯულებს არა აქვთ უფლება გათქვან მოსამართლეთა თათბირის საიდუმლო და დახურული სასამართლო სხდომების მოწყობისას მიღებული ცნობები.

7. სახალხო მსაჯულნი მოვალენი არიან დროულად გამოცხადდნენ სასამართლოში მართლმსაჯულების განხორციელების ფუნქციების შესასრულებლად. სასამართლოში სახალხო მსაჯულის გამოძახება სავალდებულოა იმ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციისათვის, სადაც მუშაობს ან სწავლობს სახალხო მსაჯული.

პარა V

**მოსამართლეთა კონფერენციები, მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიები**

**მუხლი 14. მოსამართლეთა კონფერენციები**

1. საოლქო დაყოფის არმქონე მოკავშირე რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკის, მხარის, ოლქის, ქალაქის, ავტონომიური ოლქის, ავტონომიური ოკრუგის სასამართლოთა მოსამართლეებს ყოველწლიურად იწვევენ კონფერენციებზე.

2. მოსამართლეთა კონფერენციები განიხილავენ სასამართლო პრაქტიკაში წამოჭრილ კანონმდებლობის გამოყენების საკითხებს, მიმართავენ სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს ან მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოს წინადადებით სახელმძღვანელო ახსნა-განმარტების მიცემის შესახებ, ან საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგინებათა შეტანის შესახებ,

2. „საბჭოთა სამართალი“, № 7

სსრ კავშირის კ. მარტოხიძე  
სსრ კავშირის კ. მარტოხიძე



ანდა კანონთა განმარტების შესახებ. ამ კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში კონფერენციები ირჩევენ მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიებს.

3. კონფერენციების მოწვევისა და მოწყობის წესს განსაზღვრავს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

4. სამხედრო ტრიბუნალების მოსამართლეთა კონფერენციების მოწვევისა და მოწყობის, აგრეთვე ამ მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიების არჩევის წესს განსაზღვრავს სამხედრო ტრიბუნალების დებულება, რომელიც მტკიცდება სსრ კავშირის კანონით.

#### **მუხლი 15. მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიები**

1. მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიები იქმნება იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლო სამუშაოზე ღირსეულ კანდიდატთა დასახლება და გაძლიერდეს მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გარანტიები.

2. მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიებს ავტონომიურ რესპუბლიკებში, მხარეებში, ოლქებში, ქალაქებში, ავტონომიურ ოლქებსა და ავტონომიურ ოკრუგებში ირჩევენ მოსამართლეთა კონფერენციები სახალხო მოსამართლეთა და შესაბამისი ზემდგომი სასამართლოების წევრთა რიცხვიდან. საოლქო დაყოფის არმქონე მოკავშირე რესპუბლიკებში მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიებს ირჩევენ მოსამართლეთა კონფერენციაზე სახალხო მოსამართლეთა და საქალაქო სასამართლოების წევრთა რიცხვიდან ამ სასამართლოების მოსამართლეები. სახალხო მოსამართლეები უნდა შეადგენდნენ კოლეგიის წევრთა სულ ცოტა ნახევარს.

3. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიებს ირჩევენ შესაბამისი სასამართლოების წევრთა რიცხვიდან ამ სასამართლოებიდან პლენუმები.

4. მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიის რაოდენობრივი შემადგენლობა განისაზღვრება მისი არჩევის დროს. სასამართლოების თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები, რაიონული (ქალაქის) სახალხო სასამართლოების თავმჯდომარეთა გამოკლებით, საკვალიფიკაციო კოლეგიების შემადგენლობაში არ შედიან.

5. მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიებს ირჩევენ ხუთი წლის ვადით. მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიები თავიანთი მუშაობის ანგარიშს აბარებენ მოსამართლეთა კონფერენციებს ან მათი ამრჩევი სასამართლოების პლენუმებს.

6. მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიების არჩევნების წესსა და საქმიანობის ორგანიზაციას განსაზღვრავს დებულებანი, რომლებსაც ამტკიცებენ შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოები.

#### **მუხლი 16. საკვალიფიკაციო კოლეგიების უფლებამოსილება**

1. მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიები:

აფასებენ სახალხო მოსამართლედ პირველად წამოყენებული ყოველი კანდიდატის მომზადებას სასამართლო მუშაობისათვის და უტარებენ საკვალიფიკაციო გამოცდას მოსამართლეობის კანდიდატს;

გამოაქვთ დასკვნა სახალხო მოსამართლეობის ან ზემდგომი სასამართლოს წევრობის კანდიდატის წამოყენების შესაძლებლობის შესახებ;



აწყობენ მოსამართლეთა საკვალიფიკაციო ატესტაციას;  
გამოაქვთ დასკვნა მოსამართლის გაწვევის საკითხის გამო;  
განიხილავენ მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს.

2. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოსა და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების საკვალიფიკაციო კოლეგიები ამას გარდა განიხილავენ საჩივრებს ქვემდგომი საკვალიფიკაციო კოლეგიების გადაწყვეტილებებზე მოსამართლეთა გაწვევისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხთა გამო.

## პარი VI

### **მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევა და ვადამდე განთავისუფლება. მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა**

#### **მუხლი 17. მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევა და ვადამდე განთავისუფლება**

1. მოსამართლეებსა და სახალხო მსაჯულებს შეიძლება ვადამდე ჩამოერთვათ უფლებამოსილება სოციალისტური კანონიერების დარღვევის ან სახელის გამტეხი საქციელის ჩადენისათვის, რომელიც შეუთავსებელია მათს საპატიო წოდებასთან, მხოლოდ და მხოლოდ მათი ამრჩევი ორგანოს ან ამომრჩეველთა გაწვევით, აგრეთვე მათს თაობაზე შემდგარი სასამართლოს საბრალდებო განაჩენის გამო, რომელმაც შეიძინა კანონის ძალა.

2. მოსამართლეები და სახალხო მსაჯულნი შეიძლება ვადამდე განთავისუფლდნენ დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებისაგან:

ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, რომელიც ხელს უშლის მუშაობის განგრძობას;

სხვა თანამდებობაზე არჩევის ან, მათი თანხმობით, სხვა სამუშაოზე გადაყვანის შედეგად;

საკუთარი სურვილით.

3. სსრ კავშირის სასამართლოებისა და მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოების მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევისა და ვადამდე განთავისუფლების წესს განსაზღვრავს შესაბამისად სსრ კავშირის კანონმდებლობა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

4. მოსამართლეთა გაწვევის საკითხი წყდება მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიისა და მოკავშირე რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს ან სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს დასკვნების გათვალისწინებით.

#### **მუხლი 18. მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა**

1. მოსამართლე შეიძლება მიეცეს დისციპლინურ პასუხისმგებაში:

სასამართლო საქმეების განხილვისას კანონიერების დარღვევისათვის;

სხვა სამსახურებრივი გადაცდომისათვის;

სახელის გამტეხი საქციელისათვის.

2. დისციპლინურ პასუხისმგებაში მოსამართლეთა მიცემის წესს ადგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

3. სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება ან შეცვლა თავისთავად არ



იწვევს ამ გადაწყვეტილების გამოტანის მონაწილე მოსამართლის პასუხისგებას, თუ ამასთან მას არ დაუშვია კანონის განზრახ დარღვევა ან არაკეთილსინდისიერება, რომელსაც მოჰყვა არსებითი შედეგები.

## პარა VII

### დასკვნითი დებულებანი

#### მუხლი 19. მოსამართლეთა საკვალიფიკაციო ატესტაცია

მოსამართლეები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ დადგენილი წესით გადაიან ატესტაციას, რომლის შედეგების მიხედვით კვალიფიკაციისა და მუშაობის გამოცდილების გათვალისწინებით მათ ენიჭებათ საკვალიფიკაციო კლასები.

#### მუხლი 20. მოსამართლეთა მატერიალური და სოციალური უზრუნველყოფა

1. მოსამართლეებს ხელფასი უწესდებათ საკვალიფიკაციო ატესტაციის გათვალისწინებით. კვალიფიკაციისათვის მოსამართლეთა თანამდებობრივი სარგოს დანამატის დანიშვნის, აგრეთვე საპენსიო უზრუნველყოფის წესსა და ოდენობას ადგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

2. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები მოვალენი არიან არჩევიდან არა უგვიანეს ექვსი თვისა უზრუნველყონ მოსამართლე კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სადგომით ცალკე ბინის ან სახლის სახით.

#### მუხლი 21. მოსამართლეთა შეთავსებით მუშაობა

სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში, აგრეთვე კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მოსამართლეთა მუშაობა შეთავსების პირობებით არ დაიშვება, გარდა პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობისა.

#### მუხლი 22. სახალხო მსაჯულებისათვის ხელფასის, სხვა გადასახდელებისა და შეღავათების შენარჩუნება სასამართლოში მათ მიერ მოვალეობის შესრულების დროს

1. სახალხო მსაჯულებს სასამართლოში მოვალეობის შესრულების დროს ენახებათ საშუალო გამომუშავება მუდმივ სამუშაო ადგილზე.

2. სხვა გადასახდელებისა და შეღავათების მიმართ სახალხო მსაჯულთა მიერ სასამართლოში მოვალეობის შესრულების დრო გათანაბრებულია ძირითადი სამუშაოს შესრულების დროსთან.

3. სასამართლოში სახალხო მსაჯულთა მიერ მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესსა და ოდენობას ადგენს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

#### მუხლი 23. სასამართლო ხელისუფლების სიმბოლოები. მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის მოწმობები

1. სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოში სასამართლო ხელისუფლების სიმბოლოს წარმოადგენს მოსამართლის მანტია, რომელზეც გამოსახულია სსრ კავშირის სახელმწიფო გერბი. მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოებში სასამართლო ხელისუფლების სიმბოლოებს ადგენს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.



2. მოსამართლეებსა და სახალხო მსაჯულებს ეძლევათ მოწმობები, რომელთა ნიმუშებს ადგენენ:

მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოებისათვის — მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმები;

სსრ კავშირის სასამართლოებისათვის — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მ. გორბაჩოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1989 წლის 4 აგვისტო.

## სსრკ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

„სსრ კავშირში მოსამართლეთა სტატუსის თაობაზე“  
სსრ კავშირის კანონის სამოქმედოდ შეიმოღების  
წესის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

**მუხლი 1.** შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ სსრ კავშირის კანონი „სსრ კავშირში მოსამართლეთა სტატუსის შესახებ“ 1989 წლის 1 დეკემბრიდან.

**მუხლი 2.** დაევალოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კანონმდებლობის, კანონიერებისა და მართლწესრიგის საკითხთა კომიტეტს შეიტანოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წინადადებანი „სსრ კავშირში მოსამართლეთა სტატუსის შესახებ“ სსრ კავშირის კანონთა მოქმედი კანონმდებლობის შესატყვისობის თაობაზე. ამ მიზნით, საჭიროდ ჩაითვალოს მომზადდეს შემდეგი საკანონმდებლო აქტები:


სსრ კავშირის კანონი „სასამართლოსადმი უპატივცემლობისა და სასამართლო საქმეთა გადაწყვეტაში ჩარევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ (ამუშავებს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო 1989 წლის 1 ოქტომბრამდე ვადაში);

ახალი რედაქცია სსრ კავშირის კანონისა „სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს შესახებ“ (ამუშავებს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო 1990 წლის 1 იანვრამდე ვადაში);

სსრ კავშირის კანონი „სამხედრო ტრიბუნალების შესახებ“ (ამუშავებენ სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრო და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო 1989 წლის 1 ოქტომბრამდე ვადაში);

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებანი „მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის ფიცის შესახებ“, „მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიების დებულების დამტკიცების შესახებ“, „მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის, მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა გაწვევისა და ვადამდე განთავისუფლების დებულების დამტკიცების შესახებ“, „მოსამართლეთა ატესტაციის შესახებ“ (ამუშავებენ სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრო და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი).





ნისტრო და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო 1989 წლის 1 ოქტომბერამდე ვადაში).

**მუხლი 3.** დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ორი თვის ვადაში გადაწყვიტოს საკითხი, რომ გაუმჯობესდეს სასამართლოების, პროკურატურისა და იუსტიციის მუშაკთა მატერიალური უზრუნველყოფა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროსა და სსრ კავშირის პროკურატურის მიერ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში წინათ შეტანილ წინადადებათა შესაბამისად, ამასთან განახორციელოს აღნიშნული ხარჯების დაფინანსება სახელმწიფო ბაჟის განაკვეთების მოწესრიგების გზით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მ. გორბაჩოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1989 წლის 4 აგვისტო.

## საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის დადგენილება

**რესპუბლიკის საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან საქართველოს  
სსრ იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლობის შესახებ**

ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნის პროცესებმა მნიშვნელოვნად გამოაცოცხლა მოსახლეობის პოლიტიკური, სოციალური და ეროვნული აქტივობა, მოქალაქეობრივი თვითშეგნება. რესპუბლიკის საზოგადოება ცხოველ ინტერესს იჩენს ეკონომიკის, სამართლის, ეკოლოგიის, დემოგრაფიის, კულტურის, განათლების, რელიგიის, ეროვნებათაშორისო პრობლემებისადმი, ერის ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის შემდგომი გაფართოებისადმი.

გარდაქმნამ გაააქტიურა საზოგადოების დიდი შემოქმედებითი პოტენციალი და სასიცოცხლო ინტელექტუალური იმპულსი მისცა პოლიტიკურ, სოციალურ და განსაკუთრებით ეროვნულ მოძრაობას.

მოქალაქეთა ინიციატივით იქმნება საზოგადოებები, საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოები, სხვა ორგანიზაციები, მათი კავშირები და მოძრაობები, რომლებიც სამოქმედო პლატფორმებს განსაზღვრავენ თავიანთ წესდებებსა და პროგრამებში და მათ საფუძველზე წარმართავენ პრაქტიკულ საქმიანობას, რაც, როგორც წესი, ეყრდნობა კონსტიტუციას, მოქმედ კანონმდებლობას და განმსჭვალულია გარდაქმნის, საჯაროობისა და დემოკრატიზაციის კურსის მხარდაჭერით, ეროვნული კულტურის, ენის, სულიერი სფეროს, გარემო ბუნებისა და წარსულის მემკვიდრეობის შენარჩუნებაზე ზრუნ-



ვით, სახელმწიფოს წინაშე მდგომი დღემდე გადაუტრელი ამოცანების შესრულებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირების გზების ძიებით.

მათი თვითმყოფადი, დამოუკიდებელი მსოფლმხედველობა, თვალსაზრისი, მიზნის მიღწევის მეთოდები და პრაქტიკული მოქმედებანი, უპირატესად, პოზიტიურ ხასიათს ატარებს და ძირითადად ემთხვევა გარდაქმნის მიზნებს, გზებსა და ხერხებს. ამასთან, ზოგიერთი ორგანიზაციის წესდება და პროგრამა, აგრეთვე მოქმედების გზები ილუზიური და არარეალურია, აკლიათ იურიდიული არგუმენტაცია, დასაბუთებულობა, არ გამომდინარეობენ არა მარტო მოქმედი საბჭოთა კანონმდებლობიდან, არამედ არ ეთანხმებიან კიდევ აღამიანთა უფლებების განმსაზღვრელ საერთაშორისო აქტებს, საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ და სამართლებრივ ნორმებს.

საზოგადოებაში გაძლიერებულმა კრიტიკულმა განწყობამ, გარდაქმნის ჯერ მიღწეული შედეგებით დაუკმაყოფილებლობამ, დღევანდელი ცხოვრების სიძნელეებისა და მრავალი პრობლემის გადაუტრელობამ, ამასთან, საზოგადოების ერთი ნაწილის მხრივ ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებების არსის მცდარმა შეგნებამ, არასწორმა ორიენტირებამ, მოქმედი კანონმდებლობის არასაკმაო ცოდნამ და თანამედროვე სამართლებრივ სისტემაში არსებულმა ხარვეზებმა, უკიდურესად დაძაბა ვითარება მთელ ქვეყანაში, გაამწვავა საზოგადოებრივი და ერთაშორისი ურთიერთობები საქართველოში, რასაც ქ. თბილისის, აფხაზეთისა და ქვემო ქართლის ტრაგიკული შედეგები მოჰყვა.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგია შეშფოთებულია შექმნილი ვითარებით და გულისტკივილით აღიარებს, რომ ძნელბედობის ჟამს სამინისტროს სისტემის ყველა მუშაკმა, კოლეგიის წევრმა და ხელმძღვანელმა ვერ გამოიჩინა საჭირო ორგანიზებულობა, პრინციპულობა და მიზანსწრაფვა თავსდატეხილ პრობლემათა გადასაჭრელად, მიუტევებლად დათმო ინიციატივა სამართალშემოქმედების, სამართლის პროპაგანდის და კანონმდებლობის ახსნა-განმარტების საქმეში.

იუსტიციისა და სასამართლო სისტემის ზოგიერთმა მუშაკმა არასწორად შეიცნო თავისი ადგილი, გარდაქმნისა და ეროვნული განვითარების პერსპექტივებზე და ადვილად შეიცვალა მსოფლმხედველობა, დაიკავა მერყევი პოზიცია და აიჩრია მოქმედების მცდარი გზა, დაივიწყა, რომ იურისტს აქვს საზოგადოებისა და ერის ინტერესებისათვის სასარგებლო მოღვაწეობის ბევრად უფრო ქმედითი გზები — სამართალდარღვევების თავიდან აცილების, დამნაშავეობასთან ბრძოლის, დემოკრატიული საზოგადოების სწორი და სადაგი ეროვნული კანონმდებლობის შემუშავების და სხვა საპატიო პროფესიული ვალდებულებების შესრულების პერსპექტივები.

დღეისათვის გადაუდებელ ამოცანად დგას საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობისათვის კონსტრუქტული მიზანმიმართულების მინიჭების, საერთო აღმშენებლობით საქმიანობაში მათი ჩაბმის საკითხი. ამიტომ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიას მიზანშეწონილად მიაჩნია ამ მიზნით კარდინალურად შეცვალოს მუშაობის სტილი, ახალი ვითარების შესაბამისად თამამად იკისროს ახალი მოვალეობები, შესძლოს მუშაობის ახლებურად წარმართვა, დაუახლოვდეს ხალხს, ეძებოს საზოგადოებრივ გაერთიანებებთან და მოძრაობებთან თანამშრომლობის გზები, ღრმად და საფუძვლიანად დაეუფლოს მათთან ურთიერთობის, დისკუსიის კულტურას, დახმარება აღმოუჩინოს საჭირობოროტო საკითხების სწორად, იურიდიულად არგუმენტი-



რებულ დაყენებაში, მათი პარლამენტური გზით გადაჭრის საქმეში, ხელი შეუწყოს მშრომელების სასიცოცხლო პრობლემების კონსტიტუციურ გადაწყვეტას, ცხოველი ურთიერთობა, მუდმივი დიალოგი დაამყაროს მათ სიცოცხლისუნარიან ინტელექტუალურ ძალებთან საერთო პოლიტიკის და მოქმედების ერთიანი პლატფორმის შესამუშავებლად.

იუსტიციის სამინისტროს კოლეგია გამოთქვამს მზადყოფნას აღნიშნული ურთიერთობების დამყარების გზაზე გადადგას პირველი პრაქტიკული ნაბიჯი და ერთიანი მოქმედებების წარმართვის, ერთობლივი ღონისძიებების ჩატარების გზით აქტიურად ითანამშრომლოს რესპუბლიკაში მოქმედ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. მითუმეტეს, რომ ამ მიმართებით მას უკვე გააჩნია გარკვეული გამოცდილება, მაგალითად, რესპუბლიკის ფართო საზოგადოებრიობის მოთხოვნით ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართული წარმომავლობის მოქალაქეებისათვის ისტორიული ბედუკუღმართობის გამო დაკარგული ეროვნებისა და გვარების აღდგენის საქმეში. შეიმუშავა მოქალაქეთა გაერთიანებების წესდებათა რეგისტრაციის დროებითი წესის შესახებ კანონპროექტი, აქტიური დახმარება აღმოუჩინა „დემოკრატიული არჩევნები საქართველოში“ საზოგადოებას წესდების პროექტის შემუშავებაში და სხვა.

იზიარებს რა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს „საბჭოთა ხალხისადმი“ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის „რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელისადმი“ მიმართვებს, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგია ადგენს:

1. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებულ მყოფ იუსტიციის და სასამართლო ორგანოების საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად ჩაითვალოს საზოგადოებებთან, საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებთან და სხვა ორგანიზაციებთან, მათ კავშირებთან და მოძრაობებთან მჭიდრო მუდმივი, დროებითი თუ ერთჯერადი თანამოქმედება, სამოქალაქო თანხმობისა და ეროვნული კონსოლიდაციის ღონისძიებებისათვის აქტიური ხელის შეწყობა და მონაწილეობა;

2. რჩევა მიეცეს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სისტემის ყველა თანამშრომელს, იუსტიციისა და სასამართლოს ადგილობრივ ორგანოებს საქმიანი კონტაქტები დაამყარონ ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, შეიმუშაონ და განახორციელონ ერთობლივ ღონისძიებათა გეგმები, კვალიფიციური ახსნა-განმარტებითი საკონსულტაციო მუშაობა გასწიონ მათთან სსრ კავშირის, საქართველოს სსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციების, მოქმედი კანონმდებლობის და კანონპროექტების, აგრეთვე საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების შესახებ;

— აქტიური მონაწილეობა მიიღონ რესპუბლიკის კონსტიტუციის და სხვა ეროვნული საკანონმდებლო აქტების შემუშავებაში;

— ქმედითი დახმარება აღმოუჩინონ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს საწესდებო ამოცანების განსაზღვრასა და განხორციელებაში.

3. საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მოძრაობებთან საქმიანი და შემოქმედებითი კონტაქტების დამყარების და თანამოქმედების მიზნით შეიქმნას სპეციალური ჯგუფი საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილის ახ. ა. გ. ტალიაშვილის ხელმძღვანელობით (დანართი № 1) და დამტკიცდეს სა-



ზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ერთობლივი ღონისძიებების გეგმა (დანართი № 2);

4. მიზანშეწონილად ჩაითვალოს ერთი თვის ვადაში შემუშავებულ იქნეს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს საკადრო პოლიტიკის პროგრამა (ამხ. ვ. შარაშენიძე);

5. დადგენილება დაეგზავნოს რესპუბლიკის საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ყველა სასამართლოს, სანოტარო კანტორას, იურიდიულ კონსულტაციას, სხვა დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს.

კოლეგიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ვ. შარაშენიძე.

**საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული  
რესპუბლიკის საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და  
მოქარაუხებთან საქმიანი და უმომხმადებელი კონტაქტების  
დამყარებისა და თანამშრომლობის ჯგუფი:**

1. ა. ტალიაშვილი, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე (ჯგუფის ხელმძღვანელი);
2. ვ. აღანია, სასამართლოების, სასამართლო სტატისტიკისა და საექსპერტო დაწესებულებების სამმართველოს უფროსი;
3. ლ. ნიკურაძე, კანონპროექტების მომზადების, სისტემატიზაციისა და კოდიფიკაციის განყოფილების უფროსი;
4. გ. მიქანაძე, სამართლის პროპაგანდის, მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდისა და სამართლებრივი სწავლების განყოფილების უფროსი;
5. მ. რაჭმაძე, სოციალისტური ორგანიზაციებისა და მოქალაქეთა სამართლებრივი მომსახურების განყოფილების უფროსი;
6. ა. კალმახელიძე, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე;
7. ც. კვატაშიძე, სოციალისტური ორგანიზაციებისა და მოქალაქეთა სამართლებრივი მომსახურების განყოფილების უფროსის მოადგილე;
8. ე. გურგენიძე, საქართველოს სსრ კანონთა წიგნის მომზადების რედაქციის გამგე;
9. ნ. სხირტლაძე, მთავარი კონსულტანტი;
10. დ. გოგიბერიძე, უფროსი კონსულტანტი;
11. თ. შარიქაძე, უფროსი კონსულტანტი;
12. თ. მირესაშვილი, უფროსი კონსულტანტი;
13. ი. ტაბუცაძე, თბილისის საქალაქო სასამართლოს წევრი;
14. გ. ბერძენიშვილი, ყურნალ „საბჭოთა სამართლის“ პასუხისმგებელი მდივანი;
15. ა. არსენაშვილი, ყურნალ „საბჭოთა სამართლის“ მეცნიერ-რედაქტორი.



ბრძანებით განსახილველად

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო და პრესაში უკვე გამოქვეყნდა კანონი „სსრ კავშირში მოსამართლეთა სტატუსის შესახებ“. ამ კანონის მე-11 მუხლის თანახმად, საჭიროა განისაზღვროს მოსამართლისა და სახალხო მსაჯულის ფიცის ტექსტი, მისი დადების წესი.

გამომდინარე აქედან, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს რესპუბლიკის საზოგადოებრივის წინაშე ფართოდ განხილვის მიზნით გამოაქვს მოსამართლის (სახალხო მსაჯულის) ფიცის ერთ-ერთი პროექტი.

ვაძვეყნებთ რა ამ ტექსტს, მკითხველს ვთხოვთ გამოთქვან თავიანთი აზრი და წამოაყენონ წინადადებაჲ ფიცის კიდევ უფრო სრულყოფისა და დახვეწისათვის, ისაუბრონ მისი დადების წესზე და სხვ. საქმიან და გამართლებულ შენიშვნებს დიდი სიამოვნებით გავითვალისწინებთ.

(პროექტი)

# მოსამართლის (სახალხო მსაჯულის) ფიცი

მე \_\_\_\_\_ ვიკავებ

(გვარი, სახელი, მამის სახელი)

რა \_\_\_\_\_ მოსამართლის

სასამართლოს დასახელება

(სახალხო მსაჯულის) თანამდებობას, საზეიმოდ ვდებ ფიცს:

— მაღალი პასუხისმგებლობითა და მოქალაქეობრივი სიმტკიცით შევასრულო ჩემზე დაკისრებული მოვალეობანი;

— კონსტიტუციისა და საბჭოთა კანონების თანახმად, მათი ზუსტად დაცვითა და გატარებით, ყოველგვარი მიკერძოების გარეშე, კვალიფიციურად და პატიოსნად განვახორციელო მართლმსაჯულება;

— ყველგან და ყოველთვის ღირსეულად დავიცვა მოსამართლის მაღალი წოდება;

— ყოველმხრივ შევეუწყო ხელი სამართლებრივი სახელმწიფოს, სოციალური სამართლიანობისა და სოციალისტური კანონიერების შექმნასა და განმტკიცებას;

— საიმედოდ დავიცვა მოქალაქეთა და ორგანიზაციათა კანონიერი უფლებები და ინტერესები ყოველგვარი მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან;

— აღვზარდო მშრომელები მაღალი ჭართლშეგნებით, ჩავუნერგო მათ საბჭოთა კანონებისა და სოციალისტური საზოგადოების წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთება;

— სრულად მაქვს შეგნებული და არც არასოდეს დამავიწყდება ის დიდი პასუხისმგებლობა, რაც მე დღეიდან მეკისრება ხალხისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე.

— თუ დავარღვევ ამ საზეიმო ფიცს, დაე, დავისაჯო საბჭოთა კანონის მთელი სიმკაცრით.



# მევენე გზა კოოპერაციას!

XIX პარტიული კონფერენციის შემდეგ განსაკუთრებით სრულად იგრძნობა ძველანაში მიმდინარე გარდაქმნის პროგრესული ხასიათი, ახალ პოზიციებს აღწევს დამოკრპატიზაცია და საჯაროობა. სრული სა-  
მუხრნო ანაპრივისა და თვითღაფინანსების პრინციპები წარმატებით  
მკვიდრღება სახალგო მუხრნოების მრავალ ღარგში. ღღის წმსრიგში  
ღბას კოოპერაციული მოძრაობის ყოველმხსრივი განვითარება. მასზე  
გავრად არის დამოკიდებული მნიშვნელოვანი წარმატებების მიღწევა  
სოციალისტურ მუენაგლოგაში. სსრ კავშირში კოოპერაციის უმასახვა  
ახალი კანონის უმუჟე კოოპერაციულ ურთიერთობათა კოოპლემებს  
მხება სწორედ ჩვენი უზრნალის კასუსისგებაელი მღივნის გე ლა გერ-  
ქენიშვილისა და იურიდიულ მესნიერებათა დოქტორის, კოოპერა-  
სორ რ. რ. მან უენგელიას ეს ღიალგო.

— ბატონო რომან, სსრ კავშირში კოოპერაციის შესახებ კანონი განსაზღვრავს კოოპერაციების საქმიანობის ეკონომიკურ, სოციალურ, ორგანიზაციულ და სამართლებრივ პირობებს სოციალიზმის მშენებლობის თანამედროვე ეტაპის მიხედვით. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ადრე კოოპერაციულ მოძრაობას არ ექცეოდა ყურადღება ეკონომიკაში მისი მცირე მნიშვნელობის გამო?

— სოციალისტური საზოგადოების შესახებ მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებაში კოოპერაციულ ურთიერთობათა განვითარების აუცილებლობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია. ვ. ი. ლენინმა თავის შრომაში „კოოპერაციის შესახებ“ დაასაბუთა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ კოოპერაციული მოძრაობისათვის სოციალისტური ხასიათის მიცემის აუცილებლობა. ისეთ პირობებში, როცა სახელმწიფო ძალაუფლება მშრომელთა ხელშია, როცა სოციალისტურ სახელმწიფოს აქვს მიწა და წარმოების საშუალებანი, კოოპერაციის განვითარება სოციალიზმის სრულყოფის მძლავრი საშუალებაა, რომ კოოპერაცია საზოგადოებრივი წარმოების ყველა მონაწილის ინტერესების შეხამების საუკეთესო გზას წარმოადგენს. სწორედ ამიტომ ვ. ი. ლენინი მოითხოვდა სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოთა მკიდრო ურთიერთქმედებას, ქვეყნის საწარმოო და სოციალური პრობლემების გადაჭრაში მათს ერთობლივ მონაწილეობას. მისი აზრით, სწორედ დემოკრატიზმი და სამეურნეო ანგარიშიანობა, ინიციატივა და მოქნილობა ფართო ასპარეზს უქმნის ადამიანთა შემოქმედებითი უნარის ფართოდ გამოვლენას.

კოოპერაციის შესახებ ლენინური მოძღვრების განხორციელებამ ჩვენი სახელმწიფოს არსებობის პირველ პერიოდში ნაყოფიერი შედეგი გამოიღო. კოოპერაციული მოძრაობის წარმატებები მკიდროდ დაუკავშირდა ახალი ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი პრინციპების რეალიზაციას. 20-იან წლებში კოოპერაციამ თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია. პარტიისა და სახელმწიფოს მხარდაჭერით სწრაფად განვითარდა კოოპერაციის ბევრი ფორმა წარმოებასა და ვაჭრობაში, მომარაგებასა და გასაღებაში, ფი-



ნანსებსა და კრედიტში, საყოფაცხოვრებო მომსახურებასა და სხვა დარგებში. ქვეყანაში გაჩნდა ათობით სახეობის კოოპერტივი, მათი კავშირები და გაერთიანებანი, რომლებიც ბაზარს აწვდიდნენ სხვადასხვაგვარ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, აწარმოებდნენ უმარტივეს მანქანებსა და მოწყობილობებს, საშენ მასალებს, იღებდნენ მადანს და აღნობდნენ ლითონს, არემონტებდნენ ტექნიკას და საყოფაცხოვრებო საგნებს, კერავდნენ ფეხსაცმელსა და ტანსაცმელს და სხვ. ისინი აკეთებდნენ იმას, რაც საზოგადოებას ჭირდებოდა. კოოპერატივები დიდ როლს ასრულებდნენ მოსახლეობის მომარაგების საქმეში. სამომხმარებლო კოოპერაციის მეშვეობით საღებოდა სახელმწიფო მრეწველობის მიერ წარმოებული სამომხმარებლო საქონლის ნახევარზე მეტი. კოოპერაციული მოძრაობის განვითარებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნის დაჩქარებას, მოსახლეობის აქტიურობას ახალი ცხოვრების მშენებლობაში. სამწუხაროდ, ეს პროცესი დიდხანს არ გაგრძელდება. კოოპერაციის შესახებ ლენინური მოძღვრების ნოვატორული იდეები თანდათან სერიოზულად გაღარბდა. კოოპერატივები შემორჩა მხოლოდ სოფლად და ისიც პრაქტიკულად ერთადერთი ფორმით — სასოფლო-სამეურნეო არტელების სახით. ამავე დროს კოლმეურნეობებს უკისრებოდათ სახელმწიფო სექტორის უმცროსი პარტნიორის როლი. ეს ხდებოდა არა მარტო კოლექტივიზაციის განხორციელების პერიოდში, არანედ შემდგომაც, როცა საბოლოოდ გააუქმეს სარეწაო კოოპერაცია, კოლმეურნეობები ადმინისტრაციული მეთოდებით გადააქციეს საბჭოთა მეურნეობებად, კრძალავდნენ და ზღუდავდნენ სხვა სახის კოოპერაციულ საქმიანობას. ყოველივე ამან გამოიწვია სახელმწიფო სექტორსა და კოოპერატივებს შორის არაექვივალენტური გაცვლა, საზოგადოების ცხოვრების დემოკრატიული საფუძვლებისა და კოოპერაციის როლის მნიშვნელოვანი შეზღუდვა, კოოპერაციისა და საკუთრების კოოპერაციული ფორმის ფაქტობრივი გასახელმწიფოებრიობა. კოოპერაციისადმი ასეთი დამოკიდებულების შედეგი დღესაც თვალნათლივ იგრძნობა: ვაკუანურდა სასურსათო პროგრამის გადაწყვეტა, წარმოიქმნა სახალხო მოხმარების ბევრი საქონლის დეფიციტი და ასორტიმენტის სიმცირე, შეიზღუდა მომსახურების სფერო, გაიზარდა გამოუყენებელი შრომითი რეზერვებიც და მატერიალური რესურსების დანაკარგები, სერიოზულად შემცირდა განვითარების უმნიშვნელოვანესი სოციალური ფაქტორები. ასეთმა მდგომარეობამ დღის წესრიგში დააყენა კოოპერაციისაკენ შემობრუნება. პარტიის XXVII ყრილობაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ კოოპერაციას სრულიადაც არ ამოუწურავს თავისი შესაძლებლობანი.

— მკითხველს უთუოდ დაინტერესებს თუ კონკრეტულად რაში გამოიხატება კოოპერაციის შესაძლებლობანი ჩვენი საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე? ხომ არ შეიძლება კოოპერაციაში მეურნეობის სოციალისტური სისტემისათვის უცხო ელემენტები?

— დღევანდელ პირობებში სახალხო მეურნეობის რადიკალური გარდაქმნის რთული და მასშტაბური ამოცანების გადაწყვეტა შესაძლებელია არა მხოლოდ ეკონომიკის სახელმწიფო სექტორის ყოველმხრივი განვითარების გზით, არამედ სოციალისტური მეურნეობრიობის ისეთი ეფექტიანი ფორმით როგორცაა, კოოპერაცია. უნდა აღორძინდეს კოოპერაციული მოძრაობა. მაგრამ უნდა აღორძინდეს არა ძველი, ხშირად მარტივი ფორმები, არამედ უნდა შეიქმნას თანამედროვე ფართოდ ინტეგრირებული, ტექნიკურად კარ-



გად აღჭურვილი კოოპერაცია, რომელსაც შეუძლია აწარმოოს უმაღლესი ხარისხის პროდუქცია და მომსახურება თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე, კონკურენცია გაუწიოს სამამულო და საზღვარგარეთულ საწარმოებს. კოოპერაციას, რომელიც თვითმოქმედების და შემოქმედებითი აქტიურობის გამოვლენის, თანმიმდევრულ დემოკრატიულ საფუძველზე ეკონომიკური და სოციალური პროცესების უშუალო მართვაში მშრომელთა ჩაბმის უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ ფორმას წარმოადგენს, შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს სასურსათო პროგრამის გადაჭრაში, კარგი ხარისხის სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გაზრდაში, მომსახურების სფეროს გაფართოებაში, საბჭოთა ადამიანის შრომის, ცხოვრებისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებაში.


კოოპერაციული ფორმების ფართოდ გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს მსხვილი და პატარა საწარმოების ოპტიმალური შეხამებისათვის. მსხვილ სახელმწიფო საწარმოებს, რომლებიც ჩვენი ეკონომიკის საძირკველს შეადგენენ, მრავალფეროვანი და რაც მთავარია, ცვალებადი მოთხოვნისადმი მუდმივი მისადაგება უძნელდებათ. ამიტომ უნდა შეიქმნას საშუალო და მცირე საწარმოები, რომლებსაც მოქნილი, მანევრული სტრუქტურა ექნებათ და უშუალოდ იქნებიან ორიენტირებულნი მათი პროდუქციის მომხმარებელზე, სწორედ ასეთი მოქნილობა და ოპერატიულობა ახასიათებს კოოპერაციას. და რადგან იგი ორგანულად ერწყმის ეკონომიკის სახელმწიფო სექტორში მეურნეობრიობის გარდაქმნასა და დემოკრატიზაციას, ისახება იმის რეალური შესაძლებლობა, რომ დავძლიოთ მრავალი ნეგატიური ტენდენცია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში.

გარდა ამისა, კოოპერაციამ უნდა შეასრულოს უდიდესი სოციალური მნიშვნელობის მისიაც — საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით საქმიანობაში ჩააბას სახელმწიფო სექტორში დაუსაქმებელი პენსიონერები, ინვალიდები, დიასახლისები, სტუდენტები და მოსწავლეები. ასეთივე სამსახური უნდა გაუწიოს მან სახალხო მეურნეობაში ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვით, მართვისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფით გამოთავისუფლებულ მოქალაქეებს.

კოოპერაციის სხვადასხვა ფორმის ფართოდ დანერგვა და გამოყენება, მის განვითარებაში დაუსაბუთებელი და უკანონო შეზღუდვების აღმოფხვრა მას, სახელმწიფო სექტორის თანაბრად, გარდაქმნის ნამდვილ და აქტიურ მონაწილედ ხდის.

კოოპერაციული მოძრაობის აღმავლობისათვის გამიზნულ კურსს, რომელიც პარტიისა და სახელმწიფოს საქმიანობას ახასიათებს, ზოგიერთები უნდობლობით ეკიდებიან, ხოლო ზოგჯერ ეწინააღმდეგებიან კიდევ, ესენი არიან არა მარტო პარტიული და საბჭოთა მუშაკები, არამედ სამეურნეო ხელმძღვანელები და სწავლულებიც. მათ კოოპერაცია რატომღაც მეურნეობის სოციალისტურ ფორმად კი არა, კერძო მესაკუთრული საქმიანობის დაბრუნებად მიაჩნიათ, ისინი ჯერ კიდევ განაგრძობენ საეკვო არგუმენტების მოშველიებით კოოპერაციული მოძრაობის უპერსპექტივობის დოგმების დაცვას. თანაც კოოპერაციისადმი წინააღმდეგობა სოციალიზმის მარქსისტულ-ლენინური თეორიის სიწმინდისადმი ვითომდაც ზრუნვით ინიღბება. განსაკუთრებით არ მოსწონთ ასეთ ოპონენტებს კოოპერატივებისათვის მიწის ნაკვეთებისა და ძირითადი ფონდების გრძელვადიანი იჯარის საფუძველზე გადაცემის შესაძ-





ლებობა. მათი აზრით, მიწის იჯარა შეუთავსებელია ჩვენს აგრარულ პოლიტიკასთან და ეწინააღმდეგება სოციალიზმის საფუძვლებს. ასეთი პოზიცია, რომელმაც ადრეც მოიკიდა ფეხი, და რომლის გამოც შეიზღუდა კოოპერაციული მოძრაობა, პრინციპულად მცდარია და დასაგმობი. „კოოპერაცია, როგორც ექსპლოატაციისა და კლასობრივი ანტაგონიზმისაგან თავისუფალ საზოგადოებაში მშრომელთა მასობრივი სოციალური მოძრაობა, თავისი ბუნებით მთლიანად ემთხვევა სოციალიზმის ამოცანებს, მის შრომითსა და კოლექტივისტურ მიზნებს“, — ხაზგასმით აღნიშნა მიხელ გორბაჩოვმა. რაც შეეხება სანარდო და საიჯარო ფორმების გამოყენებას კოოპერაციულ მოძრაობაში, სწორედ მათი მეშვეობით უნდა მოხდეს მიწათმოქმედების ეფექტიანობის მნიშვნელოვანი ზრდა. აღნიშნული ფორმების გამოყენება ქმნის სწორედ გლეხობისა და ქვეყნისათვის სახნავ-სათესითა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით მაქსიმალურად შესაძლო სარგებლის მიღების პერსპექტივას. სწორედ აქედან გამომდინარეობს ის ახალი შესაძლებლობანი, რომელიც კოოპერაციამ უნდა შეასრულოს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების საქმეში. გარდაქმნამ არა მარტო გამოაღვიძა საზოგადოებრივი ინტერესი კოოპერაციისადმი, არამედ ფართო წანამძღვრებიც შექმნა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მისი თავისუფლად შეღწევისათვის.

— **საინტერესოა როგორი იყო ადრე მოქმედი კოოპერაციული კანონმდებლობა და რამ განაპირობა კოოპერაციის შესახებ ახალი კანონის მიღება?**

— კოოპერაციის განვითარებას უკვე აღნიშნულ მიზეზებთან ერთად ხელს უშლიდა შესაბამისი კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები. საკანონმდებლო მასივის უმეტესობა დაუხვეწელი იყო. ამასთან, გვხვდებოდა ისეთი ნორმებიც, რომლებიც ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა. უფრო მეტიც, ზოგიერთი ნორმატიული აქტი არამცთუ ახალისებდა კოოპერაციის განვითარებას, არამედ პირიქით, ამუხრუჭებდა მას. რაც შეეხება ისეთ აქტებს, რომლებიც კოოპერაციული ორგანიზაციის დამოუკიდებლობას იცავდა და მისი გაფართოება-განვითარებისაკენ იყო მიმართული, ისინი ხშირად ირღვეოდა და არ სრულდებოდა. სწორედ ამან გამოიწვია კოლმეურნეობათა ზედმეტი რეგლამენტაცია და ადმინისტრირების საფუძველზე მათი მართვა. არადა, კოოპერაციისათვის, მისი ბუნებისათვის უცხოა ადმინისტრირება. მბრძანებლურობას, იძულებით განაწესებს, უგუნურ აკრძალვებს შეუძლიათ მხოლოდ ჩაკლან და წაახდინონ საქმე, საბოლოო ანგარიშით სახელი გაუტეხონ მას და მოსპონ მისი განვითარების პერსპექტივა. სწორედ ამიტომ საჭირო შეიქმნა ახალი ერთიანი საერთო-საკავშირო საკანონმდებლო აქტი. კანონის პროექტი კოოპერაციის შესახებ საყოველთაო სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდა გასული წლის მარტის თვეში, ხოლო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ მისში მიიღო შესაბამისი კანონი, რომელიც ძალაში შევიდა 1 ივლისიდან.

ახალი კანონის მიზანია კოოპერაციულ-საკოლმეურნეო საკუთრების განმტკიცება-განვითარება, კოოპერაციული დემოკრატიის დამცავი სამართლებრივი მექანიზმის შექმნა, ყოველგვარი კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობის ეკონომიკური, ორგანიზაციული და სამართლებრივი საფუძვლების ჩამოყალიბება, მათი უფლება-მოვალეობების განსაზღვრა.

კოოპერატივების შექმნასთან და მის საქმიანობასთან დაკავშირებულ ურ-



თიერთობებს, აღნიშნულ კანონთან ერთად, არეგულირებენ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სხვა საკანონმდებლო აქტები, რომლებიც მის საფუძველზე გამოიცემა. ასეთ აქტებს შორის აღსანიშნავია კოლმეურნეობათა წესდება, კოოპერატივების ცალკეულ სახეობათა წესდებები და სხვ. კანონი კოოპერაციის შესახებ მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელმწიფო საწარმოს შესახებ კანონის დებულებებთან და ეკონომიკური რეფორმის სხვა ნორმატიულ აქტებთან. იგი მათთან ერთად მნიშვნელოვნად აფართოებს თანამედროვე სამეურნეო მექანიზმის ფუნქციონირების სამართლებრივ ბაზას.

— ბატონო რომან, რა ტიპის კოოპერატივების შექმნას ითვალისწინებს ახალი კანონი და როგორია მათი სამართლებრივი სტატუსი?

— კოოპერატივი როგორც კოოპერაციის სისტემის პირველადი რგოლი, არის იურიდიული პირი, რომელსაც გააჩნია დამოუკიდებელი ბალანსი. კოოპერატივები შეიძლება შეიქმნას და მოქმედებდეს სოფლის მეურნეობაში, სადაც მათი უპირატესი ფორმაა კოლმეურნეობები, მრეწველობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე, ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში, ფასიანი მომსახურების სფეროს, წარმოების და სოციალურ-კულტურული ცხოვრების სხვა დარგებში. ისინი ძირითადად ორ სახედ იყოფიან: საწარმოო და სამომხმარებლო. საწარმოო კოოპერატივები ახორციელებენ საქონლის, პროდუქციის, სამუშაოთა წარმოებას, აგრეთვე ფასიან მომსახურებას უწყვეტ ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს. ასეთი კოოპერატივების საქმიანობას საფუძვლად უდევს მათი წევრების პირადი შრომითი მონაწილეობა. სამომხმარებლო კოოპერატივები კი აკმაყოფილებენ თავიანთი წევრებისა და სხვა მოქალაქეების მოთხოვნილებებს სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე, ბინებზე, აგარაკებზე, ბალის ნაკვეთებზე და სხვა.

სამომხმარებლო კოოპერატივებს შეუძლიათ აგრეთვე განავითარონ საწარმოო საქმიანობაც, რაც მათ შერეული ტიპის კოოპერატივების სახეს აძლევს.

კოოპერატივის შემადგენლობაში შეიძლება შეიქმნას სტრუქტურული ქვედანაყოფები: განყოფილებები, სააშქროები, ფერმები, სახელოსნოები, ატელიები, მაღაზიები და სხვ., რომლებიც მოქმედებენ, როგორც წესი, ინდივიდუალური, კოლექტიური და ოჯახური ნარდობის საწყისებზე, მათ შორის, ქონების იჯარით. კოოპერატივებს შეუძლიათ შექმნან გაერთიანებანი ან კავშირები.

პრინციპული მნიშვნელობა აქვს კანონში არსებულ დებულებას კოოპერატივის ჩამოყალიბების შესახებ. ამისათვის ახლა არაა საჭირო საბჭოთა, სამეურნეო ან სხვა ორგანოს რაიმე სპეციალური გადაწყვეტილება. ისინი იქმნება მოქალაქეთა სურვილით მხოლოდ ნებაყოფლობით საწყისებზე. კოოპერატივის წევრი შეიძლება იყოს ყოველი 16 წელს მიღწეული მოქალაქე, რომელსაც სურს და უნარი შესწევს მონაწილეობდეს კოოპერაციის საქმიანობაში. ყოველ კოოპერატივს, რომლის შემადგენლობა 3 კაცზე ნაკლები არ უნდა იყოს, მინიჭებული აქვს უფლება შეუფერხებლად გაატაროს რეგისტრაციაში თავისი წესდება სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომში. ამით საფუძველი ეცლება ბიუროკრატიულ მიდგომას კოოპერატივების შექმნის პროცესში. კოოპერაციული მოძრაობის სამართლებრივ გარანტიად სრულე ნებაყოფლობის აღიარებამ გამოიწვია კოოპერატივების მასობრივად შექმნა. ჯერ კიდევ კანონის მიღებამდე, მისი პროექტის საყო-



ველთაო-სახალხო განხილვის სამ თვეზე ნაკლებ პერიოდში საბჭოთა კავშირში შეიქმნა 6 ათასი კოოპერატივი, უფრო სწრაფი ტემპებით ხდება კოოპერატივების შექმნა კანონის მიღების შემდეგ. გამოვლინდა გარკვეული ნაკლოვანებანიც. ჯერ კიდევ ყველგან მოგვარებული არ არის კოოპერატივების უზრუნველყოფა სათანადო შენობებით, ნედლეულით, მანქანა-იარაღებით და სხვ. ზოგჯერ კოოპერატივის შექმნის უფლებას არ აძლევენ იმ მიზეზით, რომ თითქოს არ შეიძლება ეკონომიკის სახელმწიფო სექტორიდან კოოპერაციულში მუშახელის წასვლა. ეს, რა თქმა უნდა, მოჩვენებითი წუხილია, რადგან არცერთ სექტორში მუშაობას პრიორიტეტი არა აქვს — სადაც უკეთესი პირობებია შრომისა და ცხოვრებისათვის, ადამიანიც იქ წავა სამუშაოდ. და ეს ლოგიკურია. აქ არავითარი შეზღუდვა არ უნდა იყოს. არცთუ იშვიათად გვხვდება კოოპერატივების შექმნის პროცესის ხელოვნური გაჭიანურება, ფულის გამოძალვა და სხვა დამახინჯებანი, რაც კატეგორიულად უნდა დაიგმოს და ყველა პირობა შეიქმნას კოოპერატივის ჩამოყალიბების გზაზე უსაფუძვლო შეზღუდვათა აღმოსაფხვრელად.

— რა თავისებურებები ახასიათებს კოოპერაციულ საკუთრებას და როგორია მისი სამართლებრივი დაცვის გარანტიები?

— კოოპერატივის ჩამოყალიბებისთანავე დღის წესრიგში დგება მისი ქონების სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრა. კოოპერატივის საკუთრება არის მისი კუთვნილი წარმოების საშუალებები და სხვა ქონება, რომელიც საწესდებო ამოცანათა განხორციელებისათვის სჭირდებათ. აქ შედის შენობები, მანქანა-იარაღები, სატრანსპორტო საშუალებები, წარმოებული პროდუქცია და სხვა, აგრეთვე ფულადი სახსრები, რომლებიც ყალიბდება კოოპერატივის წევრთა შენატანების, წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის და სხვა საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლის, აქციების, ფასიანი ქაღალდების გაყიდვისაგან და საბანკო კრედიტის ხარჯზე. კოოპერატივის საკუთრებას წარმოადგენს მის მიერ შექმნილი საწარმოებისა და ორგანიზაციების ქონება. კოოპერაციული საკუთრება, როგორც სოციალისტური საკუთრების ფორმა, ხელშეუხებელია და მას სახელმწიფო იცავს. კოოპერატივის ქონების განკარგვის უფლება ეკუთვნის მხოლოდ თვით კოოპერატივს. გამოწვევის შემთხვევაში, როცა ამისათვის საკმარისი საფუძველი არსებობს, შეიძლება კოოპერატივის საკუთრებიდან ამოღებულ იქნეს ქონება სასამართლოს ან არბიტრაჟის გადაწყვეტილებით. კოოპერატივის ქონებრივი განკერძოებულობა საფუძვლად ედება მის დამოუკიდებელ ქონებრივ პასუხისმგებლობას. კოოპერატივი პასუხს არ აგებს სახელმწიფოსა და თავისი წევრების ვალდებულებისათვის. კანონის ეს დებულებანი მიზნად ისახავს კოოპერაციული საკუთრების განმტკიცებას და მისი სამართლებრივი დაცვის გაძლიერებას. ეს აუცილებელია იმიტომ, რომ ადრეც და ახლაც ჩნდება შეხედულებები, რომელთა ავტორები კოოპერაციულ საკუთრებას სოციალურად არასრულფასოვნად აცხადებენ და აღნიშნავენ, რომ მან უკვე ამოწურა თავისი შესაძლებლობები. კარგად არის ცნობილი ამ თეორიულ მონაგონთა სავალალო შედეგები. სოფლის მეურნეობაში მას მოჰყვა მიწათმოქმედის გაუცხოება, საზოგადოებრივი საკუთრებისადმი დამოკიდებულების გრძნობის მოსპობა, წარმოების შედეგებით პირადი პასუხისმგებლობის დაკარგვა, სოფლების საგანგაშო გაუკაცრიელება. ხშირად ხდებოდა კოოპერაციული ქონების ჩამორთმევა და სხვა სახელმწიფო, კოოპერაციული საწარმოებისათვის, აგრეთვე, მოქალაქე-



ებისათვისაც გადაცემა ადგილობრივი ორგანოების განკარგულების საფუძველზე. კოოპერატივის ქონება არაიშვიათად ხმარდებოდა არასაწესდებო მიზნებს. ასლა კანონში პირდაპირ წერია: „არ შეიძლება კოოპერატივის ქონების გამოყენება მიზნებით, რომლებიც დაკავშირებული არ არის მის საწესდებო საქმიანობასთან“. ამგვარად, კანონი კოოპერატიულ საკუთრებას იცავს სახელმწიფო საკუთრების თანაბრად. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს კოოპერაციის საზღვრების უსასრულობას. როცა კოოპერატიული საკუთრების აღიარება ხდება სახელმწიფო საკუთრებასთან თანასწორუფლებიანად, ამავე დროს, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს სახელმწიფო საერთო-სახალხო საკუთრების წამყვანი როლი. ასეთი დასკვნა გამომდინარეობს მისი ხასიათიდან და იმ ადგილიდან, რომელიც მას რეალურად უკავია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში.

— **ბატონო რომან, რას ემყარება კოოპერაციის სისტემაში სამეურნეო მექანიზმის ეკონომიკური საფუძვლები?**

— კანონში კოოპერაციის შესახებ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კოოპერაციის სისტემაში სამეურნეო მექანიზმის სრულყოფილი სისტემის უზრუნველყოფ ნორმებს. მასში აღნიშნულია, რომ კოოპერაციის საქმიანობა იგება სოციალისტური მეურნეობრიობისა და თვითდაფინანსების, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის ფართოდ გამოყენების პრინციპების საფუძველზე. როგორც საწარმოო, ისე სამომხმარებლო კოოპერატივები მოქმედებენ სრული სამეურნეო ანგარიშის პრინციპზე. ისინი თვითონ განსაზღვრავენ თავიანთი საქმიანობის მიმართულებებს, წარმოების მოცულობას და სტრუქტურას, პროდუქციის წარმოებასა და მომსახურებას და სხვ. ამ სფეროში მათ სრული დამოუკიდებლობა გააჩნიათ.

კოოპერატივის ყოველგვარი სამეურნეო ოპერაცია, რაც დაკავშირებული იქნება ნედლეულის მიღებასთან, დამზადებული პროდუქციის რეალიზაციასთან თუ მომსახურებასთან, ხორციელდება მხოლოდ სახელშეკრულებო საფუძველზე. სწორედ ხელშეკრულებაა ერთადერთი სამართლებრივი და ეკონომიკური აქტი, რომლის საფუძველზეც ხდება კოოპერატივის საწესდებო ფუნქციების განხორციელება. კოოპერატივებსა და მათი პროდუქციის მომხმარებელთა შორის პირდაპირი სახელშეკრულებო ურთიერთობის ყოველმხრივი განვითარება გამოიწვევს იმას, რომ რაც უფრო მეტი იქნება ბაზარზე, მყიდველზე ორიენტირებული კოოპერატიული საწარმო, მით უფრო მალე მოეღება ბოლო დეფიციტის მახინჯ მოვლენებს, კოოპერატივების რიცხვის ზრდა გამოიწვევს მათ შორის კონკურენციის განვითარებას. ეს კი თავის მხრივ წარმოების დანახარჯებისა და ბაზრის ფასების შემცირების გზაა.

კოოპერატივი, რადგან იგი თვითანაზღაურებადი ორგანიზაციაა, ვერ იარსებებს თუ მისი მუშაობა ზარალიანია, ან არასაკმარისად რენტაბელურია. ამიტომ თითოეულ კოოპერატივს ჰქირდება ეკონომიკურად ხელსაყრელი სტრუქტურა. მომგებიანი კოოპერატივი ხელსაყრელია საზოგადოებისათვისაც, რადგან კოოპერატივის თვით არსებობის ფაქტი დაკავშირებულია მისი საქმიანობის ეფექტიანობასთან. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჭერჯერობით გვხვდება გარკვეული გადახრებიც. ზოგიერთ კოოპერატივში, განსაკუთრებით ისეთებში, რომლებიც ე. წ. ფარული ეკონომიკის, დეფიციტის ზონაში მოქმედებენ, შემოსავალი დაუსაბუთებლად დიდია. ასეთი შემოსავალი ჩვეულებრივ მიიღწევა არა შრომითი გულმოდგინებით, არამედ ბაზრის კო-



ნიუქტურის, საგაჰრო და სხვა ნაკლოვანებების მოხერხებულად გამოყენებით. ასეთი მდგომარეობა ხშირად იმის შედეგიცაა, რომ გარკვეული ნაკლოვანებები გვხვდება ფასწარმოქმნისა და საგადასახადო პოლიტიკის სფეროში.

კანონით კოოპერატივებს ფართო უფლებები ენიჭებათ ფასწარმოქმნის სფეროში. ისინი თვითონ ადგენენ საქონლის ან მომსახურების ფასს. კოოპერატივი ვერ განვითარდება თუ წარმოებულ პროდუქციას თავის საზარალოდ გაყიდის, ამავე დროს არც მყიდველი გადაიხდის იმ ფასს, რომელიც არ შეესაბამება საქონლის სამომხმარებლო თვისებებს და მყიდველის შემოსავალს. ფასების დადგენისას გაწონასწორებული უნდა იყოს მწარმოებლისა და მომხმარებლის ინტერესები.

ამასთან, კანონი ადგენს ფასების სახელმწიფო რეგულირების საზღვრებსაც. ცენტრალიზებული ფასები წესდება იმ შემთხვევაში, როცა კოლმეურნეობა ან სხვა კოოპერატივი ასაღებს პროდუქციას სახელმწიფო შეკვეთის ანგარიშში (აქ იგულისხმება მომსახურებაც და სამუშაოთა შესრულებაც) და პროდუქცია, რომელიც დამზადებულია სახელმწიფო რესურსებიდან მიწოდებული ნედლეულისაგან.

სახელმწიფო კონტროლი ფასების მიმართ ხორციელდება აგრეთვე კოოპერატივის მიერ სახელმწიფო საბაზრო ფონდებიდან გამოყოფილი ან მათ მიერ საცალო ვაჭრობის ქსელში შექმნილი საქონლის გაყიდვისას. ფასების დადგენაში ამ წესის დაუცველობა კოოპერატივების თვითნებობას ნიშნავს და ეს უმეტესად დაუსაბუთებლად მაღალი ფასების დადგენას იწვევს, რაც მომხმარებლთა საფუძვლიანი გულისწყრომის მიზეზი ხდება. ფასების უსაფუძვლოდ მომატების შედეგად უკანონოდ მიღებული შემოსავალი გადაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში. ამასთან, კოოპერატივი ბიუჯეტში გადაიხდის ჯარიმასაც უკანონოდ მიღებული შემოსავლის ოდენობით. კანონის ამ მოთხოვნის გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს. თავისუფლად დადგენილ ფასებთან მკაცრად დადგენილი ფასების შეხამება დამატებითი იმპულსი უნდა გახდეს სოციალისტური კონკურენციის პირობებში საქონლის წარმოების გაზრდისა და მომსახურების ფორმების სრულყოფის საქმეში.

რაც შეეხება საგადასახადო პოლიტიკას, იგი ითვალისწინებს დაბეგვრის დიფერენციულობას კოოპერატივის ცალკეული სახეობებისათვის. გადასახადით იბეგრება კოოპერატივის შემოსავალი, აგრეთვე კოოპერატივის წევრთა და იმ პირთა პირადი შემოსავალი, რომლებიც კოოპერატივში შრომითი ხელშეკრულებით მუშაობენ. კოოპერატივები გადასახადს იხდიან სერთო შემოსავლიდან შედარებით მცირე და მტკიცე განაკვეთებით, რომლებიც სულ ცოტა ხუთი წლის ვადით არის დადგენილი. ხოლო კოოპერატივის წევრებისა და ხელშეკრულებით მომუშავე პირების გადასახადი დაწესებულია შემოსავლის პროცენტული ანარიცხების სახით პროგრესული სკალის მიხედვით. ხოლო თუ კოოპერატივი ასაღებს თავის ნაწარმს ან აწარმოებს სამუშაოებს და ეწევა მომსახურებას სახელმწიფო ფასებით, მაშინ კოოპერატორთა დაბეგვრა ხდება სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეებისათვის დადგენილი განაკვეთების მიხედვით. ისინი აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს კოოპერაციული მოძრაობის ინტერესებსა და საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის პრინციპებს. გადასახადი შეიტანება ადგილობრივ ბიუჯეტებში და გამოიყენება შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის. კანონ-



ნით დაწესებულია შეღავათები კოოპერატივის შემოსავლის დაბეგვრისას. თუ შემოსავლის ნაწილი გადაიგზავნება საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის საბავშვო ფონდში, კულტურის ფონდში, მშვიდობის ფონდში და სხვა საქველმოქმედო მიზნებისათვის, იგი თავისუფლდება დაბეგვრისაგან. კანონით სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებსა და სხვა სახელმწიფო ორგანოებს მინიჭებული აქვთ კოოპერატივებისა და კოოპერატორთა მიმართ საგადასახადო შეღავათების დაწესების უფლება.

— როგორ სამართლებრივ საწყისებზეა რეგულირებული კოოპერაციის სისტემის საფინანსო და საკრედიტო საქმიანობა, აგრეთვე სახელმწიფოსთან მისი ურთიერთობის სხვა ფორმები?

— ყოველი კოოპერატივის საქმიანობა მიზნად ისახავს თავისი ფინანსური მდგომარეობის განმტკიცებას. ამ სფეროში მას სრული დამოუკიდებლობა გააჩნია. კოოპერატივი საწარმოო და სოციალური განვითარებისათვის მის განკარგულებაში არსებულ ფინანსურ რესურსებს იყენებს თავისი შეხედულებისამებრ შეუზღუდველად მათი შექმნის წყაროების მიუხედავად. კოოპერატივების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას ხელს უწყობს საბანკო კრედიტი, რომელიც მათ ეძლევათ ბანკთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ბანკების მეშვეობითვე ხდება კოოპერატივების საანგარიშსწორებო ოპერაციების წარმოება. საბანკო სისტემის მოქნილობისა და ოპერატიულობის გაზრდის, აგრეთვე დაკრედიტების ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით კანონი შესაძლებლად მიიჩნევს ბანკების შექმნას თვით კოოპერაციის სისტემაში. სამეურნეო-ანგარიშიანი დარგობრივი ან ტერიტორიული კოოპერაციული ბანკის შექმნის უფლება აქვს კოოპერატივთა კავშირებს ან გაერთიანებებს. ასეთი ბანკი დემოკრატიულ საწყისებზე აწარმოებს ფულადი სახსრებით კოოპერატივის უზრუნველყოფას საკრედიტო ფორმით, კოოპერატივების საკასო-საანგარიშსწორებო მომსახურეობას, წარმოადგენს მის ინტერესებს სამეურნეო და საფინანსო ორგანოებში, იგი განახორციელებს კოოპერატივების აქციების და სხვა ფასიანი ქაღალდების გაყიდვასთან, დაბრუნებასთან და მიღებული შემოსავლის გადახდასთან დაკავშირებულ ოპერაციებს. კოოპერაციული ბანკი ახდენს არა მარტო კოოპერატივის, არამედ სხვა ორგანიზაციების და მოქალაქეთა თავისუფალი ფულადი სახსრების მობილიზაციას მორიგების საფუძველზე. მათ შეუძლიათ, აგრეთვე სესხისათვის მიმართონ სსრ კავშირის სპეციალიზებულ ბანკებს. კოოპერაციული ბანკის წესდება რეგისტრაციაში ტარდება სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკში. კოოპერაციული ბანკების შექმნა უკვე რეალობად იქცა. მათ მსგავსად შესაძლებელია, აგრეთვე, საფინანსო-საანგარიშსწორებო ცენტრების და სადაზღვევო დაწესებულებათა შექმნა.

მიუხედავად ამისა, სახელმწიფო სპეცბანკი, რომელიც ემსახურება კოოპერაციას, იყო და კვლავ რჩება მთავარი და მკაცრი კონტროლიორი. მისი მოვალეობაა კვლავაც მოსთხოვოს კოოპერატივებს, რათა მათ განუხრელად შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებები ბანკის, აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტისა და მიმწოდებლის წინაშე, ბანკს შეუძლია გადახდის უუნაროდ გამოაცხადოს კოოპერატივი, რომელიც სისტემატურად ვერ ასრულებს თავის საფინანსო ვალდებულებებს. ზარალიანი და გადახდისუუნრო კოოპერატივის მიმართ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის წინაშე დგება მისი ლიკვიდაციის საკითხი. წამგებიან კოოპერატივს არა აქვს არსებო-



ბის უფლება. საკითხისადმი ასეთი მიდგომა სავსებით შეესაბამება მეურნეობრიობის კოოპერაციულ ბუნებას და სრული დამოუკიდებლობის პირობებში მუშაობის პრინციპებს.

კოოპერაცია, ისე როგორც მეურნეობრიობის ყველა სხვა ფორმა, არ უნდა დარჩეს სახელმწიფო ზემოქმედების სფეროს გარეშე. ამისათვის, როგორც უკვე დავინახეთ, წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ ისეთი ეკონომიკური ინსტრუმენტები, როგორცაა: გადასახადით დაბეგვრა, საკრედიტო პოლიტიკა, სახელშეკრულებო ურთიერთობა, სახელმწიფო შეკვეთების სისტემა და სხვ. კოოპერატივების მიმართ მთლიანად ვრცელდება მოქმედი კანონმდებლობა — შრომის, სოციალური უზრუნველყოფის, უსაფრთხოების ტექნიკის დაცვის, გარემოს დაცვის თუ სხვა ურთიერთობათა სარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები. კოოპერატივებთან სახელმწიფოს ურთიერთობა უმეტესად სახალხო დემუტატთა ადგილობრივი საბჭოების მეშვეობით ხორციელდება. სწორედ საბჭოები და აგრეთვე სახელმწიფო ორგანოები აძლევენ კოოპერატივებს უსასყიდლო სარგებლობისათვის, აგრეთვე იჯარით მიწას, საწარმოო და სხვა ნაგებობებს, მოწყობილობას, ხელს უწყობენ ტექნიკისა და ტექნოლოგიის სრულყოფაში, ეხმარებიან წარმოების ეკონომიკურად ეფექტიანი სტრუქტურის შემუშავებაში, ანიჭებენ მათ სხვადასხვა შეღავათებსა და უპირატესობებს. ამასთან, სახელმწიფოს მიერ კოოპერატივებისათვის დადგენილი წესით ხდება კოოპერაციული საქმიანობის შედეგების აღრიცხვა, საბუღალტრო და სტატისტიკური ანგარიშგება. მათი უტყუარობისათვის განსაზღვრული პასუხისმგებლობაა დაწესებული.

კოოპერატივი მოვალეა მკაცრ კონტროლს უწევდეს მატერიალური, შრომითი და საფინანსო რესურსების რაციონალურ და ეკონომიკურ გამოყენებას, არ დაუშვას უყაირათობა და მფლანგველობა, აცნობოს დატაცებისა და კანონმდებლობის დარღვევის სხვა ფაქტები პროკურატურისა და შინაგან საქმეთა ორგანოებს, გაზარდოს საბუღალტრო და სხვა სამსახურების როლი და პასუხისმგებლობა კანონიერების, სახელშეკრულებო და საფინანსო დისციპლინის დაცვისათვის.

კოოპერატივის საწარმოო-საფინანსო საქმიანობის რევიზიას აწყობენ მისი სარევიზიო კომისია ან კოოპერატივების შესაბამისი გაერთიანება. კოოპერატივის მუშაობას ამოწმებენ აგრეთვე საფინანსო ორგანოები და, უშუალო საპირისპიროების შემთხვევაში, სხვა სახელმწიფო ორგანოებიც მათთვის კანონმდებლობით დაწესებული საკონტროლო ფუნქციების შესაბამისად. რევიზიებმა და შემოწმებებმა არ უნდა დაარღვიოს კოოპერატივის ნორმალური მუშაობის რიტმი.

**— დაბოლოს, რამდენად სტაბილურია კანონი კოოპერაციის შესახებ და ხომ არ არის მოსალოდნელი მასში ცვლილებების შეტანა?**

— იდეალურად სრულყოფილი კანონი არ არსებობს. გამონაკლისს არც კოოპერაციის შესახებ კანონი წარმოადგენს. მაგრამ იგი სხვებთან შედარებით მაინც უფრო მოქმედი. კოოპერაციულ ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირებისადმი გაზარდილი საზოგადოებრივი ინტერესი დღის წესრიგში აყენებს კოოპერაციასთან დაკავშირებული ყველა საკითხის სრულყოფილ გადაწყვეტას. ეს კი კანონში შესაბამისი კორექტირებების შეტანის საფუძველია.



კოოპერაციის შესახებ კანონის სამოქმედოდ შემოღების შემდეგ უკვე მიღეს რამდენიმე ნორმატიული აქტი, რომლებიც აღნიშნული კანონის სრულყოფას ისახავენ მიზნად. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 29 დეკემბრის დადგენილებით კოოპერატივების საქმიანობის ცალკეულ სახეობათა რეგულირებაში ზოგიერთი ცვლილებაა შეტანილი: 1. კოოპერატივებს აეკრძალათ განსაზღვრული სახეობების საქმიანობა. მათ მიეკუთვნება ყველა სახის იარაღის, საბრძოლო მასალის, ასაფეთქებელი ნივთიერებების დამზადება, ონკოლოგიურ ავადმყოფთა მკურნალობა, ფსიქიურად დაავადებულთა მკურნალობა, ღვინისა და არყის ნაწარმის წარმოება, ლომბარდების ორგანიზაცია და სხვ. 2. განისაზღვრა საქმიანობის სახეობები, რომელთა შესრულების უფლება კოოპერატივებს აქვთ მხოლოდ იმ საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელთათვის საქმიანობის ესა თუ ის სახეობა ძირითადია. მაგალითად, ძვირფასი ლითონებისა და ძვირფასი თვლების შემცველი მეორეული რესურსებისა და ნარჩენების შეგროვება და გადამუშავება, გამაჯანსაღებელი და სხვა საბავშვო-სამოზარდო და ახალგაზრდული ბანაკების ორგანიზაცია, გასამრავლებელი და პირგადასაღები აპარატების დამზადება და სხვ.

კოოპერაციული საქმიანობის ამა თუ იმ სახეობის მთლიანი აკრძალვან ნაწილობრივი შეზღუდვა (ასეთთა სრული ნუსხა თან ერთვის დადგენილებას) ნაკარნახევია სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის აუცილებლობით.

1989 წლის 23 თებერვალს კი მიღებულ იქნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „კოოპერატივების საშემოსავლო გადასახადის შესახებ“, რომლის საფუძველზეც ზუსტადაა განსაზღვრული საგადასახადო სამართლებრივ ურთიერთობათა ელემენტები, ის შეღავათები და პასუხისმგებლობა, რაც გადასახადისადმი კოოპერატივის დამოკიდებულების მაჩვენებელია. გადასახადების განაკვეთების ოდენობის განსაზღვრა მიკუთვნებულია მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობისადმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1989 წლის 1 სექტემბერს მიიღო ბრძანებულება „კოოპერატივების (კოლმეურნეობების გარდა) საშემოსავლო გადასახადის განაკვეთების შესახებ“, რომელიც ძალაშია 1 ოქტომბრიდან. ამ დოკუმენტებში მოცემულია საქართველოში კოოპერატივების გადასახადების ახალი განაკვეთები, შეღავათები და დანამატები.

როგორც ვხედავთ კოოპერაციის შესახებ კანონი თანდათან იხვეწება. შესაძლებელია მომავალში მიღებულ იქნას ერთიანი კანონი როგორც კოოპერაციული, ისე სახელმწიფო საწარმოების შესახებ. უკეთესი იქნებოდა აღნიშნული სიახლეები თავიდანვე ყოფილიყო კანონით გათვალისწინებული და შემდეგ კანონქვემდებარე აქტები არ მიღებულიყო. ეს კანონისადმი ნდობას უფრო განამტკიცებდა.

— გამაღობო, საქმიანი და საინტერესო საუბრისათვის.



# ჭეშმარიტების პრობლემა წინასწარი გამოძიების თეორიასა და პრაქტიკაში

მინეილ ჟურაძე,

ქ. თბილისის პროკურორის პირველი მოადგილე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი

წინასწარი გამოძიების ცნება ყოველთვის შეიცავდა და შეიცავს უმნიშვნელოვანეს და აუცილებელ ნიშანს — ჭეშმარიტების დადგენას.

ჭეშმარიტების დადგენის შესაძლებლობა სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი მწვავე საკითხია და მის გამო პოლემიკა დღესაც არ ცხრება. დისკუსიის საკვანძო საკითხები კი ძირითადად ასეთია: როგორია გამოძიების შედეგად მიღებული ცოდნის ხასიათი? დგინდება თუ არა საკვლევ გარემოებათა უტყუარობა და საქმე ხომ არ გვაქვს მხოლოდ ალბათობასთან? როგორია გამოძიების პროცესში მიღწეული ჭეშმარიტების ბუნება? აბსოლუტურია იგი თუ შეფარდებითი? რა იგულისხმება ობიექტური ან მატერიალური ჭეშმარიტების შინაარსში? საერთოდ დგინდება თუ არა ჭეშმარიტება სისხლის სამართლის სამართალწარმოებაში და თუ დგინდება, რომელ სტადიაზე ხდება იგი — წინასწარ გამოძიებაში თუ მხოლოდ სასამართლოზე?

როგორც წესი, ნებისმიერი საქმის გამოძიების დროს შეიძლება უტყუარად დადგინდეს ყველა ფაქტობრივი გარემოება, რომელიც აუცილებელია საქმის არსებითად სწორი, სამართლიანი გადაწყვეტისათვის. ამ მხრივ ყველა საბჭოთა იურისტი აღიარებს გამოსაძიებელი შემთხვევის შემეცნებისა და საქმეზე ჭეშმარიტების მიღწევის შესაძლებლობას. აზრთა სხვაობა მათ შორის ჩნდება უმთავრესად მიღწეული ჭეშმარიტების ფილოსოფიური ხასიათის განმარტებისას: აბსოლუტურია იგი თუ შეფარდებითი.

ამ საკითხზე სხვადასხვა თვალსაზრისი ჩამოყალიბდა პროცესუალურ თეორიაში, ერთ-ერთი მათგანი კი ასეთია: რადგან გამოძიება და სასამართლო ამომწურავი სისრულით ვერასოდეს ადგენენ ყველაფერს, რაც დაკავშირებულია გამოსაკვლევ შემთხვევასთან, ხოლო მტკიცების საგნის ჩარჩოებს გაცილებული ასეთი კვლევა უსასრულო იქნებოდა; სისხლის სამართლის პროცესში მიღწეული ჭეშმარიტება შეფარდებითია<sup>1</sup>. განსხვავებული თვალსაზრისით კი გამოძიებისა და სასამართლოს მიერ შეცნობილი ჭეშმარიტება აღიარებულია აბსოლუტურად, რამდენადაც იგი შემოიფარგლება

<sup>1</sup> Кукаров А. Н. Понятие материальной истины в советском уголовном процессе. М., «Соц. законность», 1952, № 2, с. 10. Ульянова Л. Т. Оценка доказательств судом первой инстанции. М., с. 60.



კონკრეტული დანაშაულის გარემოებებითა და მისი მონაწილეებით<sup>2</sup>. გამოთქმულია, აგრეთვე, აზრი იმის შესახებ, რომ უმაღლესი აბსტრაქციის ფილოსოფიური კატეგორიები მიუღებელია სამართალდამცავი ორგანოების პრაქტიკული საქმიანობისათვის, ამიტომ ჭეშმარიტება სისხლის სამართლის პროცესში არ შეიძლება იყოს აბსოლუტური ან შეფარდებითი<sup>3</sup>.

აბსოლუტური და შეფარდებითი ჭეშმარიტების ამგვარი გაგების დროს კი დავაც აღარ შეიძლება, რადგან ფილოსოფიურ ასპექტში ერთი და იგივე ჭეშმარიტება შეიძლება იყოს აბსოლუტურიც და შეფარდებითიც. ნებისმიერი ფაქტი, თუ იგი ნამდვილადაა მიჩნეული და დადგენილი, განიხილება როგორც აბსოლუტური ჭეშმარიტების გამოვლინება, მაგრამ იმავდროულად ამ ფაქტის შესახებ ცოდნა არ ამოწურავს ყველა მის კავშირსა და შუალედობას, რის გამოც ასეთი ჭეშმარიტება უცილობლად შეფარდებითია. ამგვარი შეფარდებითობა, რა თქმა უნდა, არ ართმევს ამ ფაქტს ჭეშმარიტებითობას და თუ საჭიროა მისი პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობას.

დანაშაულის გახსნისა და საქმის ყველა არსებითი გარემოების დადგენის შესაძლებლობასა და მის პრაქტიკულ რეალიზაციას შორის ხშირად ჩნდება ბზარი, რაც განპირობებულია როგორც ზოგიერთი ობიექტური შეზღუდვით, ასევე ცალკეული სუბიექტური ფაქტორით. სამართლიანად წერს ამის შესახებ ნ. ა. იაკუბოვიჩი: „საბურველი, დრო, რომ აფარებს ადამიანთა ხსოვნასა და საგნებს, რთულდება ფაქტების, შემთხვევების გამოვლენა, ძნელდება მათი ხასიათისა და არსის შეცნობა“<sup>4</sup>.

გამოძიების უპირველესი მიზანია საქმის ყველა არსებითი გარემოების დადგენა, რაც მტკიცების გზით ხორციელდება. ეს კი ჭეშმარიტი და უტყუარი ცოდნით მიიღწევა. მტკიცების პროცესში ჭეშმარიტებისა და უტყუარობის თანაფარდობა სხვადასხვაგვარადაა განხილული იურიდიულ ლიტერატურაში. ადრე ითვლებოდა, რომ ჭეშმარიტება და უტყუარობა — იდენტური ცნებებია, რომლებიც მტკიცებულების თეორიაში გამოყენებულია, როგორც სინონიმები. სისხლის სამართლის პროცესუალური მეცნიერების შემდგომი განვითარების მიუხედავად ამ თვალსაზრისს ბოლომდე იცავდა პროფ. მ. ს. სტროგოვიჩი<sup>5</sup>.

უნდა ითქვას, რომ მოჩვენებით იდენტურობასთან ერთად ჭეშმარიტებასა და უტყუარობას განმასხვავებელი ნიშნებიც გააჩნიათ. მართალია, როგორც ჭეშმარიტი, ასევე უტყუარი ცოდნა თანაბარია, იგი ადეკვატურად ასახავს სინამდვილეს, მაგრამ ჩვენს დამოკიდებულებას ასახული ობიექტის მიმართ ჭეშმარიტებაც ახასიათებს, უტყუარობა კი გარდა ამისა, ჩვენი ცოდნის დასაბუთება და ამ საფუძვლიანობის შეგნება<sup>6</sup>.

<sup>2</sup> Строгович М. С. Материальная истина, с. 72-73.; Перлов И. Д. Приговор в советском уголовном процессе, М., 1960, с. 223.

<sup>3</sup> Ривлин А. А. Пересмотр приговоров в СССР, М., 1958, с. 14.

<sup>4</sup> Якубович Н. А., Теоретические основы предварительного следствия, М., 1971, с. 9.

<sup>5</sup> Строгович М. С. Материальная истина и судебные доказательства в советском уголовном процессе. М., 1955, с. 99-100, Строгович М. С. Курс советского уголовного процесса. т. I, М. 1989.

<sup>6</sup> Теория доказательств в советском уголовном процессе, 2-ое издание. М. Юридическая лит. 1973, с. 288.



სისხლის სამართლის პროცესუალური პრობლემისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში აღინიშნება იმის ცდები, რომ მტკიცების შემეცნებითი და დადასტურებითი მხარეები წარმოადგინონ როგორც სხვადასხვა დროს ერთმანეთის მონაცვლე სტადიები. ეს გამოწვეულია ძირითადად იმით, რომ ზოგიერთები დროის ნიშნის მიხედვით ერთიმეორისაგან მიჯნავენ შემეცნებასა და მტკიცებას<sup>7</sup>. ამას კი პრინციპულად არასწორ იმგვარ მოსაზრებამდე მივყევართ თითქოს გამოძიებელი ჯერ შეიცნობს, ხოლო შემდეგ ამტკიცებს გარკვეულ ფაქტს. აი რას ამბობს რ. გ. დომბროვსკი ამის შესახებ: „გამომძიებლის მიერ ფაქტიური მონაცემების შეკრება... წარმოადგენს მისთვის შემეცნებით პროცესს და არა მტკიცებას“<sup>8</sup>. მისივე აზრით, გამოძიებელი მტკიცების სუბიექტი ხდება მხოლოდ მაშინ, როცა შემეცნების შედეგს იგი გადმოსცემს სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის დადგენილებაში ან საბრალდებო დასკვნაში<sup>9</sup>. ამით ხომ მთლიანად გამოირიცხება მტკიცებულებათა დაძებნა და შეკრება მტკიცების პროცესიდან?!

შემეცნებისა და მტკიცების თანაფარდობის საკითხი დღემდე სხვადასხვაგვარად წყდება. შეხედულება, რომ შემეცნება გამოძიების დროს შედარებით უფრო შედეგიანია, ვიდრე სასამართლო მტკიცება, სადაოა, რადგან მას უპირისპირდება ასეთი თეზისი: სისხლის სამართლის პროცესუალური შემეცნება არ შეიძლება იყოს სხვა რამ, თუ არა მტკიცება<sup>10</sup>.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ შეხედულებათა ასეთი სხვადასხვაობა ეხება სწორედ იმ შემეცნებით საქმიანობას, რომელიც არაპროცესუალური საშუალებებით ხორციელდება მოკვლევისა და გამოძიების დროს. ამ გზით მიღებული ინფორმაცია კი, რომელიც, რა თქმა უნდა, ცოდნაა და შეიძლება მას საქმისათვისაც ჰქონდეს მნიშვნელობა, შემეცნების პროდუქტი მაინც არ არის. იგი მართალია მტკიცების პროცესს ემსახურება, წარმოადგენს პროცესუალური გზით მტკიცებულებათა დაძებნისა და მიღების საშუალებას, მაგრამ არ შედის სასამართლო მტკიცების პროცესში და მხოლოდ თან ახლავს მას.

სრული საფუძველი გვაქვს, ამგვარი შემეცნებითი საქმიანობა მივაკუთვნოთ „იურიდიული შემეცნების“ ფორმებს, სოციალური შემეცნების განსაკუთრებულ სახესხვაობას, რომელსაც სახელმწიფო ორგანოები ახორციელებენ სისხლის სამართლის პროცესუალურ შემეცნებასთან ერთად<sup>11</sup>.

<sup>7</sup> Лузгин И. М. Расследование, как процесс познания. М., с. 21—22. Домбровский Р. Г. Логика и теория судебных доказательств. Аркутск, 1982, с. 19—21. Соловьев А. Д. Процессуальные вопросы установления истины на предварительном следствии — автореферат докт. диссерт. Киев, 1969.

<sup>8</sup> Домбровский Р. Г. Криминалистическое познание, как форма практической деятельности. — В кн.: Вопросы осуществления правосудия по уголовным делам. Калининград, 1982, с. 85.

<sup>9</sup> დასახელებული შრომა: გვ. 18.

<sup>10</sup> Ларин А. М. В кн.: Советский уголовно-процессуальный закон и проблемы его эффективности. М., 1979, с. 265. Грошевой Ю. М. Сущность судебных решений в советском уголовном процессе. Харьков, 1979, с. 12—14, Михеенко М. М. Доказывание в советском уголовном судопроизводстве. Киев, 1984, с. 8, Шейфер С. А. Собираание доказательств в советском уголовном процессе. Саратов, 1986, с. 11—12.

<sup>11</sup> Алексеев С. С. Общая теория социалистического права. Свердловск, 1966, с. 4; Додин Е. В. Доказывание и доказательства в правоприменительной деятельности органов советского управления. Киев, 1976, с. 63.



შემეცნების ამ სახეობათა ურთიერთკავშირზე გარკვევითაა ნათქვამი კანონში, რომელიც ავალდებულებს მოკვლევის ორგანოს, რომ მიიღოს აუცილებელი ოპერატიულ-სამძებრო და სხვა სახის ღონისძიებები დანაშაულთა და მათ ჩამდენ პირთა გამოსავლენად. ამასთანავე, გამომძიებელს უფლება ეძლევა დავალებები და მითითებები მისცეს მოკვლევის ორგანოს სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების თაობაზე, მოითხოვოს მათგან დახმარება ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებათა ჩასატარებლად.

ასეთი შემეცნებითი საქმიანობისა და მისი შედეგების მნიშვნელობას მტკიცების პროცესისა და წინასწარი გამოძიების ამოცანების გადასაწყვეტად სპეციალური არგუმენტაცია არ სჭირდება<sup>12</sup>.

მტკიცების თეორიაში დავას არ იწვევს ყოველ კონკრეტულ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის აუცილებლობა და მისი მიღწევისათვის „რეალური“ პირობების არსებობა თუმცა, ამ მხრივ გარკვეული უხერხულობა მაინც შეინიშნება სასამართლო და საგამოძიებო პრაქტიკაში.

დღეისათვის ეს საკითხი ამგვარად დგება: არა მარტო კონკრეტულ საქმეზე უნდა დადგინდეს აბსოლუტური, ობიექტური, მატერიალური თუ შეფარდებითი ჭეშმარიტება, არამედ საერთოდ ყველა საქმეზე, ხოლო თუ ასეა, ისიც უნდა გაირკვეს, თუ რამდენად სრულყოფილია მისი დადგენის კრიტერიუმები.


ჭეშმარიტება უცვლელი კატეგორიაა და თუ ჩვენ მისი დადგენის პრეტენზიები გვაქვს, სათანადო გარანტიები და კრიტერიუმები უნდა შევიმუშავოთ მისი უცვლელობის ბუნების შესანარჩუნებლად სამართალწარმოების ყველა სტადიაზე.

პროცესუალური კანონმდებლობა იდეალურ პირობებშიც კი არ გამოირიცხავს შეცდომებს და მათი აღმოფხვრის მიზნით აწესებს კიდევ მიღებულ გადაწყვეტილებათა გადასინჯვის ინსტიტუტებს. ჩვეულებრივ პირობებში, კონკრეტული საქმის წარმოების დროს, საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის პრეტენზიას აცხადებენ მოკვლევის, გამოძიებისა და სასამართლო ორგანოები. ამ იერარქიულ საფეხურზე ჭეშმარიტების დადგენის უმაღლეს ინსტანციად კანონმდებელს მიაჩნია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო, რომლის პლენუმზეც, მიღებული დადგენილების გადასინჯვა კანონით არ არის გათვალისწინებული. თუმცა პრაქტიკა გვარწმუნებს, რომ არც ამ სასამართლოს გადაწყვეტილებაა დაზღვეული შეცდომებისაგან. ცნობილი მეცნიერი ა. ბეზუგლოვი სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს მიერ დაშვებულ შეცდომებთან დაკავშირებით არც თუ ორაზროვნად მიუთითებს: „...ექვსი წლის განმავლობაში თვალს ვადევნებდი სსრკ უმაღლეს სასამართლოსა და მისი პლენუმის მუშაობას. არა მარტო თვალს ვადევნებდი, არამედ როგორც პროკურორი უშუალოდ ვმონაწილეობდი მის მუშაობაში. ყოველთვის, როდესაც უმაღლეს სასამართლოს ვტოვებდი, ვფიქრობდი: ღმერთმა ნუ ქნას ოდესმე ჩემი ბედიც ისეთი სახით იქნას გადაწყვეტილი როგორადაც ეს იქ წყდება“<sup>13</sup>.

<sup>12</sup> Взаимодействие следователей и органов милиции. М., 1963 и др.

<sup>13</sup> Безуглов А. Верховный суд, жур. «Смена», 1988, № 23, с. 18—19.





თბილისის საქალაქო სასამართლოში 1988 წელს გაუქმდა და შეიცვალა რაიონის სახალხო სასამართლოებში გაპროტესტებული და გასაჩივრებული საქმეების 17 პროცენტი, ხოლო ზედამხედველობის წესით კი გაუქმდა განაჩენები 54 პირის მიმართ.

უფრო თვალშისაცემია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მონაცემები ამ მხრივ. 1987 წელს საკავშირო უმაღლეს სასამართლოში, საქმეთა გადასინჯვის გზით, რეაბილიტირებულია 443 კაცი, დამატებით გამოძიებას დაუბრუნდა 454 საქმე, შეიცვალა 994 პირის მიმართ გამოტანილი განაჩენი და განჩინება. ამას თუ იმასაც დაფუძნებთ, რომ ამავე წელს სასამართლოებმა წინასწარ გამოძიებას დამატებითი გამოძიებისათვის დაუბრუნეს 70 ათასი საქმე, ხოლო ზემდგომმა ინსტანციებმა დაახლოებით 30 ათასი მსჯავრდებულის მიმართ გააუქმეს განაჩენი, ნათელი გახდება ჩვენი თეორიული მტკიცება ყველა საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის შესახებ<sup>14</sup>.

ამან ცხადია, უფრო მეტად უნდა დაგვაფიქროს ადამიანთა ბედის განსჯის დროს და არ შეიძლება ჩვენი ცოდნა კონკრეტულ საქმეზე უმაღლესი ინსტანციის ჭეშმარიტებად გამოვაცხადოთ. მუდამ უნდა გვახსოვდეს ვ. ი. ლენინის სიტყვები „...არ დაგვკაყოფილდეთ იმ ცოდნით, რომელიც ჩვენი გამომუშავებულია ჩვენი წინანდელი გამოცდილებით, საჭიროა ვიაროთ უ ც ი ლ ო ბ ლ ა დ წ ი ნ, მივადწიოთ უ ც ი ლ ო ბ ლ ა დ მეტს, უცილობლად გადავიდეთ უფრო ადვილი ამოცანებიდან უფრო რთულზე. ამის გარეშე ყოველგვარი პროგრესი საერთოდ წარმოუდგენელია...“<sup>15</sup>

სამართალწარმოებაში ჭეშმარიტების შეცნობის, მისი დადგენის პრეტენზია თუ გაგვიჩნდება ისიც უნდა გვახსოვდეს, თუ რამდენად სწორ, უტყუარ კრიტერიუმებს შევქმნით კონკრეტულ საქმეზე სწორი, დასაბუთებული და სარწმუნო გადაწყვეტილების მისაღებად. ჭეშმარიტების შეცნობის გაუბრალოებამ სხვადასხვა თაობის ადამიანთა ბევრი სიცოცხლე შეიწირა. აბსტრაქციის ფილოსოფიური კატეგორიების ხელაღებით გადმონერგვამ სამართალწარმოებაში სასურველი შედეგი ვერ გამოიღო.

ჭეშმარიტების დადგენის თეორია და პრაქტიკა მნიშვნელოვნად გაიმიჯნა ერთიმეორისაგან და ასეთი გათიშვა ცხადია, სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს. ყველაფერ ამას კი თავისი სუბიექტური და ობიექტური მიზეზები გააჩნია, რომელთა სრულყოფილი, ობიექტური შესწავლა სწავლულ და პრაქტიკოს იურისტთა უპირველეს ამოცანად უნდა იქცეს.

<sup>14</sup> «Соц. законность», 1968, № 8, с. 5-9.

<sup>15</sup> Ленин В. И. Полн. собр. соч; т. 37, с. 196.



ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ ცნობილმა ქართველმა სწავლულმა იურისტმა, პროფესორმა იროდიონ სურბულაძემ იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად ახლად შექმნილ თბილისის უნივერსიტეტში წარადგინა და წარმატებით დაიცვა დისერტაცია გერმანულ ენაზე „ხელისუფლება და სამართალი“. 1925 წელს თბილისის უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის საბჭოს დადგენილებით ეს დისერტაცია ცალკე წიგნად გამოქვეყნდა გერმანულ ენაზე: „ხელისუფლება და სამართალი, თხზულება სახელმწიფოსა და სამართლის ურთიერთობის პრობლემისათვის, ნაწილი პირველი: სამართლებრივი ურთიერთობის ცნება, თბ., 1925“.

პრც მისი თანამედროვე და არც შემდეგი თაობის იურისტები წიგნის შინაარსს არსებითად არ იცნობენ, რადგან, ჯერ ერთი, იგი დაწერილია გერმანულ ენაზე, და მეორე, ის პრობლემები, რომლებიც დასმულია და გადაწყვეტილია ამ მონოგრაფიაში, ქართულ იურიდიულ მეცნიერებაში საგანგებო შესწავლის საგანი არასდროს ყოფილა. იროდიონ სურბულაძის ეს წიგნი ქართულად დღემდე არ თარგმნილა და მისი შინაარსი ფართო მკითხველისათვის დღესაც სრულიად მიუწვდომელია. ქართული იურიდიული მეცნიერების ეს ხარვეზი დროა შეივსოს.

პარტველ მკითხველს პირველად ვთავაზობთ ვახტანგ ბაბუშაძის გამოკვლევას პროფესორ იროდიონ სურბულაძის მიერ ამ წიგნში ჩამოყალიბებული მეცნიერული მემკვიდრეობის თაობაზე, აგრეთვე მის მიერ გერმანულიდან ქართულად თარგმნილ ნაშრომის წინასიტყვაობას.

\* \* \*

### წინასიტყვაობა

ჩვენს მიერ ამჟამად გამოქვეყნებული ნაშრომის ეს პირველი ნაწილი ამოცანად ისახავს იმ მთავარ საკითხებზე პასუხის გაცემას, რომლებსაც ცენტრალური ადგილი უკავიათ სახელმწიფოს და სამართლის თანამედროვე მეცნიერულ ლიტერატურაში. ამ ნაწილში განსაკუთრებით განხილულია სამართლებრივი ურთიერთობის ცნება.

საკითხი იმის შესახებ, თუ საიდან ავიღეთ სწორედ ეს ცნება ამოსავალ პუნქტად და რა მნიშვნელობა აქვს მას ჩვენი მეცნიერების მთავარი პრობლემების გადაჭრისას, ნაწილობრივ გამოკვლეული იქნება ამ ნაშრომში, ნაწილობრივ კი უფრო ვრცლად მეორე ტომში, რომლის გამოცემასაც ახლო მომავალში ვაპირებთ.

ამრიგად, წინამდებარე ნაშრომი გააზრებულია, როგორც შესავალი ნაწილი, თუმცა შინაარსობრივად მას დასრულებული ხასიათი აქვს, რაც ნებას ვვაძლევს ვიმსჯელოთ მასზე იმ თეორიული მიზნებისაგან დამოუკიდებლად, რომლებზეც ავტორს დაწყებული აქვს მუშაობა.

ორიოდე სიტყვა სათაურის შესახებ: სიტყვას „ხელისუფლება“ ჩვენ ვიყენებთ მარტოოდენ სახელმწიფოს სოციალური ყოფიერების არსის აღსანიშნავად და ამ გაგებით არის ის აქ სამართლის ცნებისადმი დაპირისპირებული. ამგვარი თვალსაზრისის მეცნიერული მართებულობა შემდეგში იქნება დასაბუთებული.



ავტორს თავის მოვალეობად მიაჩნია მაღლობა გადაუხადოს სოციალურ-ეკონომიკურ ფაქულტეტს, რომლის დადგენილებითაც დაიბეჭდა წინამდებარე ნაშრომი, უნივერსიტეტის საგამომცემლო კომისიას და ყველა პირს, ვინც დახმარება აღმოიჩინა წიგნის გამოქვეყნებაში.

აზტორი.

თბილისი, 1925 წლის ივნისი.

\* \*

## იროდიონ სურგულაძე და მისი ნაშრომი „ხელისუფლება და სამართალი“

პანტაზა აბაშხაძე,

პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი


### სახელმწიფოსა და სამართლის საკითხები ირ. სურგულაძის ნაშრომებში

პროფ. ირ. სურგულაძის ნაშრომებში დამუშავებულია იურიდიული მეცნიერების სხვადასხვა დარგის (სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, სახელმწიფო სამართალი, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია) პრობლემები.

ირ. სურგულაძის „ხელისუფლება და სამართალი“ ქართულად არ არსებობს, თანამედროვე იურიდიული მეცნიერებისათვის მისი შინაარსი უცნობია. აუცილებლად მიგვაჩნია ავტორის მიერ ჩამოყალიბებული დებულებების შეფასება იურიდიული მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონის მიხედვით. საჭიროა მისი ქართულადაც თარგმნა, რადგან ქართული იურიდიული აზრის ისტორია შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ამ ნაშრომის გარეშე. ჩვენი გამოკვლევა მიზნად არ ისახავს მკითხველისათვის ირ. სურგულაძის ნაშრომის ძირითადი დებულებების სრულად გაცნობასა და შეფასებას, იგი მომავლის საქმეა, მაგრამ აქ გვინდა საგანგებოდ შევჩერდეთ „ხელისუფლებისა და სამართლის“ ზოგად შინაარსზე, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ ავტორი ჯერ კიდევ არ არის განთავისუფლებული ბურჟუაზიული იურიდიული მეცნიერების ზეგავლენისაგან, თუმცა ხშირ შემთხვევებში გვაძლევს ბურჟუაზიულ მეცნიერთა მიერ სამართლის მეცნიერების აქტუალურ საკითხებზე ჩამოყალიბებული შეხედულებების დამაჯერებელ კრიტიკას. თვით ნაშრომის სათაურიც ბურჟუაზიულ მეცნიერთა ანალოგიური სახელწოდების ნაშრომებიდანაა წარმომდგარი. როგორც სათაურიდან ჩანს, ავტორი მიზნად ისახავს სახელმწიფოსა და სამართალს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულების თავისებურებათა გარკვევას, რაც ირ. სურგულაძის აზრით, დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ეს სიძნელეები უმთავრ-



სად წარმოდგება იქიდან, რომ მეცნიერულ ლიტერატურაში სახელმწიფოსა და სამართლის ძირითადი პრინციპებისა და მეთოდების საკითხები სხვადასხვანაირადაა გადაჭრილი. ირ. სურგულაძე მიუთითებს, რომ იურიდიული მეცნიერების ერთ-ერთი აქტუალური საკითხი სახელმწიფოს ბუნებისა და არსის გამოკვლევაა. მისი აზრით, სახელმწიფოს ბუნების შესახებ იურიდიულ მეცნიერებაში ჩამოყალიბებული სხვადასხვა შეხედულება შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად. მეცნიერთა ერთი ნაწილის მიხედვით, სახელმწიფოს კემპარიტი ბუნების შეცნობა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას მივიჩნი-



იროდონ სურგულაძის გერმანულ ენაზე გამოცემული წიგნის — „ხელისუფლება და სამართალი“ — გარეკანი.





ნევთ ნატურალურ მოვლენად; მეცნიერთა მეორე ჯგუფი კი ამტკიცებს, რომ სახელმწიფოსა და სამართლის ბუნების განსაზღვრისას უნდა გამოვიდეთ არსობასა და ჯერარსობას შორის არსებული განსხვავებიდან. ირ. სურგულაძე მიუთითებს, რომ პირველი მოსაზრება, კერძოდ, შეხედულება იმის შესახებ, რომ სახელმწიფოს ბუნების შეცნობა შესაძლებელია, თუ სახელმწიფოს ნატურალურ მოვლენად მივიჩნევთ, განავითარა ლ. გუმპლოვიჩმა სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი მოძღვრებისადმი მიძღვნილ ნაშრომში. ეს მოსაზრება ვერ გვაძლევს ჭეშმარიტ წარმოდგენას სახელმწიფოს ბუნებაზე. თუ სახელმწიფოს მივიჩნევთ ნატურალურ (ბუნებრივ) მოვლენად, მაშინ სრულიად გაუგებარი რჩება ყველაფერი ის, რაც სახელმწიფოს, როგორც მართლწესრიგს ახასიათებს. საქმე ისაა, რომ სახელმწიფოს ცნებას არსებითად მისი იურიდიული შინაარსი განსაზღვრავს.

მეორე შეხედულება, რომელიც სახელმწიფოს და სამართლის ბუნების განსაზღვრისას ჯერარსობისა და არსობის ურთიერთდაპირისპირებიდან გამომდინარეობს, ირ. სურგულაძის მტკიცებით, იურიდიულ მეცნიერებაში ყველაზე სრულად ჩამოაყალიბა ჰ. კელზენმა სახელმწიფოსა და სამართლის მოძღვრების მთავარი პრობლემებისადმი მიძღვნილ ნაშრომში. ჰ. კელზენის მტკიცებით, მიუთითებს ირ. სურგულაძე, არსობასა და ჯერარსობას შორის ურთიერთდაპირისპირებას განაპირობებს ექსპლიკაციური და ნორმატივისტული მეცნიერებისათვის დამახასიათებელი განსხვავებანი, რაც საკუთარი მეთოდოლოგიის შემუშავების აუცილებლობას იწვევს. განსხვავებით სხვა მეცნიერებისაგან, რომლებიც სარგებლობენ ექსპლიკაციური მეთოდოლოგიით, იურიდიული მეცნიერება ნორმატიული მეცნიერებაა და მის მოვლენებს არ სჭირდება ახსნა. ისინი უნდა შევისწავლოთ სინამდვილეში, ამიტომ იურიდიული მეცნიერების მეთოდი, მიუთითებს ირ. სურგულაძე, ჰ. კელზენის აზრით, უნდა იყოს მხოლოდ ნორმატივისტული, ფორმალურ-ლოგიკური. გარდა ამისა, მოსაზრება, რომელიც სახელმწიფოს ბუნებას განსაზღვრავს არსობისა და ჯერარსობის დაპირისპირებიდან, კაუზალურ და ნორმატივისტულ მეცნიერებებს შორის განსხვავებას ადგენს არა მათი საგნობრივი შინაარსის თავისებურებების, არამედ აბსტრაქტულ-თეორიული საფუძვლების მიხედვით. ირ. სურგულაძის მტკიცებით, ჰ. კელზენის მიერ არსობისა და ჯერარსობის ურთიერთდაპირისპირებიდან გაკეთებული როგორც ერთი, ასევე მეორე დასკვნა, მოკლებულია ჭეშმარიტებას, რადგან თითოეული მეცნიერების თავისებურება შემეცნების აქტების ლოგიკური მომენტებით კი არა, საგნობრივი შინაარსითაა განსაზღვრული.

ირ. სურგულაძის ზემოაღნიშნული მოსაზრებები მცდარია, სახელმწიფოს ცნებას, მისი იურიდიული შინაარსი კი არ განსაზღვრავს, არამედ სახელმწიფოს არსსა და ბუნებას განაპირობებს საზოგადოების ეკონომიკური ბაზისი. ასევე არათანმიმდევრულია ჰ. კელზენის მოძღვრების კრიტიკაც მეცნიერებათა თავისებურებების არა შემეცნების აქტების ლოგიკური მომენტებით, არამედ საგნობრივი შინაარსით განსაზღვრულობის შესახებ. ირ. სურგულაძის კრიტიკულ შენიშვნებში არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ სახელმწიფო, როგორც არსობა, ჯერარსობის ასახვა კი არაა, არამედ სახელმწიფო არის რეალურად არსებული საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობილების გამოხატულება.

ირ. სურგულაძის შეხედულებით, სახელმწიფო თავისი ბუნებითა და შინაარსით რთული ფენომენია, იგი სხვადასხვა ბუნებისა და ხასიათის მოვ-




ლენათა ერთობლიობაა. ამ მოვლენებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სოციალური და სამართლებრივი მოვლენები. მეცნიერების უმთავრესი და ამავე დროს სადავო საკითხი იმ ურთიერთობაში, რომელიც ერთი მხრივ, სახელმწიფოში არსებულ სოციალურ მოვლენებსა და მეორე მხრივ, სახელმწიფოს, როგორც იურიდიულ მთლიანობას შორისაა, შეიძლება გადაწყდეს ზემოაღნიშნული მოვლენების, კერძოდ, როგორც სოციალური, ასევე იურიდიული შინაარსის მოვლენების დეტალური ანალიზის შედეგად. ირ. სურგულაძის მტკიცებით, სახელმწიფო წარმოდგენილი უნდა იქნეს როგორც სოციალური, ასევე იურიდიული მოვლენებით განსაზღვრული ფენომენი, რომელთა შორის გარკვეულ განსხვავებასა და დაპირისპირებასაც აქვს ადგილი. ირ. სურგულაძე მიუთითებს, რომ გ. ზიმელი თავის ნაშრომში „ბატონობისა და მორჩილების სოციოლოგია“ საზოგადოების არსის განმსაზღვრელად ბატონობასა და მორჩილებას მიიჩნევს და, თუ გავიზიარებთ ამ მოსაზრებას, მაშინ სახელმწიფოს სამართლებრივ და სოციალურ მხარეებს შორის არსებული დაპირისპირების აღსანიშნავად შეიძლება ვიხმაროთ ხელისუფლებისა და სამართლის ცნებები. ამ ორ იურიდიულ მოვლენაზე სწორი წარმოდგენისათვის აუცილებელია მართლწესრიგის ძირითადი ელემენტების ანალიზი. ირ. სურგულაძე ამ მსჯელობაში არ არის თანმიმდევრული, კერძოდ, იგი ვერ გვაძლევს სოციალურ და სამართლებრივ ურთიერთობათა მართებულ გამიჯვნას. საქმე ისაა, რომ სამართლებრივი ურთიერთობა იგივე სოციალური ურთიერთობაა, თუმცა სოციალური ურთიერთობა სამართლებრივი ურთიერთობის გარდა შეიცავს სხვა ურთიერთობებსაც. ამიტომ არასწორია ირ. სურგულაძის მიერ ხელისუფლების ცნებით სოციალურ მოვლენებსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთდამოკიდებულებების ანუ სახელმწიფოს სოციალური მხარის აღნიშვნა, ხოლო სახელმწიფოსა და იურიდიული ხასიათის მოვლენებს შორის ურთიერთობის სამართლის ცნებით გამოხატვა.

ურთიერთობათა მრავალგვარობა და მათ შორის განსხვავება ჯერ კიდევ არ იძლევა იმის საფუძველს, რომ სახელმწიფოში სოციალურ და სამართლებრივ მოვლენათა თავისებურებების დადგენისა და შესწავლისათვის ცალკე მეცნიერებების არსებობის აუცილებლობა მოვითხოვოთ. ირ. სურგულაძე შენიშნავს, რომ როგორც ე. ჰუსერლი აღნიშნავდა თავის „ლოგიკურ გამოკვლევებში“, ცალკეული მეცნიერებების არსებობა განსაზღვრული ჯგუფის მოვლენების შესწავლისათვის მხოლოდ მაშინ არის საჭირო, როცა ამ მოვლენებსა და მათ განვითარებას განსაზღვრავს მათთვის დამახასიათებელი ძირითადი კანონზომიერება.

ამრიგად, სახელმწიფოში სამართლებრივი და არასამართლებრივი სოციალური ურთიერთობების თავისებურებათა გასარკვევად აუცილებელია იმ ძირითადი კანონზომიერების დადგენა, რომლის მიხედვითაც ყალიბდება და ვითარდება საზოგადოებაში ზემოაღნიშნული ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ურთიერთობა. ეს კანონზომიერება მიუთითებს სახელმწიფოს საქმიანობის იურიდიულ და სოციალურ მხარეებზე, რომლებიც მრავალი სახის ელემენტისაგან შედგება. თუ ამ თვალსაზრისით გამოვიკვლევთ სახელმწიფოში არსებულ სოციალურ მოვლენებს და აგრეთვე მათ საფუძველზე ჩამოყალიბებულ სოციალურ ურთიერთობებს, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ძირითად სოციალურ მოვლენად გვევლინება ურთიერთობა ორ ინდივიდს შორის, ხოლო მათ შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობების ძირითადი კა-





ნონზომიერება გამოიხატება მხოლოდ კაუზალობის ცნებაში. რაც შეეხება სახელმწიფოს იურიდიულ მთლიანობას, კერძოდ, სახელმწიფოს საქმიანობის სოციალური მხარისაგან დამოუკიდებლად არსებულ სამართლებრივ მხარეს, მისი უმთავრესი ელემენტი, ანუ სამართლებრივი ურთიერთობა, სრულ წარმოდგენას გვაძლევს იმ ძირითად კანონზომიერებაზე, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს არსებობის სოციალურ და იურიდიულ მხარეებს შორის განსხვავებათა თავისებურებებს. ირ. სურგულაძის აზრით, სახელმწიფოს საქმიანობის სამართლებრივი მხარის უმთავრეს ელემენტად სამართლებრივი ურთიერთობის ნაცვლად სამართლებრივი ნორმის მიჩნევა მცდარია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ნორმისა და კანონის ცნებები კორელაციურია.

ირ. სურგულაძე იკვლევს სამართლებრივი ურთიერთობის ბუნებასა და თავისებურებებს და მიუთითებს, რომ სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ იურიდიულ მეცნიერებაში გავრცელებული შეხედულებანი, რომლებიც ჩამოყალიბებულია კ. ნოინერის, ბ. ვინდშიაიდის, ჰ. დერნბურგის, ფ. რეგელსბერგერის, ო. შტობეს, ე. ჰიოლდერის, გ. ელინეკისა და სხვათა ნაშრომებში, მცდარია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ შემოადნიშნულ ავტორთა აზრით, სამართლებრივი ურთიერთობაა ყოველი ცხოვრებისეული ურთიერთობა, თუ იგი განსაზღვრულია სამართლის ნორმებით. რა თქმა უნდა, სამართლებრივი ურთიერთობების ცნების ამგვარ განმარტებაში უგულებელყოფილია ის არსებითი განსხვავება, რომელიც სოციალურ და იურიდიულ ურთიერთობებს შორისაა.

ზოგიერთი ავტორი, შენიშნავს ირ. სურგულაძე, არა მარტო უგულებელყოფს განსხვავებას სოციალურ და სამართლებრივ ურთიერთობებს შორის, არამედ მეტიც, ცდილობს დაამტკიცოს ამ მოვლენების იდენტურობა. ამ მეცნიერებს განეკუთვნებიან კ. სავინი, ე. ბირლინგი და გ. ციტელმანი. სავინის ნაშრომში „თანამედროვე რომის სამართლის სისტემა“ სამართლებრივი ურთიერთობის ფორმა და შინაარსი მთლიანი რეალური პროცესისაგან აბსტრაქციის საშუალებით გამოყოფილი მოვლენების აღმნიშვნელია. უფრო შორს მიდის ბირლინგი, რომელიც ასკვნის, რომ თუ უფლება-მოვალეობას, რომელიც სამართლებრივი ურთიერთობის შინაგანი და არსებითი შემადგენელი ნაწილია, განსაზღვრული ფსიქიური პროცესის აზრით წარმოვიდგენთ, მაშინ სამართლებრივი ურთიერთობა ცხოვრებისეულ ურთიერთობებთან უნდა იქნეს გაიგივებული. ირ. სურგულაძის მტკიცებით შეცდომებისაგან დაზღვეული არც ციტელმანია, რომლის ნაშრომებში სამართლის კატეგორიები გააზრებულია, როგორც ფსიქოლოგიური პროცესები და შეიცავს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ იურიდიულ მეცნიერებაში სავსებით შესაძლებელია კაუზალური მეთოდის გამოყენება.

ამრიგად, დაასკვნის ირ. სურგულაძე, შეუძლებელია სამართლებრივი ურთიერთობის გაიგივება სოციალურ ურთიერთობასთან, რადგან მათ გაიგივებას შედეგად მოსდევს იურიდიული აზრის შინაგანი წინააღმდეგობიდან წარმომდგარი გაუგებრობანი, ანდა სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიის გაყალბება.

სამართლებრივი ურთიერთობა, როგორც იურიდიული ფენომენი, შედგება სხვადასხვა ძირითადი ელემენტისაგან, რომელთა გამოკვლევას შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს სამართლებრივი ურთიერთობის ბუნების დასადგენად. მაგრამ, ირ. სურგულაძის მტკიცებით, სამართლებრივი ურ-



თიერთობის ამ ძირითადი ელემენტების ანალიზი, რომელსაც თანამედროვე აურიდიულ მეცნიერებაში ვხვდებით, ასევე ვერ გვაძლევს ნათელ წარმოდგენას სამართლებრივი ურთიერთობის ბუნებაზე.

სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტია. თანამედროვე იურიდიულ მეცნიერებაში სამართლის სუბიექტის ბუნების შესახებ გაბატონებულია ორი ძირითადი მიმართულება: პირველი, ორგანული თეორია და მეორე, ფიქციის თეორია. ირ. სურგულაძე მიუთითებს, რომ ორივე სამართლებრივი თეორია არასწორ წარმოდგენას გვაძლევს სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტის, კერძოდ, სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის შესახებ, რადგან ეს თეორიები, ერთმანეთთან აიგივებენ სამართლის სუბიექტისა და ფიზიკური პირის ცნებებს.

ორგანული თეორია სამართლის სუბიექტის შესახებ განავითარა გ. ლასონმა, რომელიც ამტკიცებს იურიდიული პირების რეალურ არსებობას. ირ. სურგულაძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იურიდიულ მეცნიერებაში ლასონის მიერ განვითარებულ მოსაზრებას, რადგან იდეა იურიდიული პირის რეალური არსებობის თაობაზე გერმანული კორპორაციული თეორიის სახელმძღვანელო აზრს წარმოადგენდა. სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის შესახებ ლასონის მიერ წამოყენებულმა იდეამ შემდგომი განვითარება პოვა ბესელერის, ბლუნჩლის და დანის ნაშრომებში, მაგრამ სრული და თანმიმდევრული სახით ეს მოსაზრება ჩამოაყალიბა ო. გირკემ თავის ფუნდამენტურ გამოკვლევებში. ამიტომაც, მიუთითებს ირ. სურგულაძე, სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის შესახებ ორგანული თეორიის კრიტიკული ანალიზი უფრო მიზანშეწონილია გაკეთდეს, ძირითადად ამ ავტორის ნაშრომების მიხედვით. ირ. სურგულაძე მიუთითებს, რომ ო. გირკე აშკარად აიგივებს სამართლის სუბიექტს ფიზიკურ პირთან მისთვის დამახასიათებელი თვისებებით, რაც იმას ნიშნავს, რომ იურიდიული პირი, როგორც სუბიექტი არსით რეალურად არსებული კავშირის ერთიანობაა, რომელსაც ინდივიდის მსგავსად გააჩნია სხეულებრივი და სულიერი მთლიანობა, რომლის ნება და სურვილები შეიძლება მის მოქმედებაში გამოიხატოს. ირ. სურგულაძის მტკიცებით, სამართლის ორგანული თეორიის და, კერძოდ, ო. გირკეს მტკიცება იმის შესახებ, რომ სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი მხოლოდ ფიზიკური ნებისუწარიანი პირია, არასრულ წარმოდგენას გვაძლევს საერთოდ სამართლებრივ ურთიერთობასა და, კერძოდ, მის სუბიექტებზე.

ი. სურგულაძე მიუთითებს, რომ სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის შესახებ მიუღებელია აგრეთვე ფიქციის თეორია, რომელიც ორგანული თეორიის მსგავსად, შეზღუდულ წარმოდგენას გვაძლევს სამართლებრივ ურთიერთობაზე, რადგან იგი ამ ურთიერთობის სუბიექტად მხოლოდ ფიზიკურ პირებს წარმოგვიდგენს და უარყოფს იურიდიული პირის სუბიექტობას. ცნობილია ფიქციის თეორიის რამდენიმე ვარიანტი, მაგრამ ყველა მათგანი იქიდან გამომდის, რომ იურიდიული პირი არ შეიძლება იყოს სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი, ამ ურთიერთობის ერთადერთი მონაწილე შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი.

ფიქციის თეორიის ფუძემდებლებიდან ირ. სურგულაძე საგანგებოდ იკვლევს იერიზისა და ვინდშაიდის ნაშრომებს და აღნიშნავს, რომ ამ უკანასკნელთა წარმოდგენით სამართლის სუბიექტია არა იურიდიული პირი, როგორც



ასეთი, არამედ ნამდვილი სამართლის სუბიექტებია მისი ცალკეული პირები, იურიდიული პირის სამართალსუბიექტობა კი მოჩვენებითია, ფიქციაა. ურიდიული პირი ფიქციის თეორიის მიხედვით მხოლოდ იურიდიული კონსტრუქციაა, ანუ იურიდიული პირი, როგორც ორგანიზაცია იურიდიული ფაქტების ურთიერთობებისა და ნორმების იდეალური შემოკლებული კავშირია. ფიქცია იურიდიული ბრძანებაა, რომელიც ინდივიდების იურიდიული ურთიერთობის ტექნიკას აქცევს კორპორაციების სამართლებრივ ურთიერთობებად. ირ. სურგულაძე ასკვნის, რომ ფიქციის თეორიას არ შეუძლია ახსნას იურიდიული პირის ფენომენი, რადგან ფიქცია იურიდიული პირის ცნების შინაარსიდან გამორიცხავს რაიმე რეალურ ურთიერთობას.

უნდა აღინიშნოს, რომ სამართლის სუბიექტის შესახებ ბურჟუაზიული თეორიების ი. სურგულაძისეული კრიტიკა არაა თანმიმდევრული, რადგან მასში იგნორირებულია მთავარი, კერძოდ, ის, რომ სამართლის სუბიექტი ნორმით აღიარებული სამართლებრივი ურთიერთობის უფლებაუნარიანი მონაწილეა, რომელსაც გააჩნია საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობილებით გარანტირებული უფლებები და მოვალეობები.

ირ. სურგულაძე სამართლებრივი ურთიერთობის მეორე ძირითადი ელემენტის, კერძოდ, უფლება-მოვალეობის შინაარსის საკუთარი გაგების ჩამოყალიბებამდე იკვლევს იმ ბურჟუაზიულ თეორიებს, რომლებიც იურიდიული და ფსიქოლოგიური მოვლენების გაიგივების საფუძველზე ცდილობენ ახსნან უფლება-მოვალეობის ადგილი სამართლებრივ ურთიერთობაში და მისი ბუნება. ირ. სურგულაძის აზრით, ბურჟუაზიულმა მეცნიერებამ ვერც ამ პრობლემის გადაჭრა შესძლო, რადგან იგი ემყარება მეცნიერული კვლევის მცდარ წინამძღვრებს, კერძოდ, უფლება-მოვალეობის შინაარსისა და ბუნების გარკვევისას ბურჟუაზიული მეცნიერება ერთმანეთისაგან ვერ ასხვავებს იურიდიულ და ფსიქოლოგიურ მოვლენებს, იურიდიული მოვლენები მას ფსიქოლოგიურ მოვლენებამდე დაჰყავს. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას უფლება-მოვალეობის შესახებ ბურჟუაზიულ მეცნიერებაში გავრცელებულ ორ უმთავრეს თეორიაზე, კერძოდ, ნებისყოფისა და ინტერესის თეორიაზე.

ირ. სურგულაძე იძლევა სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტის — უფლება-მოვალეობის შესახებ ბურჟუაზიულ მეცნიერებაში გავრცელებულ ნებისყოფის თეორიის კრიტიკულ შეფასებას. რაც შეეხება უფლება-მოვალეობის, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის ძირითადი შემადგენელი ნაწილის შესახებ ბურჟუაზიულ მეცნიერებაში გავრცელებულ ინტერესის თეორიას, ირ. სურგულაძის ნაშრომში მისი კრიტიკა ძირითადად იერინგის ზოგიერთ ნაშრომებს ემყარება. უფლება-მოვალეობის შესახებ ნებისყოფისა და ინტერესის თეორიის კრიტიკული განხილვის შემდეგ ირ. სურგულაძე ასკვნის, რომ ზემოაღნიშნულ თეორიებს ვერ გავიზიარებთ, რადგან ისინი ერთმანეთთან აიგივებენ იურიდიულ და ფსიქოლოგიურ მოვლენებს; კერძოდ, უფლება-მოვალეობა, როგორც იურიდიული მოვლენა ამ თეორიების ფუძემდებლების მიერ გაგებულია ფსიქიურ მოვლენადაც. იურიდიული მოვლენების ფსიქიურ მოვლენებთან გაიგივების შემთხვევაში, შენიშნავს ირ. სურგულაძე, ზემოაღნიშნული თეორიების შექმნე შეუძლებელი ხდება სამართლის სფეროში არსებული მრავალი იურიდიული მოვლენის სპეციფიკური თავისებურებების დადგენა.



# ანდერძი გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში

გასარიონ ზოიძე

გაერთიანებული ფეოდალიზმის ხანა მნიშვნელოვანი ეტაპია ქართული მემკვიდრეობითი სამართლის განვითარებაში და ის, რაც ისტორიამ არ შემოგვინახა ადრეფეოდალური საქართველოდან, ზოგჯერ მთელი სიცხადით ჩანს ამ პერიოდში. ცნობილია, რომ მემკვიდრეობითი სამართალი კანონისმიერი მემკვიდრეობის დროს უფრო გამოკვეთილია, ვიდრე ანდერძითი მემკვიდრეობისას. წარმოშობიდან დღემდე კანონისმიერი მემკვიდრეობა ჩვეულებისა და იმპერატიული დანაწესების ლოგიკით ვითარდება, სამკვიდროს დამტოვებლის ნებას ზღუდავს, ხოლო ანდერძისმიერი მემკვიდრეობა პირიქით — ზოგჯერ სამკვიდროს დამტოვებლის ნების მეტი თავისუფლების გამო შეიძლება ამ ლოგიკის უარყოფამდეც მივიდეს. ეს უარყოფა კანონისმიერი მემკვიდრეობის ფარგლებში რომ ხდებოდეს კიდევ დასაშვებია, მაგრამ ხშირად იგი ამ ფარგლებს ერთიანად არღვევს და კანონისმიერი მემკვიდრეობის უარყოფამდე მიდის. თუმცა, ამ უარყოფის შემდეგაც სავალდებულო წილის სახით იგი ზოგჯერ ისევ აგრძელებს სიცოცხლეს.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია განვიხილოთ ანდერძის ნამდვილობის პირობები, რომელიც გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში არსებობდა. ჯერ კი რამდენიმე სიტყვა გვსურს ვთქვათ ანდერძის განმარტების თაობაზე.

ანდერძი, როგორც ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, ეწოდებოდა „ჩვეულებრივ განსაცდელის მოლოდინში მყოფისა, ან მომაცვდავის სიტყვიერად, თუ წერილობით გამოთქმულს, სიკვდილის შემდგომ ასასრულებლად განკუთვნილს, უკანასკნელის ნების გამოცხადებას...“<sup>1</sup>. მართლაც, დავით აღმაშენებელი 1123 წლის ანდერძში შიო მღვიმისადმი აღნიშნავს, რომ „უამსა ჩემსა შარვანსა ზ(ედ)ა გა(ნ)მართვის(ა)სა“...<sup>2</sup> დაეწყე ამ ანდერძის წერაო. ან კიდევ ავიღოთ მეორე ანდერძი დავით აღმაშენებლისა (1125 წ.): „გიბრძანებს და მოგაკსენებს მეფეთა-მეფე და ვ ი თ, დღეთა შ(ინ)ა სიკუდილისა და სოფლით განსლვისა მისისათა...“ ქართლის ერისთავი გრიგოლ სურამელი განსაცდელის მოლოდინში მყოფი ადგენს ანდერძს: „აწ გულმოდგინებით ვწერ წამავალი მეოთხედ წარმართთა თათართა შიგან ქრისტეს სჯულისა და ერისა და ეკლესიისა და დაცუისათვის...“<sup>3</sup> ბეჟა მანდატურთუხუცესის სამართლის 57-ე მუხლი მოცემულ ვითარებას ცალკე ნორმით გამოხატავს: „ანდერძი ვის-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VIII. თბ., 1984, გვ. 275.

<sup>2</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, IX-XIII ს. ს. შეადგენს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984, გვ. 53.

<sup>3</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, IX-XIII ს. ს. გვ. 61, 122.



გან ითქუას სიკუდილის უამსა, იგი მტკიცედ დადასტურებული (იქნების)<sup>4</sup>. ამრიგად, ანდერძს წერს (იბარებს) ის, ვის სიცოცხლესაც რაიმე საფრთხე ელის. მაგრამ ამ საფრთხის შიშით თუ მან სიცოცხლეშივე განკარგა ქონება— ეს ჩვეულებრივი ვალდებულებითი ურთიერთობა იქნება. დასტურდება ამისი ფაქტებიც. XIII საუკუნის მეტად საინტერესო საბუთი „დაწერილი კახა თორელისა რკონის ღმრთისმშობლისადმი“ გვამცნობს, რომ კახა თორელს რკონის ღმრთისმშობლისადმი შეუწირავს სოფელი ხოვლე. აქ საინტერესოა კახა თორელის მიმართვა რკონის ღმრთისმშობლისადმი: „და რკონისა ღ(მრთ)ისმშობელო, მე კარგად მყოფსა და ყმაწვილსავე, ამად მომიქსენებია: რაჲ ვიცი, ჩემსა უკანის ვინლა მოგაქსენებს ჩემსა ნაგუარცსა და ნუ თუ ერთსაცა წელიწადსა ცოცხალი ვიყო, რომე ჩემითა თუალითა ვნახო რაჲცა გამიჩენია მისი ქნაი“<sup>5</sup>. ეტყობა კახა თორელი, რომელიც ახალგაზრდაა და კარგად მყოფიკაა, სიკუდილის შიშს მაინც შეუბუყრია, ამიტომ აწუხებს თავისი პირადი ნაღვაწ-ნაშოვარის ბედი, ქონებისა, რომელიც უპირატესად შეიწირებოდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ იგი უშვილოა.

ანდერძის ნამდვილობის შესანიშნავ ფორმულას იძლევა ქართლის ერისთავის გრიგოლ სურამელის ანდერძი შიომღვიმისადმი (XIII ს-ის პირველი ნახევრის მიწურული), ანუ როგორც იწოდება იგი ხშირად „დაწერილი გრიგოლ სურამელისა მღვიმისადმი“. გრიგოლ სურამელი წერს: „ესე ყოველი ჩემითა ნებითა დამიწერია, სრულითა ცნობითა, სიმრთელესა შინა ტანისა ჩემისასა, მე, გ(რი)გ(ო)ლ ქ(ართლის) ე(რისთა)ვსა, კელითა ჩემითა, ძესა სულკურთხეულისა სულა ქართლისა ე(რისთა)ვთა ე(რისთა)ვისასა, დიდად ვალიანსა ჩემსა სახლსა ზედა, მარჯუნით დგომასა ძმისა ჩემისა ივ(ა) ნესსა და წინა დგომასა ძისა ჩემისა ბეგასსა“<sup>6</sup>. ანდერძის ნამდვილობის პირობათა ასე სრულყოფილი ფორმულა თითქმის უცნობია მომდევნო პერიოდის ქართული სამართლისათვის. განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე: 1. მოანდერძე პირდაპირ უთითებს, რომ მისი ნებით დაიწერა ანდერძი — „ჩემითა ნებითა“. დავით აღმაშენებელი 1123 წლის ანდერძში შიომღვიმისადმი წერს: „და სასომ(ან) და განმანათლებელმ(ან) ჩემმ(ან) ბერმ(ან) არსენი მიბრძანა ამის ანდერძისა დაწერა“. გამოთქმა „მიბრძანა“ რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ არსენი ბერმა ძალა დაატანა მეფეს ანდერძი დაეწერა. იგი უბრალოდ ზრდილობიანი, მწიგნობრული მიმართვის ფორმაა (გ. ნადარეიშვილი). დავით აღმაშენებლის ნება მოცემულ ანდერძში არ გამოხატულა სრულად, მან ვერ მოასწრო ეს „შარვანსა ზედა“ გამგზავრების გამო — „დაკლებულ სისწრაფისა არს“. თუმცა, ლაშქრობიდან მშვიდობიანად მობრუნების შემთხვევაში, შესაძლებლად მიიჩნევს სრულყოფილად გამოხატოს ეს ნება; 2. მოანდერძე ანდერძის დაწერის მომენტში „სრულითა ცნობითა“ უნდა ყოფილიყო, რომ შესძლებოდა აღნიშნული ნების ცხადად გამოხატვა. აქ მხედველობაშია ანდერძის დამტოვებლის ფსიქიკური მდგომარეობა, იგი ნათელ გონებაზე უნდა ყოფილიყო, რათა ანდერძი საეჭვო არ გამხდარიყო. ფსიქიკური მდგომარეობის ხანგრძლივი მოშლა ან ცალკეული ბნელი მომენტები კი ნორმალური ადამიანისა, „სრულითა ცნობითა“-ს გამორიცხავს; 3. ანდერძის დამტოვებელი უნდა ყოფილიყო „სიმრთელესა შინა ტანისა“, „ესე

<sup>4</sup> ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართლი, თბ., 1953, გვ. 312.

<sup>5</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, IX-XIII ს. ს. გვ. 150.

<sup>6</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, IX-XIII ს. ს. გვ. 123.



იგი ისეთი არაფერი სჭირდა, რომ გრძნობა და ცნობა-მიხილი ყოფილიყო და არ გაჰკვებოდა, თუ რას აკეთებს ან აკეთებინებდნენ“<sup>7</sup>. მოკლედ, ფიზიკური მდგომარეობა — „სიმრთელესა შინა ტანისა“ შესაძლებელს უნდა ხდიდეს საღად აზროვნებას, „სრულითა ცნობითა“-ს. ფიზიკური მდგომარეობის ისეთი მოშლა, რომელიც არ გამოორიცხავს „სრულითა ცნობითა“ ყოფნას, გავლენას ვერ მოახდენდა ანდერძის ნამდვილობაზე. მეღქმისედეგ კათალიკოსის დაწერილში მცხეთის საყდრისადმი (XI საუკუნის პირველი ნახევარი) ნათქვამია: „ესე სიცოცხლესა ჩემსა ვაგავე“. იხილავს რა მოცემულ საბუთს, ნ. ბერძენიშვილი ამ ადგილს ასე განმარტავს: „ანდერძის დადებისას მოანდერძის „სიცოცხლე“ ე. ი. არავადმყოფობა (ცოცხალი-ტანმრთელი) აუცილებლად უნდა აღნიშნული ყოფილიყო, რათა მის ნაანდერძევს კანონიერი ძალა ჰქონოდა“<sup>8</sup>. ცხადია „არავადმყოფობა“ აქ უნდა გავიგოთ ისე, როგორც ზემოთ ითქვა; 4. გრიგოლ სურამელი პირდაპირ უთითებს დამიწერია „ქელითა ჩემითა“. მაგრამ სავალდებულო იყო მოანდერძეს თავისი ხელით დაეწერა ანდერძი ყოველთვის? მაგალითად, დავით აღმაშენებლის 1123 წლის ანდერძის გარკვეული ნაწილი მის მიერაა დაწერილი, სხვა — მწიგნობრის მიერ. საქმე იმაშია, რომ ანდერძი დაწერილია ხუცურად, დასაწყისი სიტყვები: „(ქ. თავს) დ(ე)ბითა ღ(მრ)თისათა მე, დ(ავი)თს, მი(ი)წყი(ე)ს“ და ბოლო სტრიქონი — „ქ. სიმტკიცყო ყ(ოვე)ლთაო ღ(მერ)თო, დაამტკიცე, მტკიცედა (!) უქციე“<sup>9</sup> — მხედრულითაა დაწერილი. ანდერძის დასაწყისში ნათქვამი სიტყვები აკ. შანიძის აზრით, იმას ნიშნავს, რომ მე დავითს დამიწყია ამ ანდერძის წერაო და იგივე დავითი აბოლოებს მას. აკ. შანიძე აკეთებს დასკვნას, რომ ანდერძი დავით აღმაშენებლის მიერაა დაწყებული მხედრულით, მერმე ხუცურით არის განგრძობილი მწიგნობრის მიერ და შემდეგ დავითის მიერვეა გათავებული და დამტკიცებული მხედრულით<sup>10</sup>. სწორად უნდა იგონებდეს ივ. ჯავახიშვილი, რომ თუ მოანდერძეს... „წერა შეეძლო უეჭველად უნდა აღნიშნულიყო, რომ ანდერძი მისი საკუთარი ხელით არის დაწერილი ან მთლიანად, ან ნაწილობრივ (თავში, ან ბოლოში) მაინც“. დ. აღმაშენებლის აღნიშნული ანდერძის მიმართ კი წერს, რომ „რაკი ანდერძის სიდიდისა და სისწრაფის გამო დავით აღმაშენებელს ანდერძის მთლად საკუთარი ხელით დაწერა არ შეეძლო, მას ეს ანდერძი საკუთარი ხელით მაინც დაუწყია და ეს გარემოება საგანგებოდ აღუნიშნავს და ბოლოშიც თავისი საკუთარი ხელრთვა მოუთავსებია“<sup>11</sup>. მოკლედ, კეთდება დასკვნა, რომ ანდერძი შეიძლებოდა დაწერილიყო საკუთარი ხელითაც და სხვისი ხელითაც. მთავარია, რომ მასში გამოხატული ნება მოანდერძის ნება ყოფილიყო. დავას იწვევს ლიტერატურაში დავით აღმაშენებლის 1125 წლის ანდერძის ნამდვილობის საკითხი. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის გამომცემელთა აზრით, იგი ნაყალბევი საბუთია, მეფე გარდაცვლილია საბუთის დაწერის მომენტისათვის... „მისი სახელით საბუთს ადგენს მისი „მლოცველი ბერი“, ამიტომ „რა იურიდიული ძალა ექნებოდა ასეთ საბუთს? მეფის საბუთი უნდა დამტკიცებულიყო თვით მეფის

7 ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1984, გვ. 276.


8 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგ. IV, გვ. 240.

9 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, IX-XIII ს. ს. გვ. 53-59.

10 აკ. შანიძე, დავით აღმაშენებლის მიერ შიო მღვიმისათვის დაწერილი ანდერძის დასაწყისი სიტყვები — „ჩვენს მეცნიერება“, 1924, № 8, გვ. 48.

11 ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1984, გვ. 276.





ხელრთვით. ასევეა დამტკიცებული დავითის მიერ მისი 1123/1124 წ. ანდერძი<sup>12</sup>. ასეთია ერთ-ერთი მოტივი, რომლითაც დავით აღმაშენებლის 1125 წლის ანდერძი ნაყალბევადაა ცნობილი. ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა თვით აღნიშნული მოტივი საბუთის ნაყალბევად ცნობისა. გასაგებია, კორპუსის შემდგენელთა აზრი, რომ მეფის საბუთს მეფის ხელრთვა უნდა ჰქონოდა. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ანდერძი შეიძლებოდა ზეპირადაც თქმულიყო სიკვდილის პირას ზიარების წინ, მაზიარებელი სამღვდლო პირისათვის. სხვადასხვა გარემოებათა გამო ყოველთვის შეუძლებელია ანდერძის წერილობით გაფორმება და მისი მეფის ხელრთვით დამტკიცება. ამიტომ არაა გამორიცხული, რომ ზეპირად დაბარებული ანდერძი წერილობით გაფორმებულიყო დავით აღმაშენებლის „მლოცველი ბერი“-ს მიერ; 5. გრიგოლ სურამელის ანდერძი მიგვანიშნებს იმაზე, რომ მისი შედგენისას საჭიროა მოწმეები. გრიგოლ სურამელი იმასაც კი აღწერს, რომელი მოწმე სად იდგა ანდერძის დაწერის მომენტში (ეს მოწმეებია ძმა და შვილი, რომელთაც კიდევ უნდა აღესრულებინათ, დაეცვათ ანდერძი): „მარჯნით დგომასა ძმისა ჩემისა ივ(ან)ესსა და წინა დგომასა ძისა ჩემისა ბეგასსა“. მოცემული მოწმეები ანდერძის დამტკიცებაშიც გვხვდებიან: „ამის ჩემისა ძმისა და ღ(მერ)თ(შემოსილ)ისა გ(რი)გ(ო)ლ ქ ა რ თ ლ ის ა ერისთ(ა)ვისა დაწერილისა... მე, ივ(ან)ე მეაბჯრეთაუხუცესსა განაღამცა დამიმტკიცებია“... — ესე, ვითა პატრონსა და ღ(მერ)თ(შემოს)ი(ლ)სა მამასა უბ(რძან)ებია და დაუწერია და შეუწირავს ყოველი ჩუენი მოსავალი გ ა ვ ა ზ ე ლ თ ა ი, მეცა მათსა მიწასა და ძესა ბ ე გ ა ს ა ქ(ართლი)სა (ერისთა)ვსა განაღამცა დამიმტკიც(ებ)ია“... მოწმის როლში გამოდის ქართლის კათალიკოსი, რომლის შესახებაც თვითონ გრიგოლ სურამელი არაფერს ამბობს: „და ჩუენ, ქ(რისტე)ს მ(ი)ერ ქ(ართლისა) კ(ათალიკო)ზი ა რ ს ე ნ ი ც ა მოწამე და დამამტკიცებელი ვექმნებით ქმნადსა განგებ(უ)ლებისა მათისასა“<sup>13</sup>. ამდენად, „ზიარად მოწმე თავის თავს იმავე დროს დამამტკიცებლად სთვლიდა, მეტადრე როცა კერძო საბუთებზე იწერებოდა ხელრთულობა“<sup>14</sup>. ზოგჯერ მონასტრის მთელი კრებული — იურიდიული პირი გამოდის მოწმის როლში. ასე მაგალითად, მღვიმის კრებულის დაწერილში ტოხაისძეებისადმი ნათქვამია: „მ(ო)წ(ა)მენი და დამ(ა)მტკიც(ებ)ე(ლ)ნი ვართ ამ(ა)ს დაწერილსა ზ(ედ)ა: ბ(ა)ს(ი)ლი მე(მ)ღვ(მე), ლ(უ)კა წ(ი)ლკ(ნე)ლი, ნ(ი)კ(ოლაო)ზ მნათე და ერთობით ყ(ოვე)ლი კრ(ებ)ებ(უ)ლი“. XIII ს-ის პირველი ნახევრის საბუთში — დემეტრე წირკნელის დაწერილში სააბასადმი ნათქვამია: „ამისი მოწამე არს ს(რულა)დ კრებული“. ასეთივე ვითარებაა ასახული მღვიმის კრებულის დაწერილში ზოსიმესადმი (XII ს.): „აწ, ამას დაწერილსა ჩ(უე)ნსა მ(ო)წ(ა)მენი ვართ ამას უდაბნოსა შ(ინ)ა მყოფნი ძმანი და მ(ო)წ(ა)ფ(ე)ნი და შვილნი წ(მიდ)ისა მ(ა)მისა შიოძს ი“<sup>15</sup>. ამის შემდგომ მოდის იმ ძმათა და მოწაფეთა ვრცელი სია, რომლებიც დაწერილის მოწმეები არიან.

ამრიგად, მოწმე საერთოდ მნიშვნელოვანი მოვლენა ყოფილა ქართული ისტორიული საბუთებისათვის. როგორც შენიშნავს ივ. ჯავახიშვილი „ეს მოწმობანიც რასაკვირველია სიგელის სიმტკიცისათვის იყო შემოდებული, რად-

<sup>12</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, IX-XIII ს. ს. გვ. 60.

<sup>13</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, IX-XIII ს. ს. გვ. 124-125.

<sup>14</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართულ სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, თბ., 1926, გვ. 117.

<sup>15</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, IX-XIII სს., გვ. 84, 90, 113.



გან საბუთში აღნიშნული გარემოების მოწმეთა ხელის მოწერა უფრო უზრუნველყოფდა საბუთის ეჭვმიუტანლობას<sup>16</sup>. რასაკვირველია ეს უზრუნველყოფდა მის რეალობა-დადასტურებას. ერთ გარემოებასაც უნდა მიექცეს ყურადღება: ზოგიერთი საბუთის ბოლოში წერია „დამიმტკიცებია და მოწამეცა ვარ“, მოკლედ, ისე როგორც ეს ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, მაგრამ ზოგიერთ საბუთში უბრალოდ ნათქვამია „დამიმტკიცებია“.

დაახლოებით ასეთია ანდერძის ნამდვილობის პირობები ჩვენი ზოგიერთი წინასწარი დაკვირვებით. ეს საკითხი მომავალში კვლავ სერიოზულ დაკვირვებასა და საფუძვლიან კვლევას საჭიროებს. სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების გარდაქმნის თეორია შესაძლებლობას გვაძლევს ჩვენი სამართლებრივი აზროვნების ძველი ისტორიის დადებითი გამოცდილება დღევანდელი სამსახურს მოვახმაროთ.

16 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სიგელთა-მცოდნეობა. გვ. 118.

## დოკუმენტები მეტყველებენ

„ქართული საისტორიო საბუთები და ეთნოგრაფიული მონაცემები (გაღმომცემები) დღეს იმის საზუსტეს იძლევა, რომ გაიკრავს ქართველ მკვლევართა ნამდვილი გვარები და დაუბრუნონ ისინი წინაპართა ეროვნებას, დააბრუნონ მათი სამართლიანი მოთხოვნა, ეპუთვნოდნენ მამა-პაპათა ეროვნებას“ — წარღვა გაზეთი „კომუნისტი“ მიმდინარე წლის 7 ივნისის ნომერში. ამ და სხვა კონკრეტული პროგნოზების ერთ-ერთ და საბოლოოდ გადასაჭრელად საქართველოს სსრ იუსტიციის საგინისტროს კოლეგიაზე შეაჩვენა სპეციალური კომისია, რომელიც სწავლად და მთელი ძალისხმევით შეუდგა ამ საზოგადოებრივ საქმეს. ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ უკვე მრავალმა ქართველმა აიხდინა საუბარო ოცნება და დაიბრუნა წინაპართა გვარი და ეროვნება.

ამჟამად მკითხველს ვთავაზობთ საქართველოს კპ (ზ) ცენტრალური კომიტეტის სახელზე საქართველოს კპ (ზ) ახალციხის რაიკომის მდივნის



მიერ 1944 წლის ივნისში გაბზავნილ მოხსენებით ბარათს და 1944 წელსვე შედგენილ ახალციხის რაიონის გამაჰმადიანებულ ქართველთა ქართული გვარების სიას. ეს სინთეზისო დოკუმენტები რედაქციას მიაწოდა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ. ამ გადაუდებელ საქმეს ჩვენი შურნალი კვლავაც გამოეხეობა შესაბამისი კვალიკაციებით

\* \*

## ახალციხის რაიონის გამაჰმადიანებულ ქართველთა ქართული გვარების სია:

### აწყურის სასოფლო საგვო

სოფელი აწყური: ბარათაშვილი, ორჯონიკიძე, ბაქრაძე, მუხრანსკი, ლომაშვილი, ლომიძე, ნოზაძე, ჩხეიძე, მესხიძე, ბარბაქაძე, მალრაძე, კაპანაძე, პაპიძე, ჯანაშვილი, მალალაშვილი, სამსონიძე, ხმალაძე, კუპრიაშვილი, მარინაშვილი, ხალაძე, მამუკაძე, გურგენიძე, აზნაუროვი ანუ აზნაურაშვილი.

სოფელი ტყემლანა: გვარამაძე, ჩაკიძე, ხმალაძე, კორკოტაძე.

სოფელი წრიოხი: გურგენიძე, მალრაძე, მახიაძე.

### საქუნეთის სასოფლო საგვო

სოფელი საყუნეთი: ჯავახიშვილი, კახიძე, ფერხანიძე, ფუტურიძე, იორდანიძე, მამიძე, პატარაძე, ჯავახიძე, ტაბატაძე, სარალიძე, ოქროპირიძე, ხახუტაძე, ფოცხვერაძე, ადელაძე, ბოტაძე, ბოზოძე, კაპანაძე, ჭონკაძე, პატრიკაშვილი, გაგნიძე, მჭედლიშვილი, არყიშვილი, ბრეჩიშვილი, ტალახაძე.

სოფელი ორფოლა: ფერაძე, უუჟუნაძე, ბაყაყაძე, მუთიაშვილი, კონიაშვილი, ფუტურიძე.

სოფელი კოპაძე: ჩუბინიძე, ყიფიანი, ტალახაძე, ალხაზიშვილი, კოტაძე, მამუკაძე, სამსონიძე, საგინაშვილი, ტიკიძე.

სოფელი ნოხტევი: წერეთელი, პაპალაძე, ტატაშვილი, კაპანაძე, თინაძე, ჩხეიძე, ლომიძე.

სოფელი გიორგიწმინდა: მაზნიაშვილი, ინასარიძე, ექსოლიძე, მებზორიშვილი, იბიაშვილი, ფერაძე, მამულაძე, ნასყიდაშვილი, გოგოლაძე, მებზორიშვილი, ბერაძე, ბაბელაძე, კორკოტაძე.

### კლდის სასოფლო საგვო

სოფელი კლდე: ბიძინაშვილი, გოძიაშვილი, ტატიძე, ბლიაძე, გვარამაძე, გაგნიძე, ქარელიშვილი, ბრაქუნაშვილი, ჯიბლაძე, თხილაშვილი.



**აბარის სასოფლო საგომი**

სოფელი **ზიკლია**: გოგოლაძე, აითაძე, ბიბინაძე, გვარამაძე, ყავაზიშვილი, ხახუტაძე, ასრათიძე, ბენურაძე, ნადირაძე, სირაძე, ხეირაძე, მამლაძე, მაროძე, ჭიჭიაძე, დავრეშიძე, ზილოძე, კოტაძე, თუთაძე, კაპანაძე, მუჭაიძე, ჩიტაძე, სამსონიძე, ელიაძე, კუკუაძე, თამარაძე, გოჩაძე, ტატაშიძე.

სოფელი **წინუბანი**: კუკუაძე, ზილოძე, ჩოლაკიძე, თორაძე, ჯაფარიძე, ჭელიძე, თოთორაძე, ტოსაძე, ტოპოლაძე, უჩინაძე, გოჩაძე, მამუკაძე.

სოფელი **გურკელი**: პაპალაძე, შაუშიძე, ჯანაძე, პანტაძე, ჩოხაძე, ელიაძე, ლოლაძე, თორაძე, ლაბიძე, თაიტაძე.

სოფელი **აგარა**: ტულუშაძე, ფერაძე, ხეირაძე, გოგოლაძე, ბენუნაძე, აითაძე, კოტაძე, ხახუტაძე, გვარამაძე, ნადირაძე, ქოჩორაძე, ზილოძე, ჩიტაძე.

**ფერის სასოფლო საგომი**

სოფელი **ფერსა**: ჩახალიძე, შაშვიანიშვილი, ბეჩირაძე, მურადელი, ზასპიაძე, ლოლაველიძე, ჩაკიძე, ჭილაძე, საფარაშვილი, რევაზიშვილი, ოქრუაძე, ქუდაძე, მეცხვარიძე, გელაძე, ბარტყაძე, ბერიძე, კორკოტაძე, მალალაძე, მეხზორიძე.

სოფელი **მულარეთი**: თამარაძე, მირძველი, ინდუსელიძე, მამუკაძე, ბერიძე, ბეშოძე, ბებერაძე, დოშაძე, ტატაშიძე, კოტაძე, გენჯოძე, თამარაშვილი, მამუკაშვილი, ყალაყულაძე, სვანიძე, თურქაძე, მეცხვარიძე, ტოსოძე, მჭედლიშვილი, ქოჩორაშვილი.

სოფელი **ჩოხტა**: ქუდაძე, ჩენჩოშვილი, ლატუკაძე, მალალაშვილი, კორკოტაძე.

სოფელი **შურდო**: შუბლაძე, კატუნაძე, მუთიაშვილი, გორიაშვილი, ხმალაძე, გუჯელაშვილი, ქარუმიძე.

სოფელი **წინისი**: კობაძე, ბასილაშვილი, ბეჟაძე, პავლიაშვილი, კვირტიაშვილი, წეროშვილი.

სოფელი **ზეუბანი**: ბუნაშვილი, ფუტურიძე.

სოფელი **ბოგა**: სარალიძე, ზაუტაძე, ჩომახიძე, მეცხვარიძე, ჩიხლაძე, ცეკვაძე, ლოლაძე, კიკოშვილი, ტორულაძე.

სოფელი **სვირი**: ვარდიაშვილი, ხიზანიშვილი, მაისურაძე, ბახტაძე, ხუროძე, ყაყუნაშვილი, გოგოლაძე, კორკოტაძე, პაპლოშვილი, პაპიაშვილი, ქიტუნაშვილი, ზეთიაშვილი, ჩილაშვილი, ქორიაშვილი, ყერდერაშვილი, ფოდოლაშვილი, ყდერიაშვილი, მჭედლიშვილი, ცუხტაძე, კაკალაშვილი, ბერძენიშვილი.

სოფელი **ტატანისი**: წულუკიძე, ბლიაძე, ჭუტაძე, მეფურნიშვილი, ურბანიძე, ღანჭიპაძე.

**წარუთის სასოფლო საგომი**

სოფელი **ანი**: ორჯონიკიძე, მაისურაძე, გვილიაშვილი, თეთრაძე, ჯაფარიძე, მონელიშვილი.

სოფელი **ყურათუბანი**: უბედურიძე, ზაუტაშვილი, ფუტურიძე.

სოფელი **ძირი**: შუბიძე, გელხუაძე, მულრაშვილი.



სოფელი ელიაწმინდა: უსიშვილი, კალტახიშვილი, გიშერაშვილი, სულიაშვილი.

სოფელი ჭვინტა: თეთრაძე, გიშერაშვილი, მულრაშვილი, სულიაშვილი, სადარაძე, კალტახიშვილი.

#### სხვილის სასოფლო საგო

სოფელი ზემო სხვილისი: მანზალაშვილი, ჯაყელი, ჯაფარიძე, მახარაძე, ადოლიძე, აბაშიძე.

#### ვალეს სასოფლო საგო

სოფელი ვალე: ბერიძე, მგელაძე, ჩიტაძე, ამილახვარი, ნადირაძე, ლეზგიშვილი, ქურდაძე.

#### ჯაყისმანის სასოფლო საგო

სოფელი ჯაყისმანი: გიორგაძე, ბებნაძე, აითაძე.

#### გამაჯის სასოფლო საგო

სოფელი არჯანა: ჯაყელი.

#### საგელის სასოფლო საგო

სოფელი აბი: ტაბატაძე, აითაძე.

სოფელი ორალი: მიქაძე, ხმალაძე.

სოფელი ხაკი: დიასამიძე.

#### მინაქის სასოფლო საგო

სოფელი ტობა: თამარაძე, ვარსკენიძე.

სოფელი კვალთახევი: თეთრაძე, ქორიძე, გულიაშვილი, მათოძე, სელიმაშვილი.

#### ქისათიზის სასოფლო საგო

სოფელი ქისათიზი: ჩანახიშვილი, სარაჯიშვილი.

სოფელი არჯული: ჩირქაძე.

სოფელი ანდა: ლომიძე, მათოძე, კოტაძე, გრძელაძე.

#### ურავლის სასოფლო საგო

სოფელი ურაველი: მაჩაბელი, ხერხეულიძე, გურგენიძე.

სოფელი ორცები: მამულაშვილი.

სოფელი წყორძა: მახარაძე, საბაშვილი.

სოფელი ენგიქევი: ჩაკიძე, ჩოხრაძე, აბდურაძე.

სოფელი ხეთი: მამულაშვილი, გოგოლაძე.



კანტიეთის სასოფლო საბჭო

სოფელი გიორგიწმინდა: ვაჩნაძე, ჯაბანიძე.

სოფელი კანტიეთი: ბათოშვილი.

სოფელი პატარა აგარა: მაჩაბელი.

\* \*

საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს  
ამხ. პ. ნ. ჩარკვიანს

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს  
ამხ. ვ. მ. ბაძრაძეს

## მოსახლენობითი ბარათი\*

ამ ბარათით მსურს შევაჩერო თქვენი ყურადღება ზოგიერთ საკითხზე, რომლებიც შეეხება მესხეთ-ჯავახეთის რაიონებში, კერძოდ, ახალციხის რაიონში საჭირო ღონისძიებების ჩატარებას, რამაც უნდა უზრუნველჰყოს მშობლიური ქართული ენის აღდგენა გამაჰმადიანებულ ქართველთათვის და შესწყვიტოს შემდგომი მათი გადაგვარება, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ დაიწყო 17 საუკუნეს და არ შეჩერებულა საქართველოს გასაბჭოების შემდეგაც, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამ უკანასკნელ წლებს, როდესაც გატარებული იქმნა ზოგიერთი ღონისძიებანი ამხ. ლ. პ. ბერიას, საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მითითებით, ასე მაგალითად: 1939 წელს 12 სოფელში, იქ სადაც ქართული ენა შერჩა გამაჰმადიანებულ ქართველთა მოსახლეობას, თათრული სკოლების რეორანიზაცია ქართულ ენაზე.

პარტიაში მიღებულ გამაჰმადიანებულ ქართველებისა, რომლებიც ქართულ გვარებს ატარებენ ცვლილებების შეტანა მათი ეროვნების მდგომარეობაში.

რაიონის ადერბაიჯანული გაზეთის რეორგანიზაცია ქართულ და ადერბაიჯანულ ენაზე.

სამხარეო მცოდნეობის მუზეუმის დაარსება.

საუბრების ჩატარება გამაჰმადიანებულ მოსახლეობასთან, მათი წარსულის შესახებ და ახსნა-განმარტება მათი ნამდვილი ქართველობაზე.

მევენახეობის აღდგენისათვის ზოგიერთი სამუშაოების ჩატარება და სხვა. როგორც თქვენთვის ცნობილია ზემოაღნიშნულ ღონისძიებების ჩატარებამ, გამაჰმადიანებულ ქართველთა მოსახლეობაში, უაღრესად კი მოხუცებულთა შორის გამოიწვია კმაყოფილება.

ახალციხის რაიონში 83 სოფელია.

1939 წ. მოსახლეობის აღწერის მიხედვით, სოფლად მოსახლეობა შეად-

\* სტილი დაცულია.



გენდა 43.310 სულს, ქალაქად — 12.180 სულს, მთლიანად რაიონში 55.490 სულს.

ეროვნების მიხედვით ამავე აღრიცხვით:

ეროვნება	სოფლად	ქალაქად	სულ
1. ქართველები	3989	1847	5836
2. ადერბაიჯანელები	27811	617	28428
3. სომხები	9301	7153	16454
4. ქურთები	1407	16	1423

გარდა დასახლებული ეროვნებისა აგრეთვე არიან, რუსები, უკრაინელები, ბერძნები და სხვანი, უმთავრესად ქალაქად მცხოვრებნი.

თუ ავიღებთ მხედველობაში, რომ თითქმის მთელი რიცხვი ეგრეთწოდებული ადერბაიჯანელებისა არიან სინამდვილეში გამაჰმადიანებული ქართველები, უკანასკნელნი ვარაუდით შეადგენენ მართო ჩვენს რაიონში 28.000-ამდე სულს.

რაიონში სოფლები ეროვნების და მიხედვით განიყოფება: ქართული სოფელი 7, მათ რიცხვში 3 შორეული სოფელია, სადაც ცხოვრობენ მცირე ნაწილი გამაჰმადიანებული ქართველებისა (ვალე, ტატანისი, ტობა). გამაჰმადიანებული ქართველებით დასახლებულია 47 სოფელი, სომხებით დასახლებულია 14 სოფელი, ქურთებით 24 და ბერძნებით 1.

ისტორიულად ცნობილია, რომ გამაჰმადიანებულ ქართველებს, უმეტესად გლეხობას, მესხეთ-ჯავახეთში ჯერ კიდევ ოსმალთა ბატონობის დროსაც ქართული ენა მთლიანად დავიწყებული არ ჰქონდათ, სახლში და ურთიერ შორის ლაპარაკობდნენ ქართულად, თათრულ ენას კი ხმარობდნენ თავადაზნაურობა (ბეგები) და ის პირნი, ვინც სახელმწიფო სამსახურში იმყოფებოდნენ. ქართულ ენის დავიწყება ინტენსიურად გრძელდებოდა მე-19 საუკუნეში მიუხედავად იმისა, რომ მესხეთ-ჯავახეთი განთავისუფლებული იყო ოსმალეთის უღლიდან, ეს მდგომარეობა აიხსნება ძველი რუსეთის მთავრობის კოლონიური პოლიტიკით, რის საფუძველზედაც ქართველი მაჰმადიანები თათრებად იქმნენ გამოცხადებულნი.

დაწინებული ამ გვარ პოლიტიკით, მრავალი გამაჰმადიანებულ ქართველთა ოჯახები იძულებული იქმნენ გადასახლებულიყვნენ შუაგულ ოსმალეთში, აჭარაში და ნაწილი შუა აზიაში.

მიუხედავად ყველა ამ განსაცდელისა, გამაჰმადიანებულ მესხჯავახებმა მაინც შეინარჩუნეს მშობლიური ქართული ენა, ასე მაგალითად: ახალციხის რაიონის 47 „ადერბაიჯანულ“ სოფლიდან 22 სოფელში კარგათ ლაპარაკობენ ქართულ ენაზე, ასეთი სოფლებია: საყუნეთი, აგარა, ზიკილია, ნობტევი, მუღარეთი, ფერსა, ჩოხტა, შურდო, გიორგიწმინდა, ბოგა, სვირი, აგრეთვე 3 ქართულ სოფელში, სადაც ცხოვრობენ გამაჰმადიანებული ქართველებიც (ვალე, ტატანისი და ტობა).

12 სოფელში ქართულად სუსტად ლაპარაკობს მცირე ნაწილი მოსახლეობისა და უმეტესობა მათ შორის მოხუცებია, ახალგაზრდობამ და ბავშვობამ თითქმის არ იცის ქართული ენა. ასეთი სოფლებია: აწყური, ტყემლანა, წრიოხი, ორფოლა, კოპაძე, წინუბანი (აგარის სოფლის საბჭო), გურკელი, კლდე, წნისი, ზეუბანი, ჭვინტა, კვალთახევი. ე. ი. დღეისათვის 47 სოფლიდან მხოლოდ 24 სოფელში ლაპარაკობენ და ესმით ქართული ენა, ერთის მხრივ



ეს აიხსნება იმით, რომ აღნიშნული სოფლები ესაზღვრებიან და დაახლოვე-  
ბული არიან მაიაკოვსკის და ბორჯომის რაიონებს, მათთან ურთიერთობა  
ხელს უწყობდა ენის შენარჩუნებას. არაოფიციალურად ჩატარებულ აღრიც-  
ხვით ახალციხის რაიონის 47 სოფელში 235 ქართული გვარი აღმოჩნდა. აქე-  
დან 20 სოფელში უმთავრესად, სადაც ქართული ენა შენარჩუნებულია დღე-  
საც, იწერებიან ნაწილი გამაჰმადიანებული ქართველები ქართულ გვარზე  
(იხილეთ გამაჰმადიანებულ ქართველთა ქართული გვარების სია).

ხშირია ისეთი ფაქტები, როდესაც მამა ატარებს ქართულ გვარს შვილი  
კი არა, სამოსახლო სამეურნეო წიგნში, სამხედრო საბუთებში ისევე მოსამსა-  
ხურეები პასპორტებში ჩაწერილი არიან თათრულ გვარათ, ანუ უკეთ რომ  
ვთქვათ თავისი და მამის სახელით. ასე მაგალითად: აწყურის სასოფლო საბ-  
ჭოს თავმჯდომარე და მისი ძმა კოლმეურნეობის თავმჯდომარე სოფელ  
ნოხტევში იწერებიან ალიევად, მამა კი ჩხეიძეთ, სოფელ აწყურის საშუალო  
სკოლის დირექტორი იწერება თაიროვად, მამა კი მესხიძეთ და სხვა.

სხვათა შორის ზემოხსენებულ ამხანაგებს სურთ შეიტანონ ცვლილება  
პარტიულ საქმეებში გვარების მხრივ, მაგრამ ამ საქმეს აფერხებს ჯერჯე-  
რობით ის, რომ მათ პასპორტებში და სამხედრო საბუთებში შეუძლებელი  
ხდება შესწორების შეტანა ზემდგომი ორგანოების მითითების გარეშე.

საზოგადოდ ჩემის აზრით, საჭიროა და დროულათ მიმაჩნია, რომ იწერე-  
ბოდეს ყველა ქართული გვარები, რომელიც დღემდე შენარჩუნებულია გა-  
მაჰმადიანებულ ქართველებში, ამასთანავე ეროვნება იწერებოდეს „ქართვე-  
ლი“ „თათრის“ ან „ადერბაიჯანელის“ მაგივრად და აღნიშნული ღონისძიე-  
ბა ჩატარდეს არა მარტო ახალციხის რაიონში, არამედ ყველა მესხეთ-ჯავა-  
ხეთის რაიონებში, რისთვისაც საჭიროა ზემდგომი ორგანოების მიერ მითი-  
თება იმ ორგანიზაციების მიმართ, რომლებმაც პრაქტიკულად ანუ უკეთ რომ  
ვთქვათ ტექნიკურად უნდა გააფორმონ ეს ცვლილებები, ე. ი. საპასპორტო ბი-  
ურო, მმაჩი, სამხედრო კომისარიატი, რასაკვირველია, სათანადო ახსნა განმარ-  
ტებითი მუშაობის ჩატარებით ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და კომკავში-  
რის ორგანიზაციების მიერ.

როგორც თქვენთვისაც ცნობილია, ხალხის მტრები, რომლებიც რაიო-  
ნულ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს ხელმძღვანელობდნენ წინათ  
ხელს უწყობდნენ გამაჰმადიანებულ ქართველების მთლიანად და სამუდამოდ  
გადაგვარებას, ამის დამადასტურებელი ფაქტები მოიპოვება ბევრი, მათგან  
მოვიყვან ზოგიერთ მნიშვნელოვან ფაქტებს:

რაიონულ მმაჩში სოფლად 1921-1926 წ. საქმეთა წარმოება მიმდინა-  
როებდა ქართულ ენაზე, 1921-1929 თათრულად ძველი სპარსული ალფავი-  
ტით, 1930 წ.-1935 წ. კი თათრული — ლათინური ალფავიტით, ხოლო  
1935 წ. დღემდე კი რუსულად.

1921-1926 წლამდე ხშირია შემთხვევა, როდესაც მშობლები (გამაჰმა-  
დიანებული ქართველები) თავის და შვილის გვარს მმაჩში — რეგისტრაციის  
დროს სწერდნენ ქართული გვარით, მაგალითად: გვარამაძე, ორჯონიკიძე, ჩხე-  
იძე, ჩაკიძე, ნადირაძე, ლომიძე და სხვა. ამის შემდეგ კი ქართულ გვარებს  
ალბათ სწერენ, ახლა კი შენარჩუნებულია მხოლოდ ქართული სახელების დარ-  
ქმევა ბავშვებზე: ნათელა, ცილა, თამარა, ნინა, ვასილი და სხვა.

ხშირად ერთი და იგივე პიროვნების გვარი ცვალებადობაში იყო, ან  
სწორად რომ ითქვას შეგნებულათ უკარგავდნენ ქართულ გვარს. ასე მაგა-



ლითად: აგარის სასოფლო საბჭოს მდივანი გვარამაძე ჯუმალი კომკავშირში შევიდა 1924 წ. როგორც გვარამაძე ჯუმალი ჩახალ ოლლი, მაგრამ როდესაც 1931 წ. პარტიის კანდიდატად მიიღეს ქართული გვარი არ ჩაუწერეს და „მონათლეს“ ჯუმალი ჩახალ ოლლად ეროვნება კი „თურქი“. ეს მავნებლური სიმახინჯე შესწორებული იქმნა 1938 წ. მან თავისივე თხოვნით თავისი გვარი და აგრეთვე ეროვნებაც დაიბრუნა, ჩაგვაწერინა გვარამაძე ჯუმალ ჩახალის ძე, ეროვნება ქართველი, ამის შესახებ მან შემდეგი განუცხადა საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის წარმომადგენლებს დოცენტ დ. ლორთქიფანიძეს და მწერალ ჩაჩიბაიას „ასეული წლობით შენარჩუნებული გვარი კინაღამ არ დამიკარგეს... ეხლა კი გვარიც დავიბრუნე და ჩემი ნამდვილი ქართული ეროვნებაც“.

საყუნეთის სოფლის საბჭოში არის პატარა სოფელი „კობაძე“. ამ სოფლის მცხოვრებნი არავინ არ ატარებს ქართულ გვარს, მაგრამ თუ ავიღებთ სასოფლო სამოსახლო წიგნს 1929-30 წწ., რომელიც ინახება რაიონის არქივში, აღნიშნულია შემდეგი მოსახლენი ამ სოფელში ქართულ გვარებით: ჩუბინიძე აბას იუსუფ ოლლი, ყიფიანი ასათ არალი ოლლი, ტალახაძე გამიდ ბაშირ ოლლი, საგინაშვილი სულეიმან რაჯაბ ოლლი, სამსონიძე ქამალ არით ოლლი, კოტაძე ოსმან ახმედ ოლლი, ალხაზიშვილი ომარ დურსუნ ოლლი, მამუკაძე რაზაილ ლომან ოლლი.

რაც შეეხება ქართული ენის სწავლებას სოფლად ამ საქმეს სრულიად შეგნებულად არ ექცეოდა ყურადღება წინათ და ძირითადად ქართული ენის სწავლება ჩაშლილი იყო, ამიტაც აიხსნება ის გარემოება, რომ ახალგაზრდობამ ქართული ენა არ იცის, მიუხედავად იმისა, რომ მათმა მშობლებმა იციან.

სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ საქართველოს მეცნიერი მუშაკები, მწერლები, პოეტები და ხელოვნების კომიტეტი არც წინათ და არც ეხლა არ ატარებენ სათანადო მუშაობას მესხეთ-ჯავახეთის რაიონებში, კერძოდ, ახალციხის რაიონში, რათა ხელი შეუწყონ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს, როგორც არის გამაჰმადიანებულ ქართველთათვის სამუდამოდ თავისი მშობლიური ენის ეროვნების აღდგენა.

ჩემი აზრით, სუსტად არის გაშუქებული მესხეთ-ჯავახეთის წარსული, უმეტესად მისი ტანჯული ცხოვრება ოსმალთა ბატონობის პერიოდში, ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში. მართალია, ახალ გამოცემულ „საქართველოს ისტორიაში“ არის აღნიშნული მესხეთ-ჯავახეთი, საკმაოდ ნათლად არის გაშუქებული მისი შორეული წარსული, ისტორიული მხარე როგორც განუყოფელი კუთხე საქართველოსი, მაგრამ თითქმის არაფერი არ არის ნათქვამი შემდგომ ცხოვრებაზე და ვითარებაზე, მხედველობაში მაქვს, როგორც ზემოთ მოგახსენეთ ოსმალეთის მპყრობელობის ხანაში და შემდეგ.

ასევე სერგეი მაკალათიას წიგნში „მესხეთ-ჯავახეთ“-ში (გამოცემა 1938 წ.) არა სრულადაა მოცემული ამ ხალხის ცხოვრება. მართალია ეთნოგრაფიულ ნაწილში მოყავს საინტერესო მაგალითები ამ კუთხის ხალხის ყოფა ცხოვრებიდან, მაგრამ უაღრესად მცირედ არის გაშუქებული მესხეთი და მეტი ნაწილი უჭირავს ჯავახეთს, ასევეა ფოლკლორშიც, გარდა ამისა, აღწერილია სოფლები მხოლოდ ქართველებით დასახლებული და მეტად სუსტად არის გამოყვანილი სოფლები გამაჰმადიანებულ ქართველებით მოსახლე. მიუხედავად ამისა, ეს წიგნები ბევრად დაეხმარებოდა მესხეთ-ჯავახეთის რაიონებს



შემდგომში მუშაობისათვის, რომ საკმაო რაოდენობით მოიპოვებოდეს რაიონებში, საკმარისია ითქვას, რომ საქართველოს ისტორიის ახალი გამოცემა ჩვენს რაიონში შემოტანილია მხოლოდ ათიოდე წიგნი.

მეტად საჭიროდ მიმაჩნია, რომ ჩვენმა მეცნიერ მუშაკებმა შეადგინონ და გამოსცენ, მოკლე შინაარსიანი და ილუსტრირებული ისტორია მესხეთ-ჯავახეთისა, მისი წარსული, ოსმალთა ბატონობის პერიოდი და მისი დღევანდელი ცხოვრება. თუ ამგვარ ისტორიის სწავლებას, როგორც საგანს შევიტანთ ქართულად რეორგანიზებულ სკოლებში, დიდ ნაყოფს მივიღებთ ქართულ ენის აღდგენის საქმეში.

მესხეთ-ჯავახეთის მოკლე ისტორიის შედგენისათვის მასალები საკმაოდ მოიძებნება, როგორც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, აგრეთვე ადგილობრივ რაიონებშიც.

ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი შეგნებულად იყო მივიწყებული ადგილობრივ ორგანიზაციების მიერ. 1938 წ. მუზეუმი მოთავსებული იყო ერთ დიდ დარბაზში პურის საცხობის თავზე, რის გამო მუშაობის ნორმალურად გაშლა შეუძლებელი იყო და მისი ფონდები ფუჭდებოდა. 1938 წ. მუზეუმი გადატანილ იქმნა ახალ შენობაში, მიუხედავად ამისა მუზეუმის მუშაობა მეტად მოსუსტებს და არ სწარმოებს გამოკვლევითი მუშაობა, მეცნიერ მუშაკის უყოლობის გამო. ეს გარემოება ცნობილია განათლების კომისარიატისათვის, მაგრამ ჯერ ჯერობით არავითარ ყურადღებას არ აქცევს. მუზეუმი აგრეთვე არ ღებულობს დახმარებას საქართველოს სახელმწიფო მუზეუმიდან. ამის შედეგად ბევრი ისტორიული ფონდები დაუმუშავებელია, რომელიც დიდ ისტორიულ ინტერესს წარმოადგენს.

ავიღოთ ასეთი აქტი: ამა წლის მარტში ახალციხის მუზეუმს ეწვია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის, ნუმიზმატური კაბინეტის გამგე-ნუმიზმატი კაპანაძე, რომელმაც აღმოაჩინა ძველ ფულებს შორის, (გადადებული სახელმწიფო ფონდში გადასაცემად როგორც არა ისტორიული ფულები) მეტად საინტერესო საქართველოს ისტორიისათვის:

1. რუსუდან დედოფლის ფული „ნახევარ დრამა“ მოჭრილი ალბათ 1230 წ., რომლის ნომინალები არ მოიპოვება საქართველოში და ცნობილია მსოფლიოში 3 ცალით, რომლებიც ინახებიან: 2 ცალი ლენინგრადის ერმიტაჟში და 1 ცალი ბერლინის მუზეუმში.

2. ორი ნომინალი დავითის სახელით მოჭრილი ფული (დავით ნარინისა და ულუ დავითისა მე-12 საუკ.).

3. ერთი ნომინალი უცნობი ფულისა, რომელიც ენათესავება თურქეთის სულთან ახმედ სახელით მოჭრილ ფულს ქ. თბილისში მე-18 საუკ.

მხოლოდ ამხ. კაპანაძის მოულოდნელმა ჩამოსვლამ მისცა საშუალება საქართველოს მუზეუმს ამ ფულების შექენისა. ვინ იცის კიდევ რამდენი მეტად საინტერესო ისტორიული ნივთები დარჩა გამოუცნობი და ჩაბარებულ იქმნა სახელმწიფო ფონდში როგორც არა ისტორიული მნიშვნელობის მქონე, ისევე როგორც ჩაბარებული იქმნა სახელმწიფო ფონდში, ბესიკის მამის, ზაქარია გაბაშვილის ხელნაწერი წიგნის, ვერცხლის, ორნამენტებით მხატვრულად გაფორმებული ყდა.

ვიღებთ რა მხედველობაში ახალციხის მუზეუმის მნიშვნელობას გამაჰმადიანებულ ქართველების გადმოგვარების საქმეში, მიზანშეწონილი იქმნება მისი გარდაქმნა მესხეთის ისტორიულ ეთნოგრაფიულ მუზეუმად, მეცნიერ მუ-



შაკებით უზრუნველყოფა. მუშაობის ფართოდ გაშლისათვის მუზეუმის შენობის გაფართოება, რისთვისაც საჭიროა გადატანილი იქმნეს ფოსტის შენობაში რადიო გადაცემი სადგური, რომელიც მოთავსებულია მუზეუმის გვერდში და არ გვაძლევს საშუალებას მეორე სართულის მთლიანად დათმობას მუზეუმისათვის. ამისათვის საჭიროა მიეცეს სათანადო მითითება კავშირგაბმულობის რწმუნებულს.

რაც შეეხება მესხეთ-ჯავახეთის გაშუქებას თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურაში, როგორც პროზით ისევე პოეზიით, ჩვენდა სამწუხაროდ ქართველმა მწერლებმა და პოეტებმა თითქმის არაფერი არ მოგვცეს, თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ქართული ლიტერატურის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი ადგილი უჭირავს მესხეთს, რადგანაც ქართული პოეზიის აკვანი დაირწა მესხეთში, მესხეთის შვილის შოთა რუსთაველის ხელით, ჩვენი ქართველი საბჭოთა მწერლების და პოეტების ასეთი უაქტიობა მესხეთის მიმართ, მათთვის დასაძრახისათ მიმაჩნია.

ქართველმა მწერლებმა და პოეტებმა დროა მისცენ მესხეთ-ჯავახეთის მოსახლეობას მხატვრული ლიტერატურა, პროზით და პოეზიით გამოთქმული მესხეთ-ჯავახეთის წარსული და აწმყო ცხოვრება, გაუშუქონ სამშობლოსათვის თავდადებულნი მათი წინაპრები, მესხეთ-ჯავახების სოციალისტური შრომა და ბედნიერი ცხოვრება სტალინური კონსტიტუციის მზის ქვეშ, მათი სიყვარული საბჭოთა სამშობლოსადმი, რომელიც ნათლად გამოისახება დიდი სამამულო ომის დღეებში, დაუღალავი შრომით ზურგში და განუწყვეტილად დახმარებით ფრონტისადმი, მესხეთ-ჯავახეთის შვილების უშუალო მონაწილეობა სამამულო ომში პირისპირიან ფაშისტურ მტარვლების წინააღმდეგ, სადაც თავი ისახელეს ვაჟკაცობით და მამაკაცობით და ბევრნი მათგანი დაჯილდოვებულნი არიან ორდენებით და მედლებით.

ომის დასაწყისამდე ახალციხეში სომხურ დასთან ერთად იყო აგრეთვე ქართული თეატრალური დასიც, რაც უმთავრესად ემსახურებოდა ქალაქს. ომის დაწყებიდან, მსახიობთა უმრავლესობა წითელ არმიის რიგებში გავიდა, სახელმწიფო ბიუჯეტიდანაც დასი მოიხსნა, რის შემდეგ ვეღარ შესძლო მუშაობა და დაიშალა.

გამაჰმადიანებულ ქართველთა მოქცევისათვის მეტად საჭიროა შეიქმნას ქართული თეატრი და ქართული სიმღერების და ცეკვების ანსამბლი, რომელიც მომსახურებებს გაუწევს არა მარტო ახალციხის რაიონის მოსახლეობას, არამედ მეზობელ რაიონებსაც, რის ბაზაზეც შეიძლება შეიქმნას სოფლებში მომღერალთა გუნდები და დრამატიული წრეები.

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო თუ რა უდიდესი მნიშვნელობა ექნება მესხეთ-ჯავახეთის ეთნოგრაფიული ანსამბლის შექმნას, ქართული ენის და ზნეჩვეულებების აღდგენის საქმეში, არ იქნება ზედმეტი, რომ ამისათვის მოვიყვანო ერთი საინტერესო მაგალითი: წელს მაისის დღესასწაულის დღეებში ამხ. ვ. მ. ბაქრაძის დავალებით რაიონში გვეწვია მ. თარხნიშვილის მომღერალთა გუნდი, მოწყობილ იქმნა გუნდის გამოსვლა გამაჰმადიანებულ ქართველთა სოფლებში, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მოსახლეობაში, ყველაზე აღსანიშნავია ფერსის სოფლის საბჭოში შემავალ სოფლებში გუნდის გამოსვლა, სადაც გამოიწვია დიდი აღტაცება მოსახლეობაში, განსაკუთრებით მოხუცებულობაში, ზოგიერთგანი ააცრემლეს კიდევაც ქართულმა სიმღერებმა და ცეკვამ.



ყოველივე ეს გვიკარნახებს იმას, რომ უახლოვეს დროში შექმნილ იქმნეს ახალციხეში მესხეთის ეთნოგრაფიული ანსამბლი და ქართული თეატრი, რისთვისაც საჭიროა ხელმძღვანელი კადრებით უზრუნველყოფა, რომელიც არ მოეპოვება რაიონს, აგრეთვე პირველდაწყებისათვის საჭირო იქნება მცირე ნაწილი წამყვანი მსახიობებისა და მომღერალ მოცეკვავეებისა.

ერთ-ერთ მთავარ ღონისძიებას გადაგვარებულ ქართველთა გადმოგვარების საქმეში, წარმოადგენს, ადერბაიჯანულ სკოლების ქართულებათ გარდაქმნა, რისთვისაც საჭიროა შემდგომი რეორგანიზაცია ადერბაიჯანულ სკოლების ქართულათ სხვა დანარჩენ სოფლებში და პირველ რიგში შემდეგ სოფლებში: აწყური, ტყემლანა, წრიოხი, ორფოლა, კობაძე, წინუნი, გურკელი, კლდე, ზეუბანი, ჭვინტა, კვალთახევი, წნისი და ორ ქურთულ სოფელში, სადაც ქართული იციან — თისელი და ბლორძა.

მთავარი ნაკლი ამ საქმეში არის კადრების უყოლობა და სასწავლო წიგნების მეტად მცირე რაოდენობა. დიდი მნიშვნელობა ექმნება კარგი ყოფის მისაღებათ, როდესაც მასწავლებელთა კადრები, განსაკუთრებით უმაღლესი ცოდნით გვეყოლებოდეს ადგილობრივი, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ ასეთი კადრები მესხეთ-ჯავახეთის რაიონებში და კერძოდ ახალციხის რაიონში ზედმიწევნით ნაკლებია.

ამიტომ ყოვლად მიზანშეწონილად და დროულად მიმაჩნია, რათა ახალციხეში პედაგოგიურ სასწავლებლის ბაზაზე გახსნილ იქნას პედაგოგიური ინსტიტუტი, მოსწავლეთა რიცხვი პედაგოგიისათვის მარტო ახალციხის რაიონში აღირიცხება 200-მდე და თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ინსტიტუტში ისწავლიან აგრეთვე მეზობელ რაიონებიდან, მოსწავლეთა რიცხვი გაორკედდება თუ არა მეტი, საჭიროა, რომ განათლების კომისარიატმა ეს საკითხი დაამუშაოს და შეიტანოს სახკომსაბჭოში, ცენტრალურ კომიტეტში, განსახილველად.

ისტორიულად ცნობილია, რომ მესხეთ-ჯავახეთი განუყოფელი კუთხეა საქართველოსი, მისი ზემო ნაწილია ან როგორც იწოდებოდა ისტორიულად ზემო ქართლი და ვახუშტი ბატონიშვილის გეოგრაფიული აღწერილობით სამხრეთ საქართველო, ჩვენში ახლაც მიღებულია საქართველოს სხვა და სხვა კუთხეების თავისი სახელებით წოდება, ქართლი, კახეთი, გურია, სამეგრელო, იმერეთი, რაჭა, აჭარა, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი.

ამის და მიხედვით მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ სამხრეთ საქართველოში მოთავსებულ რაიონებსაც: ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის და ბოგდანოვკის, უწოდებდეთ მესხეთის ანუ მესხეთ-ჯავახეთის რაიონებს, ამით უფრო დაბეჯითებით მოაგონებს გამაჰმადიანებულ მესხელებს და ჯავახელებს მათ წარსულ ქართველობას და მათ განუყოფელობას საქართველოსთან.

მოგახსენებთ რა ყოველივე ზემოაღნიშნულს, გთხოვთ რათა საქართველოს კ (ბ) ცენტრალურ კომიტეტმა და საქართველოს სახალხო კომისარათა საბჭომ იქონიოს სათანადო მსჯელობა ზემოხსენებულს საკითხებზე და დასახულ იქმნას მიზანშეწონილი და მისაღები ღონისძიებანი.

საქართველოს კ (ბ) ახალციხის რაიონის მდივანი პირპბლიძე ზ. ზ.

ივნისი, 1944 წ. ქალ. ახალციხე.



# საქსოფლავის დასაყრდენი

## მოგიტხოვრებთ საზღვარგარეთულ გამოცდილებაზე

სიტყვა „ჩინოვნიკი“ ჩვენში არც ადრე იყო საქმეობრივი რამ, ხოლო უკანასკნელ წლებში ლამის სალანძღავად კი იქცა. ეს მაშინ, როცა თუ ამ ტიპის მოვაცილებით ემოციურ შეფერილობას, ცხადი ბახდობა, რომ ჩინოვნიკი სრულებითაც არ არის ბიუროკრატის, უსაქმურის ან შეგუბებლის სინონიმი. ეს არის უბრალოდ მართვის აპარატის მუშაკი. ამჟამად მზადდება კანონი სახელმწიფო სამსახურის შესახებ და ამიტომ სასარგებლო იქნება იმის ცოდნა, თუ როგორ არის ეს საქმე ორბანი-უბოხური სხვა კვანძებში, სადაც ჩინოვნიკის პრესტიჟი საკმაოდ მაღალია.

\* \*

სახელმწიფო სამსახურის ბირთვს წარმოადგენენ სახელმწიფო მართვის აპარატის — სამინისტროებისა და უწყებების ცენტრალური რგოლების მუშაკები თუმცა, რაღა თქმა უნდა, ეს ბირთვი შედგება სრულიად განსხვავებული კატეგორიის მოსამსახურეებისაგან. ესენი არიან პოლიციელები და სამხედროები, მოსამართლენი და ადგილობრივი საარჩევნო ორგანოები, სახალხო კორპორაციების, სახელმწიფო სექტორში სამრეწველო და სავაჭრო, ჯანმრთელობის დაცვის, სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებათა პერსონალი.

პროფესიონალი ჩინოვნიკების სტატუსი რეგულირებულია სპეციალური სამართლებრივი ნორმებით, რომლებშიც დეტალურად არის განსაზღვრული მოსამსახურეთა შერჩევის წესი, მათი კლასიფიკაცია, შრომის პირობები, დაწინაურება, გადადგომა, საპენსიო უზრუნველყოფა. სახელმწიფო სამსახური იძლევა არამარტო სამართლებრივ, არამედ სოციალურ მდგომარეობასაც, რასაც ცნობენ ფართო საზოგადოებრიობა და თანამდებობის პირებიც. მაგალითად, საფრანგეთში ჩინოვნიკები ექვემდებარებიან სახალხო სამსახურის სამართალს და არა შრომის სამართალს, რომლითაც განსაზღვრულია დაქირავების პირობები. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ყველა სახელმწიფო მოსამსახურე დაყოფილია ჩინოვნიკებად და მოსამართლეებად. ჩინოვნიკები ითვლებიან განსაკუთრებული კატეგორიის თანამდებობის პირებად, რომელთაც მიცემული აქვთ სახელმწიფო მართვის ფუნქციები და განსაკუთრებული სამართლებრივი სტატუსი, რაც რეგლამენტირებულია სპეციალური საკანონმდებლო აქტით — ფედერალური კანონი ჩინოვნიკის შესახებ.

ამერიკის შეერთებულ შტატებშიც ფედერალური სამოქალაქო სამსახურის მუშაკების მდგომარეობა რეგულირდება კონგრესის სპეციალური კანონ-



ნებით სხვა კატეგორიებისაგან განსხვავებით, მაგალითად, სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებების მასწავლებლები ექვემდებარებიან შრომის სამართლის ნორმებს. დიდ ბრიტანეთში სახელმწიფო აპარატის ძირითადი რგოლების მუშაკები გამოყოფილი არიან „დედოფლის სამსახურად“, დანარჩენი მოსამსახურენი მოქცეულნი არიან შრომის სამართლის საერთო ნორმების გავლენის ქვეშ.

ამრიგად, პროფესიონალი ჩინოვნიკები ექვემდებარებიან განსაკუთრებულ სამართლებრივ რეჟიმს. მათთვის დაწესებულია კონკურსების სისტემა — კანდიდატების შერჩევა, მათი დაწინაურება დაფუძნებულია მოსამსახურეთა დაყოფაზე კატეგორიებად, ჯგუფებად და კლასებად, ამასთან თითოეულისათვის დადგენილია თავისი წესი.

დაქირაავების ყველა სხვა სახისაგან განსხვავებით ჩინოვნიკობა წარმოქმნის ეგრეთ წოდებულ „კარიერის სამსახურს“. აქ არის თავისი წესები: ადამიანი ინიშნება განუსაზღვრელი ვადით, არსებითად მთელი სიცოცხლის მანძილზე. როგორც წესი, 60-65 წლის იგი გადადგება და მიიღებს პენსიას. საბაზრო ეკონომიკის სამყაროში ხანდაზმულობამდე შრომითი დასაქმება დიდი სოციალური პრივილეგიაა.

სახელმწიფო სამსახურის ცნება დაკავშირებულია დაწინაურების პერსპექტივასთან — აქ ჩარიცხვას შემთხვევით როდი უწოდებენ „კარიერის ხელშეკრულებას“. განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი ითვალისწინებს მუშაობის დროს გარკვეული შეღავათების მიღებას და პრივილეგიურულ მატერიალურ უზრუნველყოფას გადადგომის შემდეგ. შეღავათებისა და პრივილეგიების სისტემაში ასახულია ჩინოვნიკობის იერარქიული ხასიათი. დასავლეთის სხვადასხვა ქვეყნის უმრავლესობაში მაღალი ჩინოვნიკების ხელფასების განაკვეთები შეთანაბრებულია კერძო ბიზნესის განაკვეთებთან. მაგალითად, ინგლისში სამოქალაქო სამსახურში და კერძო ბიზნესში მაღალ პოსტებზე მყოფი ადამიანები მიეკუთვნებიან იმ პირთა კატეგორიას, რომლებსაც შედარებით უფრო მაღალი ხელფასი აქვთ. სამინისტროების მაღალი რანგის ჩინოვნიკებს ისეთივე ხელფასები აქვთ როგორც მრეწველობის, ვაჭრობის და საბანკო საქმის მენეჯერებს.

ცხადია, განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი მოითხოვს გარკვეული მოვალეობების დაცვასაც. ეს, უწინარესად, არის სახელმწიფოსადმი ერთგულება, პოლიტიკურ საქმეებში თავშეკავებულობა და მიუკერძოებლობა. აქ იგულისხმება წინასაარჩევნო ბრძოლაში ჩაურევლობა და პარტიული საქმიანობა.

პოსტების დაქვემდებარებისა და თანადაქვემდებარების ზუსტი იერარქია — ეს არის სახელმწიფო სამსახურის ერთ-ერთი მთავარი თავისებურება. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია საფრანგეთისათვის. ჩინოვნიკები იყოფიან ოთხ კატეგორიად, ამასთან თითოეული მათგანი ქმნის განსაკუთრებულ შეკრულ ჯგუფს შერჩევისა და სამსახურის გავლის თავისებურებებით. ჩინოვნიკის თანამდებობაზე დანიშვნა შედის გარკვეულ კორპუსში, სადაც მიმდინარეობს მისი კარიერა.



დასავლეთის ქვეყნების უმრავლესობაში 70-80-იან წლებში სახელმწიფო სამსახურში განხორციელებულმა გარდაქმნამ გარკვეულწილად წაშალა ტიხარები კატეგორიებსა და ჯგუფებს შორის, გააძლიერა მოსამსახურეთა მობილურობა, უფრო ფართო პერსპექტივები შექმნა ერთი ჯგუფიდან მეორეში გადასვლისათვის. მაგრამ ეს პროცესი მხოლოდ დემოკრატიზაციის თანხლებით როდი ჩატარებულა. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ფედერალური სამოქალაქო სამსახურის რეფორმის დროს 1978 წელს კანონმდებლობით განმტკიცდა ეგრეთწოდებული „მაღალი საშემსრულებლო სამსახურის“ შექმნა, რომელიც შეიცავს სამი მაღალი კატეგორიის ჩინოვნიკებს. არსებითად, შეიქმნა მაღალი ჩინოვნიკების შეკრული კორპუსი, რომელსაც მეტად პრივილეგირებული სტატუსი აქვს და მას მთავრობა შეხედულებისამებრ თავისუფლად გადაანაცვლებს და იყენებს. ამ კორპუსის წევრები შეიძლება გადაიყვანონ სხვა თანამდებობაზე, მაგრამ მათ არ აწუხებთ თანრიგით შესაძლო დაქვეითება, მაშინ, როცა სხვა ფედერალური სამსახურების მოსამსახურენი ექვემდებარებიან ისეთი კლასიფიკაციის სისტემას, რომელიც მოითხოვს ნაკლებად პასუხსაგებ პოსტზე გადაყვანისას თანრიგის დაქვეითებასა და ხელფასის შემცირებას.

ინგლისში ყოფილი ადმინისტრაციული კლასის სამი მაღალი საფეხურის ბაზაზე შექმნეს ასევე შეკრული, მაგრამ უფრო ვიწრო ჯგუფი ეგრეთწოდებული „მაღალი ადმინისტრაციული და პოლიტიკური ხელმძღვანელობისაგან“, რომლებისთვისაც დადგენილია ჩარიცხვის განსაკუთრებული წესი და თანამდებობაზე ყოფნის განსაკუთრებული პირობები.

ხაზი უნდა გაესვას დასავლეთის ქვეყნებში სახელმწიფო სამსახურის სიმტკიცეს. არჩევნების შედეგად იცვლება აპარატის მხოლოდ სათავე, როგორც წესი, პოლიტიკური მოღვაწენი, რომლებიც მთავრობაში შეჰყავს გამარჯვებულ პარტიას. ამერიკის შეერთებულ შტატებში ასეთ მოღვაწეებს თანამდებობა უჭირავთ საშუალოდ დაახლოებით ორი წლის განმავლობაში, ინგლისში კიდევ უფრო ნაკლები ვადით. ხოლო მუდმივად მყოფი პროფესიონალი ჩინოვნიკები ქმნიან სახელმწიფო აპარატის შეუცვლელ ელემენტს და კვლავ რჩებიან „ხელისუფლების დერეფნებში“. სახელმწიფო საქმეებში და პოლიტიკური ხელისუფლების მექანიზმში მათი მდგომარეობა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ინგლისში, მაგალითად, ჩინოვნიკებს უწოდებენ „ნამდვილად მმართველ კლასს“.

თითოეულ ქვეყანაში, რა თქმა უნდა, არის თავისი სპეციფიკა, მაგრამ ჩინოვნიკების კორპუსი ყველგან არის რეალურად გავლენიანი პოლიტიკური ძალა, რომელიც მიმართულია მნიშვნელოვანი სახელმწიფო გადაწყვეტილებების შემუშავების პროცესისაკენ.



# ნაშრომი ადმინისტრაციული სამართლის საკითხებზე\*

პრივილ პრემიუმი

პროფ. ვ. ლორიას ნაშრომში „მმართველობა და კანონმდებლობა“ გადმოცემულია საბჭოთა ადმინისტრაციული სამართლის მნიშვნელოვანი საკითხები: სახელმწიფო მმართველობის ცნება, მმართველობის ორგანოთა დემოკრატიული ფუნქციები, მათი სტრუქტურა, ამოცანები თანამედროვე ეტაპზე, სახელმწიფო მმართველობა და საბჭოთა ადმინისტრაციული მატერიალური კანონმდებლობის სრულყოფის აუცილებლობა და ა. შ.

შესავალ ნაწილში ავტორი მოკლედ საუბრობს საბჭოთა ადმინისტრაციული სამართლის, როგორც დარგისა და როგორც მეცნიერების შექმნა-განვითარებაზე, თითოეული მათგანის როლსა და ამოცანებზე, ხოლო სპეციალური თავი ეთმობა ადმინისტრაციული სამართლის კიდევ ერთ დიდმნიშვნელოვან საკითხს — ეს არის მისი მატერიალური და პროცესუალური ნორმების შედგენის აუცილებლობა, ამ მიმართებით კოდიფიცირების მნიშვნელობა.

ნაშრომის ბოლო თავია „სახელმწიფო მმართველობის აქტუალური საკითხები ჩვენს რესპუბლიკაში“.

საქართველოს სს რესპუბლიკაში საბჭოთა ადმინისტრაციული სამართლის ხაზით ნაშრომების გამოცემის დეფიციტი აშკარად შესამჩნევია, ამ გზებით პროფ. ვ. ლორიას დასახელებული ნაშრომის გამოცემა დროული და მეტად საჭირო მოვლენაა.

სარეცენზიო ნაშრომში ავტორის მიერ მრავალი საკითხი ახლებურად არის დაყენებული, იგი კრიტიკულად იხილავს რიგ ავტორთა ნაშრომებსა და ამჟღავნებს თავის პოზიციებს, ახალი საკანონმდებლო აქტების მიღებასთან დაკავშირებით მსჯელობისას იგი საინტერესო წინადადებებსაც აყენებს.

ნაშრომს ახასიათებს ზოგიერთი ნაკლი, რაც უმთავრესად იმაში გამოიხატება, რომ გამოცემის მომენტში იგი ზოგ საკითხში აღმოჩნდა ძველ მასალებზე დამყარებული. მასში არ არის ასახული ის ცვლილებანი, რაც მოხდა მმართველობის სფეროში ჩვენს ქვეყანაში ნაშრომის დაწერასა და მისი დაბეჭდვის შორის პერიოდში. მათ შორის ცვლილებანი სახელმწიფო მმართველობის

\* ვ. ლორია, მმართველობა და კანონმდებლობა, გამომ. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1989 წ.





ცენტრალური აპარატის (სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების) შემადგენლობაში, აგროსამრეწველო კომპლექსის ხაზით, სახალხო სასამართლოების არჩევის წესში და ა. შ. მაგალითად, ნაშრომის მე-13 გვერდზე ჩაწერილია, რომ „განათლების რესპუბლიკური სამინისტრო ვერტიკალურად ექვემდებარება საკავშირო განათლების სამინისტროს, ხოლო ჰორიზონტალურად — რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს“. როგორც ცნობილია, დღეისათვის განათლების დარგში საკავშირო მასშტაბით არსებობს არა განათლების სამინისტრო, არამედ სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტი (იხ. სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება, გაზ. „პრავდა“, 1988 წლის 9 მარტი).

ნაშრომის ბოლო თავში ლაპარაკია სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტისა და მისი სისტემის შესახებ (გვ. 93-95 და სხვ.), მაგრამ არაფერია აქ ნათქვამი აგროსამრეწველო კომიტეტის მთელი სისტემის შეცვლის შესახებ. სსრ კავშირის სახაგრომრეწველი დიდი ხანია უკვე გაუქმებულია, როგორც ცნობილია, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1989 წლის 16 მარტის პლენუმმა მიიღო დადგენილება „თანამედროვე პირობებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის აგრარული პოლიტიკის შესახებ“, რომლის მე-6 პუნქტიც ეხება სსრ კავშირის სახაგრომრეწვის გაუქმებას და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სურსათისა და შესყიდვის სახელმწიფო კომისიის შექმნის, აგრეთვე ამ დარგში მოკავშირე რესპუბლიკებში, ავტონომიურ ერთეულებში, მხარეებში (ოლქებში) და რაიონებში საჭირო ორგანოების ჩამოყალიბების შესახებ (იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1989 წლის 1 აპრილი).

სარეცენზიო ნაშრომის 36-ე გვერდზე ჩაწერილია, რომ „ხელისუფლების ორგანოები თავიანთ საქმიანობას ამოწურავენ არსებითად ფაქტობრივად სასესიო მუშაობით“. აქ ავტორი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებზე ლაპარაკობს და გულისხმობს უმაღლეს საბჭოს, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა კი მის მიერ ნახსენებიც არ არის. ამას გარდა, აქ არ არის მითითებული, რომ დღეისათვის (1988 წლის 1 დეკემბრიდან) სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო არის არა მხოლოდ კანონმდებელი, არამედ განმკარგულებელი და საკონტროლო ორგანოც (სსრ კავშირის კონსტიტუციის 111-ე მუხლი).

ნაშრომის 84-ე გვერდზე ლაპარაკია სახალხო სასამართლოების შემადგენლობის არჩევნებზე და სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანამდე არსებულ წესზე უთითებს, რომ „სახალხო მოსამართლეს ირჩევს ხალხი“. სინამდვილეში ეს ამჟამად ასე არ არის (იხ. სსრ კავშირის კონსტიტუცია, 152-ე მუხლი).

ცნობილია, რომ ჩვენს ქვეყანაში იყო პერიოდი (1930-1938 წ.წ.), როდესაც საბჭოთა ადმინისტრაციული სამართალი იურიდიული ფაქულტეტებისა და ინსტიტუტების სასწავლო გეგმებში არ იყო გათვალისწინებული. ამის შესახებ სარეცენზიო ნაშრომშიც კი არის ჩაწერილი, რომ „1930-1931 წლებში საბჭოთა ადმინისტრაციული სამართლის კურსის სწავლება შეწყდა იურიდიულ სასწავლებლებში“ (გვ. 5), ხოლო იქვე, რამოდენიმე გვერდის შემდეგ ვკითხულობთ, რომ „30-იან წლებში დაიწყო საბჭოთა სახელმწიფო მმარ-



თველობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის ამოცანების მეცნიერული დამუშავება და გადაჭრა“ (გვ. 9).

საბჭოთა ადმინისტრაციული სამართლის სწავლება ჩვენს ქვეყანაში განახლდა მხოლოდ 1933-1939 სასწავლო წლიდან. 1941 წელს კი სამამულო ომი დაიწყო... ჩემი აზრით, ფაქტობრივად „სახელმწიფო მმართველობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის ამოცანების მეცნიერული დამუშავება“ დაიწყო ომის შემდგომ პერიოდში და არა 30-იან წლებში.

ნაშრომში საბჭოთა სახელმწიფო ორგანოთა ჩამოთვლისას (გვ. 35-36) გამოტოვებულია სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოები. სინამდვილეში არბიტრაჟის ორგანოები კონსტიტუციური ხასიათის ორგანოებია (იხ. სსრ კავშირის კონსტიტუციის 163<sup>2</sup>-ე მუხლი) და შედიან საბჭოთა სახელმწიფო ორგანოთა სისტემაში. აქ საკამათოა ის, რომ სახელმწიფო და საუწყებო არბიტრაჟი უფრო მმართველობის ორგანოებს მიეკუთვნებიან, მართლმსაჯულების ორგანოებს თუ განსაკუთრებული და განსხვავებული თვისების მქონე თვითმყოფად ორგანოებს წარმოადგენენ?

სარეცენზიო ნაშრომში მითითებულია, რომ უკრაინის სსრ ადმინისტრაციული კოდექსი ძალაში შევიდა 1928 წლის 1 იანვარს (გვ. 63). თუ ამ თარიღის სიზუსტეს რაიმე მნიშვნელობა აქვს, სინამდვილეში იგი ძალაში შესულია დასახელებული წლის 1 თებერვლიდან.

იქვე 85-ე გვერდზე ჩაწერილია, რომ „უმადლესი საბჭო სრულიად განსხვავებული წესით ირჩევს მთავრობას“, მთავრობა კი, როგორც წესი, არ ირჩევა, არამედ იქმნება.

მიუხედავად ამ შენიშვნებისა, ნაშრომი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დადებითი მოვლენაა და დიდ სამსახურს გაუწევს მკითხველს.

## ინფორმაცია

# გვექნება კანონი საქართველოს სსრ მოქალაქეობის შესახებ

საბჭოთა კავშირში მიმდინარე გარდაქმნამ განსაკუთრებული გამოხატულება საქონმდებლო საქმიანობაში პოვა. სახალხო დეპუტატთა I საკავშირო ყრილობამ, შემდეგ კი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ მრავალი ახალი კანონი მიიღო, ხოლო არსებულ კანონებში შეიტანა ცვლილებანი.

გააქტიურდა საქონმდებლო საქმიანობა მოკავშირე რესპუბლიკებშიც. ამ საქმეში შესაშური ოპერატიულობით ბალტიისპირელები გამოირჩევიან. მათ ენის, მოქალაქეობის, ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატთა არჩევნების, გლეხური მეურნეობის შესახებ და კიდევ რამდენიმე სხვა რეს-



პუბლიკური კანონის პროექტი გამოაქვეყნეს საყოველთაო განხილვისათვის და ზოგიერთი მათგანი უკვე მიიღეს კიდევ.

ჩვენი რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოებიც აქტიურად ჩაებნენ ამ საერთო ეროვნულ საქმეში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 20 ივნისის დადგენილებით შეიქმნა რესპუბლიკური კანონების შემმუშავებელი რამდენიმე კომისია და მუშაჯგუფი. მათ შორის, „საქართველოს სსრ მოქალაქეობის სტატუსის შემოღების წინადადებათა შემმუშავებელი მუშაჯგუფი“, რომელსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ღირსი მემკვიდრეობის დოქტორი სერგო ჯორბენაძე თავაყაობს. ჯგუფის შემადგენლობაში რვა წევრია: საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი სესილი გოგიბერიძე, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი გურამ ფანჯიკიძე, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ვიქტორ შარაშენიძე, რესპუბლიკის პროფსაბჭოს მდივანი ტრიფონ როსტიაშვილი, ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი ნიკოლოზ ჭავჭავაძე, ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე თემურ შაშიაშვილი, იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი თამაზ მირესაშვილი და ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ზვიად გამსახურდია. ჯგუფის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ „დემოკრატიული არჩევნები საქართველოში“ — დას-ის წევრები ფრიდონ საყვარელიძე და გიორგი შერვაშიძე.

უკვე გაიმართა კომისიის არაერთი სხდომა, რომლებიც ძალზე საქმიან და კრიტიკულ ატმოსფეროში მიმდინარეობს. ჩატარდა მიგრაციის შესახებ საქართველოს სსრ კანონის შემმუშავებელ მუშაჯგუფთან (ხელმძღვანელი ჯანსუღ ჩარკვიანი) ერთობლივი სხდომაც.

მუშაჯგუფის წევრები არაერთხელ შეხვდნენ თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს, მათ შორის, კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის აქტივს, სტუდენტ-ახალგაზრდობას, სახალხო ფრონტისა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან შეხვედრებს.

მიმდინარე წლის 2 სექტემბერს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით სამეცნიერო საწარმოთა შემოქმედებითი ახალგაზრდული გაერთიანება „ამირანის“ კლუბში გაიმართა დისკუსია საქართველოს სსრ მოქალაქეობის შესახებ კანონპროექტის ირგვლივ იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელთა მონაწილეობით.

დისკუსიის მონაწილეებს შესავალი სიტყვით მიმართა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე ტალიაშვილმა. მან ხაზი გაუსვა რესპუბლიკაში ბოლო ხანს გამოცოცხლებული საკანონმდებლო საქმიანობის დიდ მნიშვნელობას, მასში საზოგადოებრიობის მონაწილეობის აუცილებლობას. აღნიშნა რესპუბლიკის მოქალაქეობის შემოღების პროგრესული ხასიათი.

ინფორმაცია საქართველოს სსრ მოქალაქეობის კანონის შემმუშავებელი მუშაჯგუფის საქმიანობის შესახებ გააკეთა იუსტიციის სამინისტროს უფროსმა კონსულტანტმა, მუშაჯგუფის სწავლულმა მდივანმა თამაზ მირესაშვილმა. მან აღნიშნა, რომ რესპუბლიკის მოქალაქეობის სტატუსის შემოღების წინადა-



დებათა შემმუშავებელმა მუშაჯგუფმა დაადგინა შეიმუშაოს კანონი „საქართველოს სსრ მოქალაქეობის შესახებ“ და არა „საქართველოს სსრ მოქალაქეობის სტატუსის შესახებ“. შეიმუშავა წინასწარი მოსაზრებები კანონპროექტისათვის, რომელშიც აისახა კანონპროექტის ყველაზე მწვავე სადისკუსიო ასპექტები, ისეთები, როგორცაა ბინადრობისა და ენის ცენზი, ორმაგი მოქალაქეობის პრინციპი, მოქალაქეობის ჩამორთმევის წესი და სხვ. მომზადდა საქართველოს სსრ კონსტიტუციის 31-ე მუხლის ახალი რედაქციის პროექტი.

თამაზ მირესაშვილმა მსმენელთ გააცნო „საქართველოს სსრ მოქალაქეობის შესახებ“ კანონპროექტის მისეული ვარიანტი, რომელსაც უახლოეს დღეებში განიხილავს მუშაჯგუფი და დამტკიცების შემდეგ საერთო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდება.

გამიართა აზრთა გაზიარება, რომელშიც განსაკუთრებით დას-ის — „დემოკრატიული არჩევნები საქართველოში“ წევრები და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები აქტიურობდნენ. ალექსანდრე ტალიაშვილმა და თამაზ მირესაშვილმა უპასუხეს მრავალ შეკითხვას, მისცეს არაერთი განმარტება.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ მოქალაქეობის შესახებ კანონპროექტის საკვანძო დებულებამ, რომელიც შეეხება რესპუბლიკის მოქალაქის ორმაგ მოქალაქეობას — საბჭოთა კავშირის მოქალაქეობასთან დამოკიდებულებას, დარბაზის ერთსულოვანი უკმაყოფილება გამოიწვია. მათ თითქმის ერთხმად უარყვეს საქართველოს სსრ კონსტიტუციის 31-ე მუხლის ახალი რედაქციის პროექტის მე-2 პუნქტის ასეთი ფორმულირება და მასში გატარებული აზრი — „საქართველოს სსრ მოქალაქეობის პირველადობიდან გამომდინარე სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე იმავდროულად სსრ კავშირის მოქალაქეა“ და მოითხოვეს დადგინდეს კომპრომისული დებულება, რომელიც უფლებას მისცემს რესპუბლიკის ყოველ მოქალაქეს თავად გადაწყვიტოს მისი სსრ კავშირის მოქალაქეობრივი კუთვნილების საკითხი.

დისკუსიაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის წევრი, სამართლის პროპაგანდის, მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდისა და საყოველთაო სამართლებრივი სწავლების განყოფილების უფროსი გიორგი მიქანაძე, კანონპროექტების მომზადების, კანონმდებლობის სისტემატიზაციისა და კოდიფიკაციის სამმართველოს უფროსის მოადგილე ცისმარ გოდერძიშვილი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგე გიორგი დობორჯგინიძე, სამართლებრივი აღზრდის სექტორის გამგე ვალიკო ფანჩულიძე.





# ცნობილი სისხლის სამართლის საქმეები

## თავდასხმა გლაზგო-ლონდონის საფოსტო მატარებელზე

პოლ ბაკი

### დასვენება ირლანდიაში დროული გამოღვა...

ჰუდომ თქვა, რომ დედა ავად ჰყავდა და გაიფიქრა, ერთი ათი დღით ირლანდიაში სიძესთან ო'ლონთან წავიყვან დასასვენებლად. ჰუდმა გადაწყვიტა დედა გაეცილებინა თავის მეგობარ კნოულესთან ერთად, რათა იქ დასვენების პერიოდში ენადირათ და ეთევზავთ. ამ დასვენების ხარჯებს გადაიხდიდა იმ დამატებითი საქმიანობით მიღებული სახსრებით, რასაც ზოგჯერ ეწეოდა ხოლმე, კერძოდ: კონტრაბანდით. ჰუდს ქათვალისწინებული ჰქონდა თან წაეღო 500 ცალი საათი მაილენის ბანდისათვის. ეს პატარა ჯგუფი ირლანდიაში ჩავიდა 2 აგვისტოს. მასპინძელი ო'ლონი ღამეს ათევდა თავის ოთახში; მეორე ოთახში — ჰუდი და კნოულესი; ჰუდის დედა, მასპინძლის ორ ქალიშვილთან ერთად, იძულებული იყო სამზარეულოს იატაკზე დაფენილ ლეიბზე დაეძინა. ჩამოსვლის მეორე დღეს ჰუდომ დაიჭირა ავტომობილი ბელფასტში გასამგზავრებლად, რომელიც ლეისბორნიდან, სადაც ისვენებდნენ, 15 კილომეტრით არის დაშორებული. კვირას კნოულესთან ერთად ნადირობდა. ორშაბათს დუბლინში გაემგზავრა საათების გასასაღებლად. იმ საღამოს დაიწყო მოუწყობელი ცხოვრების სირთულეები. ვალიზიანებულმა ჰუდომ გადაწყვიტა მეორე დღესვე, სამშაბათს, დილით დაბრუნებულიყო ლონდონში. ბელფასტის აეროპორტიდან გაფრინდა მაკ-

კონიგლის სახელზე გამოწერილი ბილეთით. სასამართლოსთვის ცხადი გახდა, რომ იგი ასე იმიტომ მოქმედებდა, რომ კნოულესისა და დედამისისათვის მიეცა საშუალება დაბრუნებულიყვნენ „მისტერ ჰუდისა და მის თანხლებთა“ სახელზე გამოწერილი ბილეთით. ბილეთში ეს ჩანაწერი კნოულესმა შემდეგ შეასწორა ასე — „მისტერ და მადამ ჰუდი“, რათა უეჭველი ალიბი ჰქონოდა. ჰუდი ცდილობდა უარეყო სასამართლოს ეს ვარაუდი და ირწმუნებოდა, რომ ეს არაფერს იძლეოდა. სინამდვილეში კი კნოულესი და ჰუდის დედა ირლანდიიდან გაემგზავრნენ მომდევნო დღეს და სურვილის შემთხვევაში საშუალება ჰქონდათ დროზე ყოფილიყვნენ ძარცვის ადგილზე. თავდასხმა დათქმულ დღეს რომ განხორციელებულიყო, მაშინ ჰუდის უეჭველი ალიბი ექნებოდა. ბუნებრივია, მას ეწინოდა, რომ სასამართლო მივიდოდა ამ დასკვნამდე.

ყველაზე ბოლოს ჩვენებები მისცეს ბრაიან ფილდმა, ლენი ფილდმა და ჯონ უიტერმა.

### „მოვიტყუე, რათა პოლიციას არ დახმარებოდი“

ბრაიან ფილდმა ადგილი დაიკავა მოწმეთა ბარიერთან და განაცხადა, რომ მატარებელზე თავდასხმის ღამეს შინ იყო და ამას მეზობლებიც დამიდასტურებენო. იგი ასევე შინ იყო იმ საღამოს, როცა, როგორც გამოძიება ვარაუდობს, დორკინგის მახლობლად ტყეში დატოვეს ფული. ბრაიანი ლაპარაკობდა სწრაფად და დამაჯერებელი ტონით. სასამართლოს გაუტყუადა, რომ თავდაპირველად ვერ ამოიცნო საკვოთაეები და ასევე ვერ იცნო ლეო-

დასასრული. დასაწყისი იხ. ურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1987 წლის №№ 2-6, 1988 წლის №№ 1-6, 1989 წლის №№ 1-6.



ნარდი დაპირისპირების დროს, რადგან დაპატიმრებამ ძალიან ამაღლევაო. „ამის ახსნა რთულია, — თქვა მან, — მე ხომ იმისთვის დამაპატიმრეს, რაც არ ჩამიდენია. მოვიტყუე, რათა პოლიციას არ დავხმარებოდი. ვვარაუდობდი, რომ გამოვნახავდი ლენინ ფილდისთვის დახმარების შესაძლებლობას. არაფრის გაკეთება არ მსურდა მისტერ ბატლერისათვის. საქმეში გარევა არ მინდოდა. ვალიარებ, რომ ეს სასაცილოა“. ახლა კი თანახმაა, რომ საკვიოაქები, რა თქმა უნდა, მას ეკუთვნის, და როგორც ჩანს, სწორედ მას მოპარეს. გარდა ამისა, მან თქვა, რომ როცა ლეზერსლიდის ფერმას ყიდულობდა, ასრულებდა მხოლოდ თავისი კლენტის ინსტრუქციას. სასამართლოზე გამოსული მრავალი მოწმე ადასტურებდა მისი ჩვენების სხვადასხვა მხარეს.

### გასაკიცარი გაუფრთხილებლობა

ლეონარდ ფილდს მოუსმინეს ორი დღის შემდეგ, პარასკევს და მაშინვე წარმოიშვა ლეზერსლიდის ფერმის შეძენის ახალი ვერსია. პირველივე სიტყვებით ლეონარდი ცდილობდა ყველა დავაწმუნებინა თავის გულწრფელობაში. დეტალურად მოჰყვა თუ როგორ გამოიყენეს იგი ფილდმა და უიტერმა. მისმა ქმამ გარემ დაუტოვა მას საქმისწარმოების მინდობილობა ვიდრე იგი ციხეში იქნებოდა, ხოლო უიტერმა შესთავაზა სახლის შესყიდვა გარის ფულით, რაც შემდეგ უნდა დაებრუნებინა, თავისთვის კი პროცენტები დაეტოვებინა. მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ იგი დაეთანხმა, ბრაიან ფილდთან ერთად დათვალეირა ფერმა, რომელიც არ მოეწონა და თქვა, რომ არ სურს მისი შეძენა და, მითუმეტეს, ფულის წინასწარ მიცემა უიტერისათვის. მეორე დღეს, მას შემდეგ, რაც პოლიციამ მიაგნო ფერმას, მას გამოუახეს ბრაიან ფილდმა და უიტერმა. ამ უკანასკნელმა უთხრა, რომ მან ფერმა შეიძინა ლეონარდის სახელზე და რომ სწორედ მას გამოიყენებდნენ განგსტერები. ასეთმა გაუფრთხილებლობამ ფრიალ გააოცა, მაგრამ რა ექნა? მისცეს ინსტრუქცია თუ რა უნდა ევაუსუნხა პოლიციისათვის. იგი დაეთანხმა, ოღონდ კი თავიდან აეცილებინა უსიამოვნებანი. ამ ჩვენებების შემდეგ სხდომა დაიხურა და ლეონარდის დაკითხვა გადაიდო მომდევნო ორშაბათისათვის. შაბათსა და კვირას ერთდღიანი საკანში ჰყავდათ, რადგან მისი ჩვენება ჯერ სრული არ იყო და იგი გარეშე ზემოქმედებისაგან იზოლირებული უნდა ყოფილიყო. მაგრამ, როცა ლეონარდი კვლავ წარსდგა სასამართლოს წინაშე, განაცხადა, რომ ყველაფერი

მოიტყუა. მატარებლის გაძარცვის მეორე დღეს ბრაიან ფილდისაგან შეიტყო, რომ ფერმა მის სახელზეა შეძენილი და 5 ათასი გირვანქა სტერლინგად დათანხმა, რომ პოლიცია ცრუ კვალზე დაეყენებინა. როცა ლეონარდი განასჯელთა სკამისაკენ დაბრუნდა, თავის ადგილზე აღარ დაჯდა და უიტერს და ბრაიან ფილდს კი არა, ბოლოს მიუჯდა გვერდით.

უკანასკნელად დაკითხეს სამართალში მიცემული უიტერი. მან მიუთითა პარლამენტის წევრსა და კონსერვატიული პარტიის ვიცეთავმჯდომარეზე პოლ ბრაიანზე და ბრიგადის გენერალ ჯოზეფი ბარატზე, რომლებსაც როგორც მორალურ მოწმეებს შეედოთ ხატონად მოეთხროთ მის ცხოვრებაზე არმიაში. უიტერმა განაცხადა, რომ მან ლეზერსლიდის ფერმის შესახებ არაფერი იცოდა, ვიდრე ლენინ სთხოვა მას მიეღო მონაწილეობა მისი შეძენის თაობაზე მოლაპარაკებაში. მაშინ მან ლენინს მაგიერ უკანონოდ მოაწერა ხელი ხელშეკრულებას, რომელშიც მიუთითა ცრუ მისამართი: ერლ კლერტ როუდი, 150. უიტერის სიტყვით, მისი დაპატიმრების შემდეგ მას ლეონარდმა მიმართა თხოვნით, რათა მისი დაცვა ეკისრა. უიტერი მეტად აღელდა, როცა პოლიციაში მივიდა და იქ ლეონარდი დაინახა. მხოლოდ ამ მიზეზით ვერ იცნო იგი თავდაპირველად და ვერ შეძლო ევაუსუნხა ლეონარდის ხმამაღალი შეძახილისათვის, რომ მას არ შეუძენია ლეზერსლიდის ფერმა.

### წინააღმდეგობრივი კარინი

საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კარინ ფილდმა ჟურნალ „უიტერისათვის“ დაწერილ სტატიებში მისცა სინამდვილესთან შეუსაბამო ჩვენებები. ყველაფერი ის, რაც მან სასამართლოზე თქვა, ადასტურებდა, რომ მას და მითუმეტეს მის ქმარს არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ დანაშაულში. მაგრამ თავის სტატიებში სწორედ ამის საწინააღმდეგოს ამტკიცებდა. კერძოდ, თქვა, რომ დანაშაულის თანამონაწილე გახდა მისი ჩაღენის შემდეგ. ძარცვის დამთავრებისთანავე თავისთან მიაწყო საზეიმო საღამო, მოგვიანებით კი განგსტერებს ეხმარებოდა როგორც მოფერი. მის ჩვენებაში ზოგიერთი რამე კი იყო სარწმუნო, მაგრამ უმეტესად არასწორი ფაქტები მოჰყავდა, რომლებიც მას მოუყვა ვილაც ტიპმა, რომელიც გარეული კი იყო ამ საქმეში, მაგრამ მატარებლის ძარცვაში უშუალოდ არ მონაწილეობდა.

დაცვის გამოსვლის შემდეგ სხდომა შეწყდა. ერთ-ერთმა ნაფიქმა მსაჯულმა აცნობა მოსამართლეს, რომ ცდილობდნენ მის მოსყიდვას.





პოლიციამ დაიწყო ექვმიტანილი სუბიექტის მოძებნა. სხდომა განახლდა. მოსამართლემ რეზიუმე გაუკეთა მხარეთა კამათს, რაც 30 საათის მანძილზე ექვს დღეს მიმდინარეობდა. სასამართლო პროცესი ხანგრძლივი და რთული იყო, ზოგჯერ აშკარად ჩანდა, რომ მოსამართლე ძლიერი დალილობის გამო ძლივს უყარდა თავს სიტყვებს, ეს იმით აიხსნებოდა, რომ მთელი პროცესის განმავლობაში იგი უმეტესად მარტო იყო; მას იმის საშუალებაც კი არ ჰქონდა, რომ რომელიმე კოლეგასთან განეხილა ამ საქმის დეტალები. პროცესი რომ ლონდონში ჩატარებულიყო, ცხადია, იქ ამის შესაძლებლობა ექნებოდა.

23 მარტს, ორშაბათს მოსამართლემ თავისი მოხსენება 15 საათზე დაამთავრა, ხოლო 15 საათსა და 36 წუთზე ნაფიც მსაჯულთა ყიური სათათბიროდ გავიდა და თან გაყოლეს დოკუმენტები და ნივთიერი მტკიცებულებანი.

ნაფიცი მსაჯულები ორ დღეს სათათბიროდნენ — სამშაბათსა და ოთხშაბათს. ყურნალისტებისა და საზოგადოების უმრავლესობა მხარეების ხანგრძლივი და კაზუსიტური კამათით გადაიქანცა, მათ დარბაზი მიატოვეს და მხოლოდ ვერდიქტის მოსასმენად დაბრუნდნენ.

ვერდიქტი გამოიტანეს ოთხშაბათს 20 საათსა და 15 წუთზე და სასამართლოს სხდომა დაიწყო ხუთშაბათს დილის 10 საათსა და 30 წუთზე. ნაფიცმა მსაჯულებმა ითათბირეს 66 საათი და 54 წუთი — ეს არის ინგლისის სასამართლო ისტორიაში პროცესის ხანგრძლივობის სარეკორდო დრო.

### „...პერაპინე უმომოვა და პერც პერაპინე პაპა...“

მოსამართლემ სხდომა უჩვეულო გაფრთხილებით დაიწყო: „როცა ნაფიცი მსაჯულები ადგილებს დაიკავებენ, მინდა რომ ყველაფერი კარგად ისმოდეს და ამიტომ, ვიდრე ვერდიქტის გამოცხადება დამთავრდება, დარბაზში ვერავინ შემოვა და ვერც ვერავინ გავა ერთადერთი გამონაკლისი თუ ციხის თანამშრომლები ამჯობინებენ, რომ თითოეული სამართალში მიცემული მაშინ შემოიყვანონ, როცა გამოცხადდება მის მიმართ გადაწყვეტილება, მე ამის წინააღმდეგი არ ვიქნები. მაგრამ მათ გარდა დარბაზი არავინ არ უნდა დატოვოს“. ამის მაზანი, ცხადია, ის იყო რომ ხელი შეშლილად ყურნალისტებს ტელეფონებისაკენ სირბილიში.

ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი ასეთი იყო:

ბოლო, ვილსონი, ვისბეი, ველჩი, პასეი, ჯემსი, ჰუდი, ბრაიან ფილდი, უიტერი და ლეონარდ ფილდი დამნაშავენი არიან.

განსასჯელები უარესს მოელოდნენ და მათ ამაზე არავითარი რეაგირება არ მოუხდენიათ.

ბიგსი, რომლის მიმართ სასამართლო რამდენადმე მოგვიანებით გაიმართა, ილუზიებს აღარ საჭიროებდა. მისი პროცესი დაიწყო 8 აპრილს და ექვს დღეს გაგრძელდა. ბიგსი ადასტურებდა, რომ იგი ორჯერ მართლა იყო ლეზერსლიედის ფერმაში, მაგრამ ეს მოხდა მატარებელზე თავდასხმის წინ: აი, რატომ დარჩა მისი თითების ანაბეჭდები კარტზე და ტომატის საწებლის ბოთლზე. მართალია, მას შესთავაზეს ძარცვაში მონაწილეობის მიღება, მაგრამ როცა სამხედრო ტანსაცმელი შენიშნა, იფიქრა, ალბათ სამხედრო დაწესებულებაზე თავდასხმას აპირებენო და ამჯობინა ფერმიდან წასვლა. 90 წუთის შემდეგ ნაფიცმა მსაჯულებმა გამოუტანეს ვერდიქტი — დამნაშავეა.

ორ მომდევნო დღეს მიმდინარეობდა პროცესი იმით მიმართ, ვისაც ბრაილი ედებოდა მობარული ფულის გადამალვაში. ალფრედი და ფლორენს პილგრაიმიები და ბოლოს მეუღლე უდანაშაულოდ ცნეს იმაში, რომ მიიღეს შესაბამისად 860 და 330 გირვანქა სტერლინგი; უილიამ პელპეიმს, რომელმაც ალიარა, რომ მიიღო 545 გირვანქა სტერლინგი, სასჯელი შემუცირეს პირობითად; უოლტერ სმიტს 2 ათასი გირვანქა სტერლინგის მიღებისათვის მიესაჯა სამი წლით პატიმრობა; მისმა ცოლმა პატრიციამ დაარწმუნა სასამართლო, რომ არასოდეს მიუღია 450 გირვანქა სტერლინგი, და იგი გაამართლეს; რაც შეეხება მარტინ პარვისს, რომელმაც ალიარა 518 გირვანქა სტერლინგის მიღება, მიესაჯა თორმეტი თვით პატიმრობა.

ორჯერ კორდრის მიესაჯა ოცი წლით პატიმრობა, ბოლს — 21 წლით, ვილსონს — 30 წლით. ამდენივე მიესაჯათ ბიგსი, ვისბეის, ველჩს, პასეის, ჯემსს და ჰუდს.

ბრაიან და ლეონარდ ფილდებს, მართალია, ისინი უშუალოდ არ მონაწილეობდნენ თვით თავდასხმაში, მაგრამ მაინც მიესაჯათ 25-25 წლით პატიმრობა.

და ბოლოს, ჯონ უიტერს მიესაჯა 3 წლით პატიმრობა იმისათვის, რომ არ განაცხადა ბანდიტების თაობაზე, როცა შეიტყო, რომ ისინი იმყოფებოდნენ ლეზერსლიედის ფერმაში.



## „მერსი, ბატონავო“

## პირველი გაქცევა

ეს იყო განსაცვიფრებელი მოვლენა. სასამართლოზე მყოფი არც ერთი ადამიანი არ მოელოდა ესოდენ მკაცრ სასჯელებს, რომლებიც აღმეტებოდა ისეთი მძიმე დანაშაულისათვის გათვალისწინებულ სასჯელსაც კი, როგორც მკვლელობა ეს ხომ არ იყო მომავალი მძარცველების მიმართ სერიოზული გაფრთხილება? მართლაც, თუ სასჯელი ასეთი მკაცრი იყო ისეთი დელექტისათვის, რაც განეკუთვნება მეორეხარისხოვან ძალმომრეობით ქმედებას, მაშინ რაღა იქნებოდა უფრო მძიმე დანაშაულისათვის.

მსჯავრდებულებს ერთი სიტყვაც არ წამოცდენიათ, მხოლოდ ჰასიემ თქვა: „მერსი, ბატონავო“.

მსჯავრდებულების ნათესავეები და მეგობრებიც სდუმდნენ. მხოლოდ ლენი ფილდის დედა გაპყვიროდა მისი ვაჟის უდანაშაულობის თობაზე. ლენი შებრუნდა მისკენ და უთხრა: „არ გინდა, დედა, მე ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ“. სამართალში მიცემულთა ღობურას რომ გასცდა, ლენი დაეცა და პატიმრობის პირველი დღეები ციხის საავადმყოფოში გაატარა.

თბომაველის მემანქანე მილსი რომ სერიოზულად არ ყოფილიყო დაჭრილი, სასჯელი, როგორც ჩანს, უფრო ნაკლები იქნებოდა. ერთ-ერთმა მსჯავრდებულმა კერძო საუბარში განაცხადა, რომ მილსისათვის ძლიერად არ დაურტყამთ, მაგრამ როცა იგი დაეცა, მაშინ მიიღო მძიმე ჭრილობა თავში. განსასჯელები ამ ვერსიას ვერ წაუყენებდნენ სასამართლოს. რადგან ყველა საკუთარ უდანაშაულობას აცხადებდა.

მთლიანობაში პროცესი 51 დღე გაგრძელდა.

აპელაციის შემდეგ კორდრისა და ბოლოს სასჯელი 14 წლამდე შეუმცირეს. ბრაიან ფილდმა კანონში მიაგნო კაზუსიტურ ფორმულას, რომლითაც მიაღწია სასჯელის 5 წლამდე შემცირებას. მის შემდეგ ასევე მოიქცა ფილდი.

სხვა გასაჩივრებანი უარყოფილი აქნა. ვისბეის, ველჩს, ჰასეის, ვილსონსა და ჰუდის ბოლომდე უნდა მოეხადათ სასჯელი, თუ შემდგომ მათი საქმე არ გადაისინჯებოდა.

ბოლო 1970 წლის ივნისში გარდაიცვალა თავში სიმისინის გამო. მის მეგობარ კორდრის კარგი მოქცევისათვის სასჯელი შეუმცირეს და იგი პირობით გაათავისუფლეს 1971 წლის 24 თებერვალს.

1964 წლის ივნისიდან თვე არ გასულა ისე, რომ რომელიმე განგსტერის სახელი არ გამოჩენილიყო გაზეთების ფურცლებზე. განსაკუთრებით მაშინ, როცა ლაპარაკი იყო განსასჯელთა აპელაციების თაობაზე, იმ პროცესებზე, რომლებიც აღიძრა ყურნალების წინააღმდეგ დიფამაციის და ბოლოსა და ჯემის ბრტყელ-ბრტყელი სიტყვების გამო, რომლებიც საქვეყნოდ აცხადებდნენ, რომ მათთან აღმოჩენილი ფული საკუთარი იყო, და არა მატარებლიდან მოპარული.

მსხვილი სათაურები, რომლებიც იუწყებოდნენ ბანდის წევრების გაქცევას ან დაპატიმრებას კვლავ აღაგზნებდნენ მკითხველთა ინტერესს, და იწყებდნენ ლაპარაკს ამ ცნობილ ძარცვაზე, იმ დროზე, როცა ისინი ესოდენ გაცეცხულნი ან გაოგნებულნი იყვნენ, თუქვალა პრესას სურდა მათი ყურადღება მიეპყრო მხოლოდ თბომაველის მემანქანის მილსის დაჭრაზე.

მსჯავრდებულები სხვადასხვა ციხეებში არ გაუნაწილებიათ მანამდე, ვიდრე პირველი გაქცევა არ მოხდა.

1964 წლის 12 აგვისტოს დილის 3 საათსა და 15 წუთზე ბირმინჰემის საგრაფოს უინსონ გრინის ციხიდან წარმოუდგენელ ვითარებაში გაიქცა ჩარლი ვილსონი. სინამდვილეში არასოდეს მომხდარა, რომ ბოროტმოქმედთა ბანდას ციხეში შეეღწიოს და პატიმარი გაენტაკისუფლებინოს.

## შეგნობა ციხის შიგნით?

ბანდიტებმა რომელიმე მშენებლობაზე მოიპარეს ფიცრები და კიბეები, რათა გადაეღახათ შვიდმეტრიანი კედელი, შემდეგ კედლის იქით ჩაშვებისათვის გამოიყენეს თოკის კიბე. შევიდნენ შენობაში და გასღებების დუბლიკატებით გააღეს ცენტრალური კარები, შემდეგ კი ორი შიდა კარი. უკანასკნელი წინააღმდეგობა იყო მცველი, რომლის „ნეიტრალიზებაც“ ხელკეტის ერთი დარტყმით შეძლეს. სხვა გასაღების დუბლიკატით გაუღეს საკნის კარები ვილსონს, რომელმაც სწრაფად გადაიკვა მოტანილი ტანსაცმელი. ადამიანთა მცირე ჯგუფმა ისევე მშვიდად დატოვეს ციხე, როგორც ვიგ შევიდნენ.



გაქცევის შესახებ სწრაფად შეიტყვეს, რადგან განსაკუთრებით საშიშ პატიმრებს მთელი ღამის განმავლობაში ყოველ 15 წუთში ამოწმებდნენ. მაშინვე გაჩნდა აზრი, რომ ციხის რომელიღაც თანამშრომელს უნდა მიეცა მათთვის გასაღებები და აუცილებელი ინფორმაცია.

საქმის გამოძიებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მთავარი კომისარი ტომი ბატლერი. მას ამოცანად ჰქონდა დასახული მოეძებნა რენინოლდსი, ედვარდსი, უაიტი და გადგეცა ისინი მართლმსაჯულებისათვის. ახლა მას თავის საიში ვილსონის სახელიც უნდა შეეტანა.

1965 წლის მაისში, როცა ხელოვნური თანამგზავრის „ერლი ბერდის“ საშუალებით შესაძლებელი გახდა პირდაპირი სატელეფონო ვადაცემა ვეროზიდან შეერთებულ შტატებში, სკოტლანდ-იარდმა გამოიყენა ეს საშუალება და ატლანტიკის ოკეანის ორივე მხარეს ფართო საზოგადოებრიობას აჩვენა ოთხივე ქებნილას ფოტოსურათები.

ვილსონის გაქცევით გამოწვეული სკანდალის შემდეგ მკვეთრად გამკაცრდა უსაფრთხოების ღონისძიებანი ციხეში. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს ღონისძიებები ჯერჯერობით საკმარისი როლი გამოდგა, რადგან 1965 წლის 9 ივლისს ბიგსმა უენდსვორტის საპატიმრო სახლიდან დღისით მზისით განახორციელა პრწყინვალი გაქცევა.

### ოთხივე ერთი ხელის ღაპვრით!

15 საათსა და 05 წუთზე, როცა 14 პატიმარი ციხის ეზოში სეირნობდა, გარედან კედელს გადმოველო თოკის კიბე და პირდაპირ ეზოში დაეშვა. ბიგსი მივარდა კიბეს და დაიწყო აცოცება, მას მიჰყვა სამი კომპანიონი, რომლებსაც სურდათ გამოეყენებინათ თავისუფლების მოპოვების ეს საშუალება. იმ დროს, როცა დანარჩენი ათი პატიმარი მცველებს აკავებდნენ, გაქცეულები დაახტნენ პირდაპირ კედელთან გაჩერებულ ავეჯის მანქანის სახურავს.

სახურავიდან სპეციალური ტრაპით საბარგოს შიგნით დაწყობილ ლეიბებზე ჩაცურდნენ, იქიდან კი უკანა ბორტს გადაახტნენ და მათთვის მოყვანილ სამ ავტომობილში ჩასხდნენ, სადაც შეიარაღებული ადამიანები ელოდნენ, რომლებიც მზად იყვნენ გაქცეულთა დასაცავად ცეცხლის გახსნისათვის.

შეიქმნა საფრთხე, რომ ჰუდი იქნებოდა მორიგი, ვინც „რისკზე“ წავიდოდა. ციხის ხელისუფალთ მიეცათ ჰუდისა და საფოსტო მა-

ტარებლის ძარცვასთან დაკავშირებულ სხვა მსჯავრდადებულთა გაძლიერებული დაცვის ინსტრუქცია. განახორციელეს პატიმართა ერთი ციხიდან მეორეში გადაადგილების ღონისძიებანი, სრულყვეს განგაშის გამოცხადების სისტემები, შეამცირეს ჰაერზე სეირნობა. აი, ასეთი იყო ის ღონისძიებანი, რათა მინიმუმამდე დაეყვანათ გაქცევათ რისკი. როგორც კი ეჭვი შეიქმნებოდა, რომ მზადდებოდა გაქცევა, მაშინვე მოჰყავდათ დამატებითი ძალები, ძალები და ჯარისკაცებიც კი. მაგრამ პრესა და პარლამენტი მკაცრად აკრიტიკებდნენ ამ ანტიპუმანურ ღონისძიებებს, ხაზს უსვამდნენ, რომ ციხეთა ხელისუფალნი ერთი უკიდურესობიდან მეორეში აღმოჩნდნენ.

პრინციპში ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რათა ციხეებიდან გაქცევა პრაქტიკულად შეუძლებელი ყოფილიყო. გაჩნდა იმედი, რომ ბატლერი მალე შეძლებდა ჯერჯერობით თავისუფლებაში მყოფი რომელიმე განგსტერის დაჭერას.

პირველ წარმატებას კომისარმა ბატლერმა მიიღწია 1966 წლის 21 აპრილს 12 საათსა და 20 წუთზე, მას შემდეგ, რაც იგი დაადგა დამნაშავეთა კვალს საფრანგეთში, ირლანდიასა და ლონდონში. ბატლერმა კენტის საგრაფოში ლიტლსტუნის ზღვის პირზე თავის პატარა სახლში დააპატიმრა უაიტი, რომელმაც აქ მთელი წელი იცხოვრა და ეწეოდა კატერებისა და ნავეების ყიდვა-გაყიდვას. ნერვულ დაძაბულობაში მყოფმა საკუთარი თავი იმით გასცა, რომ გახეთის რეპორტიორს ტელეფონით დაურეკა, რათა მიეყიდათ მისთვის საკუთარი ისტორია. როცა იგი დააპატიმრეს, თქვა: „ყველაფერს ვიტყვი, ოღონდაც სხვა ადამიანების კომპრომეტირება არ მოხვოთ“.

### საილუმოვანი ავტოფარგონის პატრონი

მოგვიანებით ლეჩესტერში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უაიტს სცნობს დამნაშავედ. მან სასამართლოს განუცხადა, რომ თავდასხმაში მონაწილეობაზე დაეთანხმა იმ პირობით თუ ძალმომრეობას არ გამოიყენებდნენ. მისი თითების ანაბეჭდები ლეჩესტერის ფერმაში აღმოაჩინეს გახეთზე. ასევე დადასტურდა, რომ მანვე შეიძინა ერთი „ლენდროვერი“ და ერთი სატვირთო „ოსტინი“. ძარცვის შემდეგ უაიტმა მიატოვა თავისი ბინა, რომელშიც პოლიციამ იპოვა ბანკოტების შესაფუთი წებოვანი ლენტები. შემდეგ მან იყიდა მსუბუქი მანქანა „ოს-



ტინ ჰელი“ და ავტოფურგონი, რომლებს-თვისაც ნაღდი ფული გადაიხადა. ავტოფურგონში შეინახა ფულის ნაწილი და ცოლით, ვაჟი-შვილითა და ძაღლით სადღაც გაქრა. თავდასხმაში მონაწილეობისათვის მიღებული 100 ათასი გირვანქა სტერლინგიდან 35376 გირვანქანა სტერლინი იპოვეს ავტოფურგონში, 30440 შეფიცრული ტიხარის უკან, 136 — პიჯაკში. ორნახევარი წლის შემდეგ ბინის ჩხრეკისას სპეცტილაციო სისტემაში იპოვეს 4800 გირვანქანა სტერლინგი. გაჩნდა მტკიცებულება, რომ ნაწილი ამ ფულისა მატარებლიდან იყო მოპარული. უაიტმა თქვა, რომ 12 ათასი გირვანქა სტერლინგი გადაიხადა ქალაქგარეთ სახლის შექმნისათვის, დანარჩენი ფული კი შემოეხარჯა. მან შესთავაზა სასამართლოს, რომ გაეყიდათ სახლი და მთელი თანხა წაეღოთ. მას 18 წლით პატიმრობა მიუსაჯეს.

### ის, ვინც თითქოს „დააღაპა“

მატარებელზე თავდასხმის შემდეგ თითქმის არავინ ლაპარაკობდა ბასტერ ედვარდის თაობაზე. მაგრამ 1966 წლის 19 სექტემბერს დილის 2 საათსა და 15 წუთზე იგი უხმაუროდ დააპატიმრეს ლონდონის სამხრეთ ნაწილში, მას შემდეგ, რაც თვითონ დანებდა პოლიციას, ამასთან განაცხადა, რომ: „მე კარგა ხანია ვფიქრობდი თუ როგორ დავნებებოდი. ამისათვის კი ბევრი მიზეზი მაქვს“. ბასტერი ირწმუნებოდა, რომ არასოდეს ყოფილა სპეცტილაციო მატარებლის სიახლოვესაც კი. უაიტმა მას შესთავაზა 10 ათას გირვანქა სტერლინგი „დაეღაგებინა“ ლეზერსლეიდის ფერმა. იგი დათანხმდა და უაიტთან ერთად მივიდნენ ფერმაში. თავდასხმის არც ერთი მონაწილე იქ უკვე აღარ იყო. საღამოს უაიტი წავიდა და მას დაუტოვა 5 ათასი გირვანქა სტერლინგი. როცა მარტო დარჩა, მეტისმეტად შეეშინდა. ამასთან, იგი თვლიდა, რომ ფერმის დაღაგება არცთუ ისეთი მნიშვნელოვანი რამ იყო. რამდენჯერმე გარეთ შენიშნა სინათლე, ესმოდა ხმები და ძაღლების ყეფა. მაშინ მას ნერვებმა უღალატეს, მივარდა თავის მანქანას და საჩქაროდ გასცილდა იქაურობას. მოგვიანებით, როცა შეაფასა ის მდგომარეობა, რომელშიც აღმოჩნდა, ემალებოდა როგორც პოლიციას, ასევე ბანდას.

ბრალდებულმა წაუყენა მტკიცებულება, რომ მისი თითების ანაბეჭდები აღმოჩნდა წებოვან ლენტზე, რომლითაც შეფუთული იყო „ბერკ-

ლეის ბენკის“ ბანკნოტები, და ერთ-ერთი „ლენდროვერის“ კარებზე. ამასთან, მეზობელმა განაცხადა, რომ მატარებელზე თავდასხმამდე დიდი ხნით ადრე ედვარდის ლონდონის ბინაში იკრიბებოდნენ ვილაც ადამიანები, ხოლო გამარცხის დღეს საღამოს ერთი „ლენდროვერი“ იდგა მისი ბინის წინ. ნოტირპემის სასამართლოს ნაფიცმა მსაჯულებმა ედვარდსი დამნაშავედ ცნეს და მიუსაჯეს 15 წლით პატიმრობა.

### კომისარი, რომელიც ბევრს მოგზაურობს

პოლიციის კომისარი ბატლერი აგრძელებდა თავის ძიებას მთელს მსოფლიოში. 1968 წლის 23 იანვარს ვილსონი დააპატიმრა პატარა ქალაქ რიგოში, რომელიც მონრეალიდან დასავლეთით 60 კილომეტრზე მდებარეობს. მძარცველმა წვერი მოუშვა და ორი წლის მანძილზე ცხოვრობდა დიდ საარენდო სახლში. იგი მონრეალში ვაჭრობდა ვერცხლის ქურჭლით, ფაიფური-სა და შუშის ნაწარმით. მასთან ერთად ცხოვრობდნენ ცოლი და სამი შვილი. — შესანიშნავი ურთიერთობა ჰქონდათ მეზობლებთან. ოჯახი შეძლებულად ცხოვრობდა, მაგრამ ისეთს არაფერს აკეთებდნენ, რომ ვინმეს მათი ფუფუნება თვალში მოხვედროდა. ვილსონს უპოვეს 13500 გირვანქა სტერლინგი ამერიკული დოლარებით. იგი ინგლისის ციხის საკანში მოათავსეს, ოჯახი კი კვლავ კანადაში ცხოვრობდა.

1968 წელი მთავრდებოდა. ბატლერს, რომელიც 10 თვის განმავლობაში შინ არ დაბრუნებულა, თავისი ხანგრძლივი და მოთმინებით აღჭურვილი ძიება ღირსეულად დაუფასდა. 1968 წლის 8 ნოემბერს დილის 6 საათსა და 30 წუთზე მან დააკაუნა დევონშირის საგრაფოში საკურორტო ტორკეში მდებარე ლიციფერი ვილის კარებზე. პიჯაკში გამოწყობილმა რეინოლდსმა გააღო კარები და ბატლერი შინ შეიპატიჟა. მოგვიანებით რეინოლდსი იტყვის: „ის, ვინც ფიქრობს, რომ შესაძლებელია დანაშაულის გამოსყიდვა, შუშლილი უნდა იყოს. მე ამან სისუსტეების ჩადენამდე მიმიყენა“.

რეინოლდსმა განაცხადა, რომ ექვსი თვის მანძილზე მეტად მშვიდად იყო, შემდეგ გაემგზავრა მექსიკაში, სადაც ორი წლის მანძილზე ეწეოდა მდიდარი ბიზნესმენის ცხოვრებას. ცოლი და შვილი მასთან რამდენიმე კვირაში ჩავიდნენ, მას შემდეგ, რაც შეძლეს პოლიციე-



ლების მეთვალყურეობისაგან თავის დაღწევა, შემდეგ ისინი ერთად წავიდნენ ვანკუვერში და იმასაც კი ფიქრობდნენ, რომ საბუღალთო კანადაში დამკვიდრებულნი იყვნენ. მაგრამ ვილსონის დაპატიმრებამ ყველაფერი კითხვითი ნიშნის ქვეშ მოაქცია. ნევადა, ტენასი, ტუნისი, ტანჯერი, საფრანგეთის სამხრეთი, პენტი — აი, მათი მოგზაურობის პუნქტები ინგლისისაკენ მიმავალ გზაზე, სადაც დაბრუნდნენ 1967 წელს. 1968 წელს ზაფხული რეინოლდსებმა ტორკეიში გაატარეს, რომელიც ძალიან მოეწონათ და იქ ზამთარშიც დაბრუნდნენ.

ელსბერის ნაფიც მსახულთა სასამართლოში რეინოლდსი ქადაგებდა, რომ ხშირად ფიქრობდა დანებებოდა პოლიციას, მაგრამ ეს იდეა უარყო იმ მძიმე სასჯელის გამო, ზად მას ელოდა. იგი ადასტურებდა, რომ მან და მატარებლის გაძარცვის სამმა სხვა ორგანიზატორმა მიიღეს 150-150 ათასი გირვანქა სტერლინგი, მაგრამ ამ საქმეში ყველაზე მთავარი იგი არ ყოფილა. რეინოლდსმა პრაქტიკულად მთელი ფული დახარჯა და მხოლოდ 5800 გირვანქა სტერლინგისა და ორი ავტომობილის დაბრუნება და შეეძლო.

მან სინანული გამოთქვა ძალმომრეობითი მოქმედებების გამო და თავი დამნაშავედ ცნო. რეინოლდს 25 წლით პატიმრობა მიესჯა.

### ბრაზილია, მიწა, რომელმაც ზიგსი შეიფარა

ისე გამოდიოდა, რომ ბიგსი სულ სხვადასხვა ადგილას გამოჩნდებოდა ხოლმე. 1969-70 წლებში მისი სახელი ხშირად იხსენიებოდა გაზეთების ფურცლებზე. იტყობინებოდნენ ადამიანზე ნადირობას (როგორც ჩანს, ბიგსზე) ავსტრალიაში, ეს მაშინ, როცა იგი კინაღამ დაიჭირეს მელბურნში. ტელევიზიამ აჩვენა რვა მილიმეტრიანი ფილმი, რომელშიც ასახული იყო ბიგსი ცოლითურთ ესპანეთის პლაჟზე. მისმა მეუღლემ ამ რეკლამით კარგი სარგებელი ნახა — სხვადასხვა ჟურნალებს მიჰყიდა თავისი თავგადასავლების ამსახველი

მოთხრობა, პონორარი კი ბანკში შეიტანა შეილების სახელზე. უკანასკნელად ბიგსი მექსიკაში ნახეს.

1974 წელს გაზეთების სათაურებში კვლავ გამოჩნდა რონალდ ბიგსის სახელი. იგი მართლაც ნახეს როი-დე-ჟანერიოში გაზეთ „დილი ექსპრესის“ წარმომადგენლებთან ერთად. სწორად ამ გაზეთმა გამოაქვეყნა სპეციალურად მისთვის დაწერილი ბიგსის ისტორია. სკოტლანდ-იარდს, რომელიც უცხო ქვეყანაში უხერხულად და უხეშად მოქმედებდა, კონსულტაცია არ უთხოვია ბრაზილიის ხელისუფალთაგან, რომლებმაც შემდგომ გაიხსენეს კიდევ ეს.

რამდენიმე თვით წინასწარი პატიმრობის შემდეგ ბრაზილიის იუსტიციამ ნება დართო ბიგსს დარჩენილიყო როი-დე-ჟანერიოში იმ მოტივით, რომ იგი ადგილობრივი ქალისაგან შექმნილი შვილის მამა-მარჩენალი იყო.

ბიგსმა თავისი სიამოვნებით დაიწყო ცხოვრება. ხელი მიჰყო ღურგლობას, რადგან ნადვლის თავისი წილი უკვე შემოეხარჯა ხანგრძლივი მოგზაურობებითა და მისი დამცველებისათვის პონორარების გადახდის გამო. ბრაზილიელებს კი ვერ გაეგოთ თუ მათი ეს გალანტური მეგობარი რატომ ითვლებოდა დიდბრიტანეთში საშვი ბანდიტად, რომლის ადგილიც მხოლოდ ციხეშია.

სკოტლანდ-იარდმა შექმნა სპეციალური ბრიგადა, რათა გამოერკვიათ ის ხერხები, რომლებიც ძებნილი დამნაშავისაგან ფულის მიღების შესაძლებლობას მისცემდა მათ. ბრიგადას ასევე უნდა შეესწავლა პრობლემები, რომლებიც წარმოიქმნებოდა ხოლმე იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც დიდბრიტანეთს არ გააჩნდა სისხლის სამართლის დამნაშავის გადაცემის შესახებ კონვენცია.

დგება დრო, როცა რვა მსჯავრდებულ მმარცველს ეძლევა უფლება ოთხოვოს პირობითად განთავისუფლება, ხოლო ის, რომ ჯერ კიდევ მოსაძებნია უზარმაზარი თანხები, ლაპარაკობს იმაზე, რომ „მუშაკთა“ სულ მცირე ნახევარდღეებზე მეტი კვლავ თავისუფლებაში არიან.





«САБЧОТА САМАРТАЛИ» («Советское право»), № 7, 1989 (на грузинском языке).  
Ежемесячный научно-практический журнал Союза юристов ГССР.  
Адрес редакции: Тбилиси, пр. Давида Агмашенебели, 103, тел.: 95-88-49; 95-58-87.  
ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии,  
Тбилиси, ул. Ленина, 14.



ფასი 60 კპკ

---

ინდექსი 76185

---

---